

**ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს
გადანყვეტილებები ქალთა მიმართ
ქალადობისა და ოჯახში ქალადობის
საკითხებზე
(ბანახლებული კრებული)**

საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი
2017

**EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
CASE-LAW
ON VIOLENCE AGAINST WOMEN AND ON
DOMESTIC VIOLENCE
(UPDATED COLLECTION)**

The Supreme Court of Georgia

HUMAN RIGHTS CENTRE

Tbilisi

2017



კრებულის რედაქტორები:

მარინე კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა
და განზოგადების განყოფილების უფროსი

ლია მელაშვილი

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მონიტორინგის
სამსახურის უფროსი

კრებული თარგმნის და დაამუშავებს:

ეკა მამალაძე

ადამიანის უფლებათა ცენტრის
უფროსი კონსულტანტი

გულიკო მჭედლიშვილი

კვლევისა და ანალიზის ცენტრის
კონსულტანტი

სტილისტ-რედაქტორი

თეა მაისურაძე

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი



EDITED BY:

Prof. Dr. Marina Kvachadze

Head of the International Court Practice Study and Generalization Unit

Lia Melashvili

Head of the Court Practice Generalization

Monitoring Department

THE COLLECTION WAS TRANSLATED AND ELABORATED BY:

Eka Mamaladze

Senior Consultant of Human Rights Centre

Guliko Mchedlishvili

Consultant of Analysis and Research Centre

PROOFREADER

Tea Maisuradze

GRAPHICS EDITOR AND DESIGN

Marika Maghalashvili

წინასიტყვაობა

უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების ფარგლებში მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. წარმოდგენილ კრებულში შესულ საქმეებს დაემატა სტრასბურგის სასამართლოს მიერ 2016-2017 წლებში მიღებული გადანყვეტილებები.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოსთვის. სწორედ ამ მიზნით 2014 წლის 19 ივნისს ხელი მოეწერა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციას (სტამბოლის კონვენცია), რომელიც მიზნად ისახავს ძალადობის აღკვეთას, მსხვერპლთა დაცვასა და მოძალადეთა პასუხისმგებლობაში მიცემას და უზრუნველყოფს მსხვერპლ ქალთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქალების წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი სახის ძალადობა.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა, თუმცა აღნიშნული თემა განსაკუთრებით აქტუალური ბოლო 3 წლის განმავლობაში გახდა, როდესაც 2014 წელს ქალთა მკვლელობების ძალიან მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ყოველგვარი ძალადობა, განსაკუთრებით კი ქალთა მიმართ ძალადობა ყოველთვის ინვესტს საზოგადოების უარყოფით რეაქციას და სახელმწიფოს მხრიდან საჭირო ხდება დაუყოვნებელი მკაცრი რეაგირება ამგვარ ფაქტებზე. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო სისტემატიურად ქმნის ახალ მექანიზმებს და აუმჯობესებს კანონმდებლობას, რომელიც კიდევ უფრო მეტად ხელს შეუწყობს მსხვერპლთა დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას. სასამართლოს როლი განსაკუთრებით ფასდაუდებელია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საქმეში.

წინამდებარე კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს იმ საქმეთა მოკლე შინაარსი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები, რომლებიც პრეს-რელიზების სახით მომზადებულია სტრასბურგის სასამართლოს მიერ (პრეს-რელიზები – ორიგინალური ტექსტი იხ., http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=press/factsheets&c=#n1347890855564_pointer).

კრებულში შესული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეები დაინტერესებთ მოსამართლეებს, ადვოკატებს, პროკურორებს, ფართო პროფილის იურისტებს, უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. კრებულში მოყვანილი საქმეები ასევე საინტერესო იქნება ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

ლია მელაშვილი

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მონიტორინგის სამსახურის უფროსი

Preface

Within the framework of the International Court Practice Study and Generalization Unit of the Supreme Court was prepared the compilation of the European Court of Human Rights Case-Law (Factsheets), on violence against women and domestic violence issues. The cases heard by the European Court of Human Rights in 2016-2017 years regarding these issues were added to the updated collection.

Fight against domestic violence and violence against women is one of the main priorities of Georgia. For this purpose, on June 19, 2014, Georgia signed Council of Europe's 2011 Convention (Istanbul Convention) „On preventing and combating violence against women and domestic violence“ , which aims to prevent violence, protect victims and to subject to criminal liability of offenders and to strengthen human rights protection mechanisms of women victims, in order to avoid any kind of violence against women.

The fight against violence against women has always been an important issue in the society, but this topic became particularly relevant for the last 3 years, when in 2014, the number of murdered women were in a very high rates. Any violence, especially violence against women always provokes a negative reaction of the public and there is need from the government to call for an immediate, severe reaction to these facts. Therefore, the state regularly creates new mechanisms to improve the legislation, which would further contribute to the protection, assistance and rehabilitation of victims. The Court's role is particularly valuable in dealing with violence against women.

This collection aims to introduce to the reader the summary of the cases and judgments of the European Court of Human Rights, that are prepared in the form of press releases by the Strasbourg Court (Press Releases _ see the original text, [Http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=press/factsheets&c=#n1347890855564_pointer](http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=press/factsheets&c=#n1347890855564_pointer)).

Case law of the European Court of Human Rights included in this compilation will be of particular interest for judges, barristers, prosecutors, general lawyers, university law school professors, students and to all other interested persons in human rights issues.

LIA MELASHVILI

Head of the Court Practice Generalization Monitoring Department

სარჩევი

ქალთა მიმართ ძალადობა

ბ.ს. ესპანეთის წინააღმდეგ	8
ლ. ი. საბერძნეთის წინააღმდეგ	12
პ. დან. პოლონეთის წინააღმდეგ	17
პ. მ. ბულგარეთის წინააღმდეგ	23
იზჩი თურქეთის წინააღმდეგ	25
ოკიფი ირლანდიის წინააღმდეგ	29
ი. სლოვენის წინააღმდეგ	36
ვ. სლოვენის წინააღმდეგ	40
მ. ა. სლოვენის წინააღმდეგ	41
ნ. დ. სლოვენის წინააღმდეგ	41
ი. პ. მოლდოვის წინააღმდეგ	42
ჯანკოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ	44
სოუგელბიის წინააღმდეგ	46
რ. ჰ. შვედეთის წინააღმდეგ	48
ს. ზ. ბულგარეთის წინააღმდეგ	49
ვ. ჰ. შვედეთის წინააღმდეგ	53
ეხსინი თურქეთის წინააღმდეგ	55
ა. ა. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ	58
ნ. შვედეთის წინააღმდეგ	59
რ. დ. საფრანგეთის წინააღმდეგ	60
რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ	61
ი. ბ. მოლდოვის წინააღმდეგ	66
მასლოვა და ნალბანდოვი რუსეთის წინააღმდეგ	67

ოჯახში ძალადობა

ბრანკო ტომაზიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ	71
დურმაზი თურქეთის წინააღმდეგ	72
ე. ს. და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ	74
ე.მ. რუმინეთის წინააღმდეგ	76
ვალდუნიენე ლიტვის წინააღმდეგ	78
ი.ც. ბაერთიანეზული სამეფოს წინააღმდეგ	81
ბევანკუა და ს. ბულგარეთის წინააღმდეგ	83
კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ	85
ერემია და სხვები მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ	88
ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ	92
ჰალიმა კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ	95

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2016-2017 წლებში მიღებული გადაწყვეტილებები

ტალხინი იტალიის წინააღმდეგ	100
მ.ბ. თურქეთის წინააღმდეგ	105
ბ.პ. ბელბიის წინააღმდეგ	108
ბალსანი რუმინეთის წინააღმდეგ	111
ჟ. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ	115

ქალთა მიმართ ძალადობა

ბ.ს. ესპანეთის წინააღმდეგ

B.S. v. Spain

(განაცხადი №47159/08; 14/07/2012)

კონვენციის საწინააღმდეგო არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე პოლიციის მხრიდან ყოვლისმომცველი გამოძიების წარმართვის ვალდებულების შეუსრულებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებაში, საქმეზე ბ.ს. ესპანეთის წინააღმდეგ, რომელიც არ არის საბოლოო¹, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა – ეფექტური გამოძიების არარსებობა) გამოძიებასთან მიმართებით; ასევე, კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში;

არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით.

წინამდებარე საქმე ეხებოდა ნიგერიული წარმოშობის ქალს, რომელიც პოლიციაში შეაჩერა მაშინ, როცა იგი პალმა-დე-მალიორკას გარეუბანში პროსტიტუციით იყო დაკავებული. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ ჩაუტარებია ადეკვატური და ეფექტური გამოძიება მომჩივნის ბრალდებებთან დაკავშირებით. კერძოდ, ორ შემთხვევაში არასათანადო მოპყრობასთან მიმართებით, როცა აპლიკანტი შეაჩერეს და გამოკითხეს ქუჩაში.

ფაქტობრივი გარემოებაები

აპლიკანტი – ქალბატონი ბ.ს. არის წარმოშობით ნიგერიელი. იგი დაიბადა 1977 წელს და კანონიერად ცხოვრობს ესპანეთში 2003 წლიდან.

2005 წლის 15 ივლისს ბ.ს. პალმა-დე-მალიორკასთან ელ არენალის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც იგი მუშაობდა მეძავად. პოლიციის ორმა თანამშრომელმა მას ვინაობა ჰკითხა და სთხოვა ადგილის დატოვება, რაც აპლიკანტის მხრიდან უპირობოდ შესრულდა. ცოტა ხნის შემდეგ, იმავე ადგილზე დაბრუნებისას, მან შეამჩნია პოლიციის იგივე თანამშრომლები უახლოვდებოდნენ მას და სცადა გაქცევა. აპლიკანტი დავობდა, რომ პოლიციის ოფიცრებმა დააკავეს, ჩაართყეს ხელკეტი მარცხენა ბარდაყსა და წვივში და მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი საბუთები. ამასთან, ერთ-ერთმა ოფიცრმა რასობრივი ნიშნით მიაყენა შეურაცხყოფა.

¹ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

2005 წლის 21 ივლისს პოლიციის იმავე ოფიცრებმა კვლავ შეაჩერეს და გამოკითხეს იგი. ერთ-ერთმა მათგანმა ხელკეტი დაარტყა ბ. ს-ს მარცხენა ხელზე. აპლიკანტმა სარჩელი შეიტანა პალმა-დე-მალიორკას გამომძიებელ მოსამართლესთან და საავადმყოფოში წავიდა მიღებული დაზიანებების სამკურნალოდ. ექიმებმა დაუდგინეს რბილი ქსოვილების ანთება და უმნიშვნელო შეშუპება მარცხენა ხელზე.

გამომძიებელმა მოსამართლემ სთხოვა პოლიციის მთავარ სამმართველოს ინციდენტის შესახებ ანგარიშის შედგენა. პოლიციის უფროსმა თავის ანგარიშში განმარტა, რომ ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე ხშირი პატრულირება ხორციელდებოდა, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით მრავლად იყო ქურდობისა და თავდასხმის ფაქტები. პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ ბ.ს. შეჩერებულ იქნა გამოკითხვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ იგი ცდილობდა გაქცევას, პოლიციის ოფიცრებს არ დაუმცირებიათ და არ გამოუყენებიათ ფიზიკური ძალა. პოლიციის უფროსმა გამომძიებელ მოსამართლეს მიაწოდა ინციდენტების დროს მონაწილე საპატრულო პოლიციის თანამშრომლების საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელიც განსხვავდებოდა ბ. ს-ს მიერ მის ჩვენებაში აღნიშნულისგან. 2005 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში გამომძიებელმა მოსამართლემ გამოსცა დროებითი ბრძანება და შეწყვიტა სამართალწარმოება იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა სისხლის სამართლის დანაშაულისთვის საკმარისი მტკიცებულებები.

ბ. ს-მ მოითხოვა გადაწყვეტილების გადასინჯვა, დავობდა რა, რომ პოლიციის ოფიცრებმა გამოიჩინეს დისკრიმინაციული მიდგომა. იგი ასევე ითხოვდა, რომ მტკიცებულებათა შესაკრებად განხორციელებულიყო სხვადასხვა ზომები, ისეთი როგორცაა: პოლიციის შესაბამისი ოფიცრების იდენტიფიცირება, მონმეთაგან ჩვენებების მიღება. 2007 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით მოსამართლემ უარი განაცხადა ამ გადაწყვეტილების გადასინჯვაზე, დაადგინა, რომ ბ. ს-ს ბრალდებები პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ ობიექტურად არ მტკიცდებოდა.

ბ. ს-მ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომელიც განხილულ იქნა ბალეარის კუნძულების რაიონული სასამართლოს მიერ. სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ და ბრძანა მცირე დანაშაულზე საქმის განახლება პოლიციის იმ ორი თანამშრომლის მიმართ, რომლებმაც შეაჩერეს აპლიკანტი. აღნიშნული ოფიცრები იდენტიფიცირებულნი იყვნენ პოლიციის მთავარი სამმართველოს მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე. 2008 წლის 11 მარტს, ზეპირი განხილვის შემდეგ გამომძიებელმა მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება პოლიციელების გამართლების შესახებ, რადგან პროცესის დროს ბ. ს-მ ისინი ვერ ამოიცნო.

2005 წლის 23 ივლისს ბ.ს. კვლავ შეჩერებულ იქნა გამოკითხვის მიზნით. მოგვიანებით იგი მოათავსეს დაზარალებულთა განყოფილებაში, სადაც ექიმმა დაადგინა ტკივილი მუცლის არეში, ასევე ხელისა და მუხლის სისხლჩაქცევები. ორი დღის შემდეგ მომჩივანმა შეიტანა სისხლის სამართლებრივი სარჩელი, დავობდა, რომ იგი ხელკეტით ცემეს ხელსა და მუხლზე. ბ.ს. ჩიოდა, რომ იგი რასობრივი ნიშნით იყო დაზარალებული. ამასთან, აპლიკანტი აცხადებდა, რომ იგი იძულებით მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში იმ აღიარებითი ჩვენების ხელმოსაწერად, თითქოს მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელებს. გამომძიებელმა მოსამართლემ დაიწყო სასამართლო გამოძიება. ბ. ს-მ მოითხოვა, რომ პოლიციის ყველა ის თანამშრომელი, რომელიც პატრულირებდა შესაბამის ტერიტორიაზე 15 და 23 ივლისს, გამოძახებული ყოფილიყო ამოცნობისთვის განკუთვნილ სპეციალურ შემინულ ოთახში. მი-

სი ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. მოსამართლემ პოლიციის მთავარი სამმართველოდან მოითხოვა ინციდენტის ამსახველი ანგარიშის მომზადება.

პოლიციის უფროსის მიერ მომზადებულ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ბ. ს. აღიარებდა პროსტიტუციით დაკავებას იმ ტერიტორიაზე, სადაც შეჩერებულ იქნა. ერთადერთი მიზეზი მისი საჩივრებისა იყო ის, რომ აღნიშნული საქმიანობის ნება დაერთოთ საჯარო გზატკეცილზე, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ხელშეშლის გარეშე. ბრალდებული ოფიცრების ვინაობასთან დაკავშირებით პოლიციის უფროსმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ 15 და 21 ივლისს მართლა მოხდა პოლიციის მხრიდან აპლიკანტის საქმიანობაში ჩარევა, 23 ივლისს ასეთი ჩარევა არ განხორციელებულა. 2006 წლის 22 თებერვალს გამომძიებელმა მოსამართლემ გამოსცა დროებითი ბრძანება და შეწყვიტა წარმოება იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები სისხლის სამართლის დანაშაულისთვის. ბ. ს-მ მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გადასინჯვა. თუმცა წინამდებარე და შემდგომი გასაჩივრება წარუმატებელი აღმოჩნდა.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიდადგენლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, ბ.ს. დავობდა, რომ ეროვნული პოლიციის ოფიცრებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მას, როცა გამოსაკითხად შეაჩერეს. აპლიკანტი ჩიოდა, რომ იგი დაექვემდებარა დისკრიმინაციულ მოპყრობას მისი საქმიანობის – პროსტიტუციით დაკავების, მისი კანის ფერისა და სქესის გამო. ბ. ს. ასაჩივრებდა გამომძიებელი მოსამართლის მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიას, რომელმაც 2007 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით განაცხადა, რომ „საჯარო ადგილას პროსტიტუცია იყო სამარცხვინო სპექტაკლი“. ბოლოს, იგი დავობდა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ ჩატარებული მოკვლევა აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით არაადეკვატური იყო.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2008 წლის 29 სექტემბერს შევიდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 3

ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიებები

სასამართლომ მიიჩნია, როდესაც პირი აცხადებს, რომ იგი დაექვემდებარა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო არასათანადო მოპყრობას პოლიციის ან სახელმწიფო ორგანოების სხვა წარმომადგენლების მხრიდან, მაშინ კონვენციის მე-3 მუხლი 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში მოითხოვს, რომ ჩატარდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და დასჯას.

ეროვნული სასამართლოების მიერ ჩატარებულ გამოძიებასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ. ს-მ ორჯერ განაცხადა არასათანადო მოპყრობის შესახებ, 2005 წლის 21 და 25 ივლისს. მისი საჩივრები რეალურად იქნა გამოკვლეული. თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ გამომძიებელი მოსამართლეები გამოითხოვდნენ ანგარიშებს პოლიციის მთავარი სამმართველოდან და მხოლოდ აღნიშნულ მასალას ეყრდნობოდნენ სამართალწარმოების შეწყვეტისას. გარდა ამისა, ანგარიშები ბალეარის კუნძულების პოლიციის უფ-

როსის მიერ იყო მომზადებული, რომელიც პოლიციის ბრალდებული თანამშრომლების ოფიციალური ზემდგომი თანამდებობის პირი იყო.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2008 წლის 11 მარტს, საქმის ზეპირი განხილვის დროს, ბრალდებულები ოფიციალურად არ იყვნენ იდენტიფიცირებულნი ბ. ს-ს მიერ. სასამართლოს მოსაზრებით, ზეპირი მოსმენა ვერ ჩაითვლებოდა, როგორც დამაკმაყოფილებელი მოთხოვნა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, რადგან მას არ მიეცა შესაძლებლობა დაედგინა პოლიციის შესაბამისი თანამშრომლების ვინაობა. ეროვნულმა სასამართლოებმა უარი განაცხადეს ბ. ს-ს მოთხოვნაზე – ამოცნობის ჩატარებასთან დაკავშირებით, რადგან დიდი დრო იყო გასული და ოფიცრების ამოცნობა გართულდებოდა. ამასთან, ისინი პატრულირების დროს ჩაფხუტებს ატარებდნენ. თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, ბ. ს-ს ეს მოთხოვნა არ იყო გადაჭარბებული.

სასამართლომ მიუთითა, რომ ბ. ს-ს მიერ მიწოდებული სამედიცინო დასკვნების თანახმად, აღნიშნებოდა მარცხენა ხელზე ანთება და შეშუპება, მას შემდეგ, რაც აპლიკანტი 2005 წლის 21 ივლისს შეაჩერეს და გამოკითხეს პოლიციის თანამშრომლებმა. სამედიცინო დოკუმენტაცია ასევე მოიცავდა ინფორმაციას მუცლის ტკივილისა და ხელის და მუხლის დაღურჯების შესახებ, რომელიც გამონვეული იყო 2005 წლის 23 ივლისის ინციდენტით. წინამდებარე ასპექტი არ იქნა გამოძიებული იმ საფუძვლით, რომ სამედიცინო დასკვნები დაუთარილებელი, ხოლო დაზიანებების გამომწვევი მიზეზები არასაკმარისად დამაჯერებელი იყო. თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დასკვნები უნდა ყოფილიყო სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გამოძიების დაწყების საფუძველი. საბოლოოდ, გამომძიებელმა მოსამართლეებმა არ მიიღეს ზომები ინციდენტის მოწმე პირების გამოსაკითხად; არც ბ. ს-ს ბრალდებები გამოიკვლიეს იმასთან დაკავშირებით, რომ იგი პოლიციის განყოფილებაში იქნა გადაყვანილი, რათა ხელი მოეწერა აღიარებითი ჩვენებისთვის, პოლიციისთვის წინააღმდეგობის განევის ბრალდებით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საგამოძიებო მოქმედებები არ იყო საკმარისად სრულყოფილი და ეფექტური კონვენციის მე-3 მუხლის დასაკმაყოფილებლად და დაადგინა წინამდებარე დებულების დარღვევა გამოძიების არაეფექტურობიდან გამომდინარე.

ბრალდებები არასათანადო მოპყრობის შესახებ, როცა აპლიკანტი პოლიციამ შეაჩერა

სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ წამება და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა აკრძალულია აბსოლუტური თვალსაზრისით. მან დაადგინა, რომ ბ. ს-ს მიერ მოწოდებული სამედიცინო დასკვნები არასაკმარისი იყო მისთვის მიყენებული დაზიანებების შესაძლო მიზეზებთან დაკავშირებით და სასამართლოს წინაშე არსებული მტკიცებულება საშუალებას არ იძლეოდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილიყო, თუ როგორ მოხდა დაზიანება. სასამართლოს მიერ შესაბამისი დასკვნის მიღების შეუძლებლობა გამომწვეული იყო ბ. ს-ს საჩივრებზე, არასათანადო მოპყრობის შესახებ, ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ყოვლისმომცველი და ეფექტური გამოძიების არარსებობით. შესაბამისად, სასამართლომ ვერ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ამ კუთხით.

კონვენციის მე-14 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში

სასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფო ორგანოები, როდესაც ძალადობრივ

შემთხვევებს იძიებენ, ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა შესაძლო ზომა, რათა გამოააშკარავონ ნებისმიერი რასობრივი მოტივი და დაადგინონ არსებობდა თუ არა ეთნიკური ნიშნით სიძულვილი, ან წინასწარი განწყობა თამაშობდა თუ არა როლს მოვლენების განვითარებაში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2005 წლის 21 და 25 ივლისის საჩივრებში, ბ.ს. უთითებდა პოლიციის ოფიცრების მხრიდან რასისტული გამოთქმების შესახებ. ბ.ს. ასევე აცხადებდა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა არ შეაჩერეს „ევროპული ფენოტიპის“ ქალბატონი, რომელიც ანალოგიურ საქმიანობას ეწეოდა. ეროვნული სასამართლოების მხრიდან, იხილავდნენ რა აპლიკანტის საქმეს, არ ყოფილა გამოკვლევული წინამდებარე რასისტული მიდგომები. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ბ. ს-ს განსაკუთრებული მონაცვლადობა მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან იგი იყო წარმოშობით აფრიკელი ქალი, რომელიც პროსტიტუციას ეწეოდა. სახელმწიფო ორგანოებს არ ჰქონდათ მიღებული ყველა შესაბამისი ზომა, რათა დაედგინათ იყო თუ არა დისკრიმინაციული მიდგომა მოვლენების განვითარებაში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ ესპანეთი ვალდებული იყო გადაეხადა აპლიკანტისთვის 30,000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურებისა და 1,840.50 ევრო – განუხლები ხარჯებისა და დანახარჯების გამო.

ლ. ი. საბერძნეთის წინააღმდეგ

L.E. v. Greece

(განაცხადი №71545/12; 21/01/2016)

ტრეფიკინგის მსხვერპლის მიერ შეტანილი სისხლის სამართლის საჩივარი არ განხილულა საბერძნეთის ხელისუფლების მიერ კონვენციის შესაბამისად

პალატის გადაწყვეტილებით,² საქმეზე ლ. ი. საბერძნეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლი (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა);

დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი (გონივრულ ვადაში საქმის სა-

² კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

მართლიანი განხილვის უფლება);

დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება).

წინამდებარე საქმე ეხებოდა ნიგერიის მოქალაქის საჩივარს, რომელიც საბერძნეთში იძულებით პროსტიტუციაში ჩააბეს.

სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლად ოფიციალურად აღიარებულ მომჩივანს მაინც დასჭირდა 9 თვეზე მეტი ხნით ლოდინი შესაბამისი ორგანოებისთვის მისი მდგომარეობის შესახებ შეტყობინებიდან, სანამ მართლმსაჯულების სისტემა მას ამ სტატუსს მიანიჭებდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის წინასწარი და შემდგომი გამოძიების ეფექტურობა გარკვეულ ხარვეზებს მოიცავდა. ადმინისტრაციული და სასამართლო პროცესების მიმართ, სასამართლომ აღნიშნა შეყოვნების მრავალი ფაქტი და საბერძნეთის სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებების დარღვევები.

საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა გაჭიანურებული იყო ერთი ინსტანციის სასამართლოსთვის და არ აკმაყოფილებდა „გონივრული ვადის“ მოთხოვნას.

ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი ლ. ი. არის ნიგერიის მოქალაქე, დაბადებული 1982 წელს და ცხოვრობს გლიკა ნერაში (საბერძნეთში).

2004 წლის ივნისში ლ. ი. შევიდა საბერძნეთის ტერიტორიაზე, რომელსაც თან ახლდა კ. ა. იგი სავარაუდოდ დაჰპირდა მომჩივანს, რომ წაიყვანდა საბერძნეთში, ბარებსა და ლამის კლუბებში სამუშაოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სანაცვლოდ გადაუხდოდა 40,000 ევროს და აღნიშნულის შესახებ პოლიციას არ შეატყობინებდა. საბერძნეთში ჩასვლის შემდეგ კ. ა-მ აპლიკანტს ჩამოართვა პასპორტი და აიძულა პროსტიტუციაში ჩაბმულიყო. ლ. ი. ეწეოდა იძულებით პროსტიტუციას დაახლოებით 2 წლის განმავლობაში. აპლიკანტი დაუკავშირდა Nea Zoi-ის – არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც იძულებით პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს უწევდა პრაქტიკულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

2004 წლის 12 ივლისს ლ. ი-მ მიმართა ათენის უცხოელთა დეპარტამენტს თავშესაფრის მიღების თხოვნით. 2005 წლის 8 ივნისს მომჩივანი ინფორმირებული იყო, რომ მას გამოეყო ადგილი წითელი ჯვრის მიმღებ ცენტრში თავშესაფრის მაძიებელთათვის. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ლ. ი. არ წავიდა ცენტრში.

2005 წლის 29 აგვისტოს ლ. ი. დაკავებულ იქნა პროსტიტუციის კანონმდებლობის დარღვევისთვის, საბერძნეთში შესვლისა და ცხოვრებისთვის. იგი გათავისუფლდა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. 2006 წლის მარტში აპლიკანტი კვლავ დააკავეს პროსტიტუციის ბრალდებით, მსჯავრდებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და გათავისუფლდა სააპელაციო სასამართლოს მიერ.

2006 წლის 2 აპრილს პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო უცხოელთა მდგომარეობაზე, გამოსცა გაძევების ბრძანება. აპლი-

კანტის ქვეყნიდან გაძევება შეწყდა იმ მიზეზით, რომ იგი არაგონივრული იყო. 2006 წლის ნოემბერში ლ. ი. კვლავ პროსტიტუციის ბრალდებით დააკავეს და შემდეგ გაათავისუფლეს. შემდეგ იგი მოათავსეს დაკავების ცენტრში, სანამ გააძევებდნენ, რადგან მას არ ჰქონდა საბერძნეთში ბინადრობის ნებართვა.

2006 წლის ნოემბერში, სანამ აპლიკანტი დაკავების ცენტრში იყო მოთავსებული, მან სისხლის სამართლებრივი სარჩელი შეიტანა კ. ა-ს და მისი პარტნიორის – დ. ჯ-ს წინააღმდეგ. ლ. ი. აცხადებდა, რომ იგი ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო და ზემოთ აღნიშნულ 2 პირს ადანაშაულებდა პროსტიტუციის იძულებაში, რომელიც მას და კიდევ 2 სხვა ნიგერიელ ქალს შეეხო. 2006 წლის 28 დეკემბერს ათენის სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორმა უარყო ლ. ი-ს სარჩელი, აღნიშნა, რომ საქმეში არაფერი იყო ისეთი, რაც დაადასტურებდა მის ბრალდებას. 2007 წლის 26 იანვარს ლ. ი-მ მიმართ პროკურორს კვლავ განეხილა მისი საჩივარი და პროცესს, როგორც სამოქალაქო მხარე შეუერთდა. 2007 წლის თებერვალში ათენის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო უცხოელთა მდგომარეობაზე, ბრძანა გაძევების ორდერის შეჩერება. 2007 წლის 21 აგვისტოს პროკურორმა დაიწყო სისხლის სამართალწარმოება კ. ა-ს და დ. ჯ-ს წინააღმდეგ ტრეფიკინგის ბრალდებით. 2009 წლის 20 ივლისს საქმის მოსმენა გადაიდო იმ დრომდე, სანამ მოპასუხეები, რომლებიც ძებნაში იყვნენ, არ დააკავეს. 2011 წლის მაისში დ. ჯ. დაკავებულ იქნა და შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 2012 წლის 20 აპრილს და დაადგინა, რომ დ. ჯ. არ იყო კ. ა-ს თანამზრახველი, პირიქით, იგი იყო კ. ა-ს ერთ-ერთი მსხვერპლი, რომელიც ასევე სექსუალურ ძალადობას ექვემდებარებოდა.

შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა განაახლეს ლ. ი-ს ბინადრობის ნებართვა 2014 წლის 2 ნოემბრამდე.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიდადგენილება

კონვენციის მე-4 მუხლზე დაყრდნობით (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა), ლ. ი-მ განაცხადა, რომ იგი ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო და აიძულეს პროსტიტუციაში ჩაბმულიყო. აპლიკანტი დავობდა, რომ საბერძნეთის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულება კონვენციის შესაბამისი მუხლიდან გამომდინარე, რაც მოიცავდა ამ დებულების დარღვევას.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტსა (გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანად განხილვის უფლება) და მე-13 მუხლზე (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დაყრდნობით, იგი დავობდა სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, სადაც იგი ითხოვდა სამოქალაქო ზიანის ანაზღაურებას. ამასთან, აპლიკანტმა განაცხადა, რომ იმ დროს, მას საბერძნეთში არ ჰქონდა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული საჩივრების მიმართ.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2012 წლის 20 ოქტომბერს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 4

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2, მე-3 მუხლებთან ერთად მე-4 მუხლი მოიცავდა ევროპის საბჭოს დემოკრატიული საზოგადოების ძირითად ღირებულებებს. მე-4 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებდა რიგ პოზიტიურ ვალდებულებებს, რომელიც ეხებოდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაბამის დროს საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 351-ე მუხლი განმარტავდა ტრეფიკინგს პალერმოს პროტოკოლისა და ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის შესაბამისად. სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ დროს მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობით შესაძლებელი იყო ლ. ი-ს პრაქტიკული და ეფექტური დაცვა.

2006 წლის 29 ნოემბერს, მთელი დაკავების პერიოდის განმავლობაში, ლ. ი-მ ცხადად აცნობა სახელმწიფო უწყებებს, რომ იგი იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი. ამ თარიღამდე, აპლიკანტს შესაბამისი ორგანოების ყურადღება არ მოუთხოვია, მისი – როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლის მდგომარეობასთან დაკავშირებით. შესაბამისი ორგანოები, რომლებიც აპლიკანტის მიერ გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ კ. ა. და დ. ჯ. აიძულებდნენ მას პროსტიტუციაში ჩაბმას, გულგრილნი არ იყვნენ აღნიშნული ფაქტის მიმართ. პოლიციამ მიიღო იმნუთიერი გადაწყვეტილება, გადაეცა ლ. ი. პოლიციის სპეციალური დეპარტამენტისთვის, რათა გამოძიება ჩატარებულიყო მომჩივნის ბრალდებების ნათელყოფის ფონზე. შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, აპლიკანტის გაძევების პროცედურები შეწყდა და მას მიენიჭა ბინადრობის ნებართვა, რომლის საფუძველზე შეეძლო საბერძნეთის ტერიტორიაზე დარჩენა.

2007 წლის 21 აგვისტოს ათენის სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორმა ოფიციალურად დაადგინა ლ. ი., როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლი, რაც დადასტურდა ათენის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუმცა პროკურორს ლ. ი-ს მიერ შესაბამისი ორგანოებისადმი საკუთარი მდგომარეობის შესახებ შეტყობინებიდან 9 თვის განმავლობაში მისთვის არ მიუნიჭებია აღნიშნული სტატუსი. ასევე, 2006 წლის დეკემბერში ე. ს-მა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია Nea Zoi-ის დირექტორი იყო, აპლიკანტს დახმარებას უწევდა. ე. ს-მ დაადასტურა ამ უკანასკნელის განცხადებები და დაამტკიცა, რომ მას ნამდვილად ესაჭიროებოდა ასეთი ტიპის სახელმწიფო დახმარება. ე. ს-ს ეს განცხადება არ იყო საქმის მასალებში შესული დიდი ხნის განმავლობაში. შედეგად, ლ. ი-ს განცხადებასა და შესაბამისი ორგანოების მიერ მომჩივნის მსხვერპლის სტატუსის აღიარებას შორის 9 თვის პერიოდი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც „გონივრული“. ეროვნული ხელისუფლების ორგანოების დაყოვნება ლ. ი-ს დაცვის ღონისძიებების განუხორციელებლობას წარმოადგენდა.

ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოების მხრივ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ლ. ი-ს პირველი საჩივარი უარყოფილ იქნა პროკურორის მიერ. ამ უკანასკნელს არ ჰქონდა წვდომა მოწმის ჩვენებაზე, რომელიც მიცემულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციის Nea Zoi-ს დირექტორის – ე. ს-ს მიერ. მან დაადასტურა ლ. ი-ს მოთხოვნები. აღნიშნული მოწმის ჩვენება არ იყო შესული საქმის მასალებში პოლიციის მაღალჩინოსნების დაუდევრობის გამო. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც მოწმის ჩვენება დაემატა საქმის მასალებს, მართლმსაჯულების განმახორ-

ციელებელმა ორგანოებმა არ განაახლეს საჩივრის განხილვა საკუთარი ინიციატივით. აპლიკანტს თავად უნდა განეხილებინა სამართალწარმოება 2007 წლის 26 იანვარს პროკურატურისთვის მიმართვით. ამასთან, 2007 წლის 1 იანვრამდე პროკურორს არ გამოუცია ბრძანება სისხლის სამართალწარმოების დაწყების თაობაზე. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე ახსნა-განმარტება ამ პერიოდის უმოქმედობასთან დაკავშირებით, რომელიც გაგრძელდა 5 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

წინასწარ და შემდგომ გამოძიებასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ რიგმა ხარვეზებმა შეარყიეს აღნიშნული მოქმედებების ეფექტურობა. ლ. ი-ს ბრალდების შემდეგ, სახლი მაშინვე მოექცა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა კ. ა-ს – სავარაუდო დამნაშავის ადგილსამყოფელი განესაზღვრათ. თუმცა მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ იგი აღარ იმყოფებოდა შესაბამის მისამართზე, პოლიციას ძებნისთვის ფართომასშტაბიანი სახე აღარ მიუცია ორი სხვა მისამართის მიხედვით, რომელიც კონკრეტულად ლ. ი-ს მიერ იყო აღნიშნული მის განცხადებაში. არც ის იკვეთებოდა, რომ პოლიცია ცდილობდა სხვა ინფორმაციის შეგროვებას შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით. არსებობდა მნიშვნელოვანი შეფერხებები წინასწარ გამოკვლევასა და საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც სისხლის სამართალწარმოება დაიწყო კ. ა-ს და დ. ჯ-ს მიმართ 2007 წლის 21 აგვისტოს, დაახლოებით 4 წელსა და 8 თვეზე მეტი დრო გავიდა, სანამ ათენის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე სასამართლოს სხდომა გაიმართებოდა.

საბოლოოდ, კ. ა-ს მიმართ, რომელიც სავარაუდოდ ძირითადი ბრალდებული იყო ტრეფიკინგის დანაშაულში, არ არსებობდა მტკიცებულება, რომ პოლიციამ მიიღო შემდგომი ხელშესახები ზომები მის საპოვნელად და მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად და მხოლოდ შემოიფარგლა ამ პირის სახელის დამნაშავეთა საარქივო მასალებში შეყვანით. ხელისუფლების ორგანოებს არ დაუმყარებიათ კონტაქტი ან არ უთანამშრომლიათ ნიგერიის ხელისუფლებასთან, რათა დაეკავებინათ დამნაშავე.

სასამართლომ აღნიშნა გამოძიების სწრაფად განხორციელების არარსებობის თაობაზე, ასევე საბერძნეთის ხელისუფლების მხრიდან კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე არსებული პროცედურული ვალდებულებების შეუსრულებლობა და დაადგინა, რომ დაირღვა წინამდებარე მუხლი.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-13 მუხლი

სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან მიმართებით, მხედველობაში მისაღები პერიოდი დაიწყო 2007 წლის 26 იანვარს, როცა ლ. ი-მ განაცხადა მისი განზრახვის შესახებ ჩაბმულიყო სამართალწარმოების პროცესში, როგორც სამოქალაქო პირი და დასრულდა 2012 წლის 20 აპრილს, როცა სასამართლომ გამოიტანა გადანყვეტილება. შესაბამისად, საქმე გაგრძელდა 5 წლის განმავლობაში და 2 თვეზე მეტ ხანს ერთ ინსტანციაში. გამოძიების ეტაპზე და საქმის სირთულის შეფასების გარეშე, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაახლოებით 2-ნახევარი წელი გავიდა ლ. ი-ს, როგორც სამოქალაქო პირის მიერ განაცხადის შეტანიდან სამართალწარმოებაში ჩართვის მიზნით და 2009 წლის 20 ივლისიდან, როცა საქმის განხილვა შეწყდა ბრალდებულთა მოძებნამდე და დაკავებამდე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა გაჭიანურებული იყო ერთი ინსტანციის სასამართლოსთვის და არ აკმაყოფილებდა „გონივრუ-

ლი ვადის“ მოთხოვნას. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობასთან დაკავშირებით, რათა გაესაჩივრებინათ სამართალწარმოების ხანგრძლივობა, სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ დროს, საბერძნეთის სამართლებრივი სისტემა არ უზრუნველყოფდა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებას კონვენციის მე-13 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში იმ საჩივრებთან დაკავშირებით, რომელიც სამართალწარმოების ხანგრძლივობას ეხებოდა. ეროვნულ სამართალში შესაბამისი დაცვის საშუალების არარსებობის გამო, რომლითაც ლ. ი. შეძლებდა მისი უფლების აღსრულებას – გონივრულ ვადაში საქმის განხილვის შესახებ, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ საბერძნეთს ლ. ი-სთვის უნდა გადაეხადა 12 000 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და 3 000 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების მიზნებიდან გამომდინარე.

პ. და ს. პოლონეთის წინააღმდეგ

P. and S. v. Poland

(განაცხადი N57375/08; 30.10.2012)

არასრულწლოვან გაუპატიურებულ გოგონას უნდა ჰქონდეს დაუბრკოლებელი წვდომა აბორტზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებით, საქმეზე პ. და ს. პოლონეთის წინააღმდეგ, რომელიც არ არის საბოლოო³, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ:

დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ორივე აპლიკანტის მიმართ კანონიერი აბორტისადმი ხელმისაწვდომობის განსაზღვრის გამო (ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ) და აპლიკანტების პერსონალური მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებით (ერთხმად).

სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი (თავისუფლებისა და უსაფ-

³ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

რთხოების უფლება) პ-სთან მიმართებით და მე-3 მუხლი (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) პ-სთან მიმართებით.

საქმე ეხებოდა გაუპატიურების შედეგად დაფეხმძიმებული მოზარდი გოგონასთვის შექმნილ სირთულეებს, რაც უკავშირდებოდა აბორტზე ხელმისაწვდომობის უფლებას, კერძოდ, არასაკმარისად ცხად სამართლებრივ ჩარჩოს, დაყოვნებულ სამედიცინო პერსონალს და ასევე, განცდილ ძალადობას.

კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ: აპლიკანტებს მიენოდათ არასწორი და ურთიერთსაპირისპირო ინფორმაცია და არ ჰქონდათ მიღებული ობიექტური სამედიცინო მომსახურება; ის ფაქტი, რომ აბორტზე ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენდა ცხარე კამათის საფუძველს პოლონეთში არ ათავისუფლებდა სამედიცინო პერსონალს მათი პროფესიული ვალდებულებებისგან საექიმო საიდუმლოების დაცვის შესახებ.

ფაქტობრივი გარემოებაები

აპლიკანტები – პ. და ს. – ქალიშვილი და დედა არიან პოლონეთის მოქალაქეები, დაბადებულნი 1993 და 1974 წლებში და ცხოვრობენ ლუბლინში (პოლონეთში). 2008 წელს პ. 14 წლის ასაკში დაორსულდა გაუპატიურების შედეგად. ოჯახის დაგეგმვის შესახებ 1993 წლის კანონის შესაბამისად, აბორტის გასაკეთებლად აპლიკანტმა 2008 წლის 20 მაისს მიიღო პროკურორის ნებართვა, რადგან მისი ორსულობა გამოწვეული იყო უკანონო სექსუალური აქტის შედეგად.

მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათ შემდგომში შეექმნათ მნიშვნელოვანი სირთულეები აბორტის გაკეთებასთან დაკავშირებით. აპლიკანტებმა მიიღეს ურთიერთსაპირისპირო ინფორმაცია ლუბლინის ორი საჯარო საავადმყოფოდან. კერძოდ, გარდა პროკურორის ნებართვისა სჭირდებოდათ თუ არა მათ მიმართვა გინეკოლოგიისა და მეანობის რეგიონალური კონსულტანტისგან, თუ ვის შეეძლო აბორტის გაკეთება, ვინ იყო უფლებამოსილი შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაზე, არსებობდა თუ არა კანონით გათვალისწინებული რაიმე მოცდის ვადა და არსებობის შემთხვევაში, რა სხვა პირობები, უნდა დაკმაყოფილებულიყო. ერთ-ერთი საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების უფროსმა პ. ნაიყვანა კათოლიკე მღვდელთან ისე, რომ არც უკითხავს სურდა თუ არა მას ეს. საუბრის დროს, ცხადი გახდა, რომ მღვდელი უკვე ინფორმირებული იყო მომჩივნის ფეხმძიმობის და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა პ. მიეყვანა ორსულობა ბოლომდე და სთხოვა მისი მობილური ტელეფონის ნომერი. აპლიკანტმა შეასრულა მღვდლის თხოვნა. მთავარმა გინეკოლოგმა ს-ს სთხოვა ხელი მოეწერა აბორტზე თანხმობის ფორმისთვის, რის საფუძველზეც იგი გაფრთხილებული იყო, რომ აბორტი გამოიწვევდა მისი ქალიშვილის სიკვდილს. საბოლოოდ, ს-სთან კამათის შემდეგ, მთავარმა გინეკოლოგმა უარი თქვა მის განყოფილებაში აბორტის გაკეთების ნებართვის გაცემაზე, დაეყრდნო რა მომჩივნის რელიგიურ შეხედულებებს.

ლუბლინის საავადმყოფომ გამოსცა პრეს-რელიზი იმის შესახებ, რომ იგი არ ჩაატარებდა აბორტის ოპერაციას პ-ს შემთხვევაში. ის ჟურნალისტები, რომლებიც დაუკავშირდნენ საავადმყოფოს, ინფორმირებულნი იყვნენ საქმის გარემოებების შესახებ. სტატიათა გარკვეული რაოდენობა გამოქვეყნდა რამდენიმე ადგილობრივ და ეროვნულ გაზეთში და წინამდებარე საქმე გახდა ინტერნეტში მსჯელობის საგანი.

ამის შემდეგ, აპლიკანტები გაემგზავრნენ ვარშავაში, სადაც პ. მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში 2008 წლის 3 ივნისს. მას აცნობეს, რომ შეეძლო აბორტის გაკეთება პროკურორის მიერ გაცემული მოწმობისა და გინეკოლოგიის ეროვნული კონსულტანტის მიერ გამოცემული სამედიცინო ცნობის საფუძველზე, მაგრამ უნდა მოეცადა 3 დღე, სანამ აბორტის ოპერაცია ჩაუტარდებოდა. ამ დროს ექიმმა შეატყობინა აპლიკანტს, რომ საავადმყოფო განიცდიდა ზენოლას სხვადასხვა ადამიანების მხრიდან არ გაეკეთებინა აბორტი და იგი იღებდა უამრავ წერილს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სადაც აპლიკანტები გაკრიტიკებულნი იყვნენ მათი გადაწყვეტილების გამო. პ. ასევე იღებდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს მღვდლისა და სხვა უცნობი ადამიანებისგან, რომლებიც ცდილობდნენ მის დარწმუნებას, რომ უარი ეთქვა აბორტზე.

ზენოლის გამო მომჩივნებმა საავადმყოფო დატოვეს 2008 წლის 5 ივნისს და უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი შეწუხებულნი იყვნენ აბორტის მოწინააღმდეგე აქტივისტების მხრიდან და მოგვიანებით გადაყვანილნი იყვნენ პოლიციის განყოფილებაში, სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ. იმავე დღეს, პოლიცია ინფორმირებული იყო ლუბლინის საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე. აღნიშნულმა სასამართლომ გასცა ბრძანება პ-ს არასრულწლოვანთა თავშესაფარში მოთავსებასთან დაკავშირებით, რომელიც დროებით ზომას წარმოადგენდა იმ სამართალწარმოების დროს, რაც ს-ს მშობლის უფლებების ჩამორთმევას უკავშირდებოდა, რადგან პ. დედის მხრიდან იმყოფებოდა ზენოლის ქვეშ გაეკეთებინა აბორტი, რომელიც მას არ სურდა. მოგვიანებით, პოლიციამ პ. წაიყვანა ლუბლინში და იმავე ღამეს მოათავსეს არასრულწლოვანთა თავშესაფარში. იტანჯებოდა რა ტკივილისგან, აპლიკანტი მომდევნო დღეს გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც იგი დარჩა ერთი კვირის განმავლობაში.

ჯანდაცვის სამინისტროში საჩივრის შეტანის შემდეგ, ს-ს საბოლოოდ შეატყობინეს, რომ პ-ს შეეძლო აბორტის გაკეთება გდანსკში, დაახლოებით 500 კმ-ზე ლუბლინში მდებარე მათი სახლიდან. მომჩივნების მიხედვით, ისინი გდანსკში ფარულად გადაიყვანეს, სადაც აბორტის ოპერაცია ჩატარდა 2008 წლის 17 ივნისს.

საოჯახო საქმეების განმხილველ სასამართლოში სამართალწარმოება შეწყდა 2009 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც პ. შემომნებულ იქნა, რომ აპლიკანტს დედა არ აიძულებდა აბორტის გაკეთებას და სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა მომჩივნის მშობლებისთვის მშობლის უფლებების ჩამორთმევის საფუძველები. სისხლის სამართალწარმოება პ-ს წინააღმდეგ დაიწყო 2008 წლის ივლისში, არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დამყარების ბრალდებით, რომელიც შეწყდა 2008 წლის ნოემბერში. ასევე შეწყდა გამოძიება გაუპატიურებაში სავარაუდო დამნაშავეის წინააღმდეგ.

საჩივარი, პროცედურა და სასამართლოს შიშაღგენლობა

მომჩივნები ჩიოდნენ, რომ მათი უფლებები კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაირღვა როგორც ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობით, რომელიც უზრუნველყოფდა პ-ს დროულ და შეუფერხებელ უფლებას აბორტზე შესაბამისი კანონებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და შედეგად საქმის შესახებ ინფორმაციის საჯარო გამჟღავნების გამო. ეყრდნობოდნენ რა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ პარაგრაფს (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), ისინი დავობდნენ, რომ პ-ს დედის მეურვეობის გარეშე დატოვება და მისი მოთავსება არას-

რულნლოვანთა თავშესაფარსა და საავადმყოფოში უკანონო იყო. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა).

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2008 წლის 18 ნოემბერს. ქვემოთ მოცემულ ორგანიზაციებს უფლება მიეცათ წარედგინათ ნერილობითი მოსაზრებები, როგორც მესამე პირებს: პოლონეთის ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდს, კანონის უზენაესობის ინსტიტუტს (ლუბლინი, პოლონეთი); ქორამის ბავშვთან სამართლებრივ ცენტრს (ლონდონი); კანონისა და სამართლიანობის ევროპულ ცენტრს (სტრასბურგი) და ამნესტი ინტერნეიშენალს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 8

რაც შეეხება საჩივარს, რომელიც ეხებოდა აბორტის შეუზღუდავი უფლების არარსებობას, სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლონეთის ხელისუფლებამ იმჯგელა ექიმის უფლების შესახებ კონვენციის მე-9 მუხლიდან (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) გამომდინარე, რათა უარი ეთქვა გარკვეულ მომსახურებაზე მისი რწმენის საფუძველზე. თუმცა სახელმწიფოებს ჰქონდათ ვალდებულება მათი ჯანდაცვის სისტემა ისე მოეწყობა, რომ აღნიშნული უფლების განხორციელებას ხელი არ შეეშალა პაციენტებისთვის მიეღოთ კანონით გათვალისწინებული მომსახურება.

პოლონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ისეთ მექანიზმებს, რისი მეშვეობითაც ექიმების უფლება – საკუთარი რწმენის საფუძველზე უარი ეთქვათ გარკვეული სახის პროცედურებზე, შესაბამისი ყოფილიყო პაციენტების ინტერესებთან, კერძოდ, ექიმის დავალდებულებით პაციენტი სხვა ექიმთან გადაემისამართებინა, რომელიც იმავე მომსახურებას გაუწევდა. თუმცა პ-ს საქმეში არ გამოჩნდა, რომ აღნიშნული მოთხოვნები შესრულებული იყო. სამედიცინო პერსონალმა არ განიხილა სავალდებულოდ ჩაეტარებინათ აბორტის ოპერაცია, რომელიც ცხადად იყო მოთხოვნილი აპლიკანტების მხრიდან. მომჩივნებს მიეწოდათ არასწორი და ურთიერთსაპირისპირო ინფორმაცია და არ მიუღიათ ობიექტური სამედიცინო კონსულტაცია. მომჩივნებისთვის არ არსებობდა დადგენილი პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ისინი მათ მოსაზრებებს მოისმენდნენ.

გარდა ამისა, საქმის გარემოებებიდან არ ჩანდა, რომ პოლონეთის კანონმდებლობა საშუალებას იძლეოდა ს-ს მოთხოვნები გადაწყვეტილიყო იმგვარად, რომ მისი შეხედულებები და დამოკიდებულებები სამართლიანი და შესაბამისი ყოფილიყო მისი ფეხმძიმე ქალიშვილის ინტერესებთან მიმართებით. მეურვეობა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო, როგორც ავტომატური უფლება არასრულწლოვანი მშობლისა, მიეღო გადაწყვეტილებები შვილის რეპროდუქციულ არჩევანთან დაკავშირებით. თუმცა, არ შეიძლებოდა არ აღნიშნულიყო ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი ფეხმძიმე გოგონას დედის ინტერესები არ იყო გათვალისწინებული, მიეყვანა თუ არა ფეხმძიმობა ბოლომდე.

სასამართლომ უკვე დაადგინა სხვა საქმეში⁴, რომ სამოქალაქო სამართლის ის

⁴ Tysiac v. Poland (5410/03), Chamber judgment of 20 March 2007.

დებულებები, რომელიც გამოყენებული იყო პოლონეთის სასამართლოების მიერ არ უზრუნველყოფდა ხელმისაწვდომ პროცედურულ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ფეხმძიმე გოგონა, რომელსაც აბორტის გაკეთება სურდა, შეძლებდა სრულად დაეცვა საკუთარი უფლება მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის შესახებ. არ არსებობდა იმის საფუძვლები, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა სხვა დასკვნის გამოტანა პ-ს საქმეზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სანდო ინფორმაციის ეფექტური ხელმისაწვდომობა კანონიერი აბორტის უფლების პირობებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ პირდაპირ შეესაბამებოდა პირადი ნების განხორციელებას. დროის ფაქტორი კრიტიკული მნიშვნელობის იყო ქალის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შეენწყვიტა ორსულობა თუ არა. იმ გაურკვევლობამ, რომლის წინაშეც პ. იდგა, მიუხედავად იმისა, რომ მას უფლება ჰქონდა კანონიერ აბორტზე 1993 წლის ოჯახის დაგეგმვის აქტის მიხედვით, გამოიწვია აშკარა განსხვავება თეორიულ უფლებასა და მისი განხორციელების რეალურობას შორის. წინამდებარე გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

რაც შეეხება იმ საჩივარს, რომელიც უკავშირდებოდა აპლიკანტის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას, სასამართლომ აღნიშნა იმ ფაქტის უტყუარობა, რომ ლუბლინის საავადმყოფომ გაავრცელა პრეს-რელიზი პ-ს საქმესთან დაკავშირებით და იმ ყურნალისტებს, რომლებიც დაუკავშირდნენ საავადმყოფოს მიეცათ ინფორმაცია აღნიშნული გარემოებების შესახებ. ხელისუფლება დავობდა, რომ პრეს-რელიზი არ შეიცავდა აპლიკანტის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს ან სხვა დეტალებს, რომელიც მათი ვინაობის დადგენის საშუალებას შესაძლებელს გახდიდა. თუმცა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია იმდენად დეტალური აღმოჩნდა, რომ საკმარისი იყო მესამე პირებისთვის დაედგინათ აპლიკანტის ადგილსამყოფელი და მიემართათ მისთვის. აღნიშნული პრეს-რელიზის გამოქვეყნების შემდეგ პ-ს დაუკავშირდა სხვადასხვა პიროვნება, რომლებიც მოუწოდებდნენ მას უარი ეთქვა აბორტის გაკეთებაზე. ის ფაქტი, რომ პ-მ მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაუმხილა მისი მდგომარეობა მეგობარს, არ შეიძლებოდა გატოლებოდა საჯაროდ ინფორმაციის გამჟღავნების განზრახვას. შესაბამისად, განხორციელდა აპლიკანტის კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა.

სასამართლომ არ დაადგინა, რომ ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. ის ფაქტი, რომ პოლონეთში კანონიერი აბორტის ხელმისაწვდომობის საკითხი ცხარე განხილვის საგანი იყო, არ ათავისუფლებს სამედიცინო პერსონალს მისი პროფესიული ვალდებულებებისგან – დაიცვას სამედიცინო საიდუმლოება. არ დამტკიცებულა ან განხილულა, რომ არსებობდა რაიმე საგამონაკლისო გარემოებები, რათა გამართლებულიყო საჯარო ინტერესი პ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არ მითითებულა რაიმე სამართლებრივი დებულება, რომლის საფუძველზეც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელი იქნებოდა საჯაროდ პრეს-რელიზის მეშვეობით გასამჟღავნებლად. შესაბამისად, ამ კუთხითაც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

მუხლი 5 პარაგრაფი 1

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრა-

ფი. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ პ-ს არასრულწლოვანთა თავშესაფარში მოთავსების ძირითადი მიზეზი იყო მისი განცალკევება მშობლებისგან და აბორტის გაკეთების თავიდან აცილება. ამ ფონზე, მომჩივნის მოთავსება არ შეიძლებოდა გამართლებულიყო, როგორც არასრულწლოვნის დაპატიმრება აღმზრდელობითი ზედამხედველობის განსახორციელებლად, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მნიშვნელობის ფარგლებში. რადგან შესაბამისი ორგანოები შემოთავაზებულნი იყვნენ, რომ პ-ს ნების საწინააღმდეგოდ აბორტი გაუკეთებოდა, სასამართლოთა მხრიდან უფრო ნაკლებად მკაცრი ზომები უნდა გამოყენებულიყო (მაგრამ არ იქნა გამოყენებული), ვიდრე 14 წლის გოგონასთვის თავისუფლების შეზღუდვა იყო.

მუხლი 3

იმ დროს პ. მხოლოდ 14 წლის იყო და გაუპატიურების შემდეგ გაცემული სამედიცინო ცნობის მიხედვით, მას ჰქონდა სისხლჩაქცევები ტანზე. აღნიშნული ფაქტი მიუთითებდა, რომ ფიზიკური ძალა იქნა გამოყენებული მისი წინააღმდეგობის დასაძლევად. სასამართლომ დაასკვნა, რომ პ. იყო განსაკუთრებულად მონყვლად მდგომარეობაში, როცა საავადმყოფოში მოათავსეს. მთავარი ექიმის მხრიდან მომჩივანზე ზეწოლა განხორციელდა, რათა გავლენა მოეხდინა მის შეხედულებებზე და პ. ვალდებული გახდა მღვდელს გასაუბრებოდა, იმის მიუხედავად, სურდა თუ არა ეს მას. მნიშვნელოვანი ზეწოლა მოხდა აპლიკანტსა და მის დედაზე. კერძოდ, ამ უკანასკნელს მოეთხოვა, რომ ხელი მოეწერა თანხმობის ფორმაზე, რომლის მიხედვითაც იგი გაფრთხილებული იყო, რომ აბორტს შეეძლო მისი ქალიშვილის სიკვდილი გამოეწვია. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ წინასწარ რაიმე დამაჯერებელი მიზეზები არ ყოფილა მოხმობილი, რომ აბორტი ამ უკანასკნელ შემთხვევაში ასეთ საფრთხეს მოიცავდა.

გარდა ამისა, როცა პ. იძულებას დაექვემდებარა, იმის ნაცვლად, რომ პოლიციის მხრიდან დაცული ყოფილიყო, იგი მოათავსეს არასრულწლოვანთა თავშესაფარში, საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. სასამართლო განსაკუთრებით შეძრულია იმ ფაქტით, რომ ხელისუფლების ორგანოებმა დაიწყეს სისხლის სამართალწარმოება უკანონო სექსობრივი კავშირის ბრალდებით აპლიკანტის წინააღმდეგ, რომელიც პროკურორის ორდერისა და ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით უნდა მიჩნეულიყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლად. ასეთი მიდგომა სცდებოდა სახელმწიფოს ვალდებულებებს, დაედგინა და ეფექტურად გამოეყენებინა სისხლის სამართლებრივი სისტემა, რომელიც დასჯიდა სექსუალური ძალადობის ყველა ფორმას.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების კუმულატიურად გათვალისწინების საფუძველზე, მათ შორის, დაყოვნების, ობიექტური კონსულტაციის არარსებობისა და პ-ს დედისგან განცალკევების პირობებში, სასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტი დაექვემდებარა ისეთ მოპყრობას, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო იყო.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთის ხელისუფლებას უნდა გადაეხადა პ-სთვის 30.000 ევრო და ს-სთვის – 15.000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით და 16.000 ევრო – ორივე აპლიკანტისთვის ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

პ. მ. ბულგარეთის წინააღმდეგ

P. M. v. Bulgaria

(განაცხადი №49669/07; 24.01.2012)

ბულგარეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ წარმოებული გამოძიება 13 წლის გოგონას გაუპატიურებასთან დაკავშირებით იყო საკმაოდ ნელი

პალატის გადაწყვეტილებით, საქმეზე პ. მ. ბულგარეთის წინააღმდეგ, რომელიც არ არის საბოლოო⁵, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება კონვენციის მე-3 მუხლიდან (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) გამომდინარე, რათა გამოეძიებინათ სექსუალური ძალადობის საქმეები.

საქმე შეეხებოდა აპლიკანტის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ 13 წლის გაუპატიურებულის მიმართ გამოძიების დასრულებას სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დასჭირდა 15 წელზე მეტი და მას არ ჰქონდა სამართლებრივი დაცვის საშუალებები იმ გულგრილობის წინააღმდეგ, რომელიც მოძალადეების სისხლის სამართლებრივი დევნის მიმართ იყო.

ფაქტობრივი გარემოებაები

აპლიკანტი, პ. მ. არის ბულგარეთის მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1977 წელს და ცხოვრობს სტარა ზაგორაში (ბულგარეთში).

1991 წლის მარტში პ. მ. – რომელიც იმ დროს 13 წლის იყო – წავიდა წვეულებაზე 21 წლის ახალგაზრდა მამაკაცის სახლში. მომჩივანი შეაშინა და გააუპატიურა წვეულებაზე დამსწრე ერთ-ერთმა სტუმარმა – 17 წლის მამაკაცმა. შემდეგ, პ. მ. ცემა სახლის მასპინძელმა, რომელიც ასევე ცდილობდა მის გაუპატიურებას, მაგრამ აღნიშნულის განხორციელებაში ხელი შეუშალა დედამ, რომელიც იმ დროს სახლში დაბრუნდა.

პ. მ-მა მოუყვა მის მშობლებს მომხდარის შესახებ, მათ შვილი წაიყვანეს ექიმთან და აღნიშნული ფაქტის შესახებ შეატყობინეს პოლიციას. სამედიცინო დასკვნაში, რომელიც იმავე დღით დათარიღდა, დადასტურდა საქალწულე აპკის დაზიანება და რამდენიმე სისხლჩაქცევა დაზარალებულის თავზე.

1991 წლის აპრილს პ. მ-ს დედა ჩიოდა პოლიციაში, რომ ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა სექსუალური ძალადობა განახორციელა თავის ქალიშვილზე. პოლიციამ დაინიშნო მოკვლევა და გამოკითხა პ. მ. მათ ასევე გამოკითხეს სავარაუდო მოძალადეები, განსაზღვრეს რა მათი მისამართები.

⁵ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

1992 წლის იანვარში პროკურორმა დაიწყო სისხლის სამართალწარმოება ორი ახალგაზრდა მამაკაცის წინააღმდეგ, იმის გამო, რომ იმავე წლის ნოემბერში ერთ-ერთი მათგანი დაეკავებინა, რადგან მეორე ბრალდებულის ადგილსამყოფელი უცნობი იყო. არ არსებობდა ინფორმაცია იმის შესახებ, ხელისუფლების ორგანოებმა მიიღეს თუ არა რაიმე ზომები მათ მოსაძებნად.

8 წლის შემდეგ, 2000 წლის დეკემბერში, სისხლის სამართლის საქმე განახლდა და ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედება განხორციელდა. თუმცა პროკურორმა ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ შეწყვიტა სისხლის სამართალწარმოება 2003 წლის სექტემბერში იმ საფუძველით, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. მომდევნო წლის მარტში მეორე ბრალდებულის მიმართაც შეწყდა სისხლის სამართლის საქმე, რადგან პროკურორმა დაადგინა, რომ ამ უკანასკნელის მიმართ არსებული ბრალდებები დაუსაბუთებელი იყო და დიდი დროის გასვლის გამო, შეუძლებელი იყო ახალი მტკიცებულების შეგროვება.

ორჯერ შეწყვეტილი სამართალწარმოება კვლავ განახლდა. 2005 წლის ნოემბერში, ერთ-ერთ ბრალდებულს მსჯავრი დაედო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაუპატიურებისთვის, მაგრამ გათავისუფლდა პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მიუხედავად იმისა, რომ იმავე სასამართლომ მეორე ბრალდებული დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი გაუპატიურებისთვის და მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, უმაღლესმა სასამართლომ შეწყვიტა სამართალწარმოება მის მიმართ, რადგან ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. პ. მ-ს აღნიშნული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიდადგენილება

კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით პ. მ. დავობდა, რომ იმ სექსუალური ხასიათის დანაშაულების გამოძიება, რომლის მსხვერპლიც თვითონ აღმოჩნდა, არაეფექტური იყო და მას შეეძლო აღნიშნული ფაქტის გასაჩივრება.

განაცხადი შევიდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2007 წლის 25 ოქტომბერს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

დასაშვებობა

სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ პ. მ-ს მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულები ჩადენილი იყო მანამდე, სანამ ბულგარეთი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნევრი სახელმწიფო გახდებოდა (1992 წლის 7 სექტემბერი), გამოძიება აღნიშნულ დანაშაულებზე განხორციელდა ამ თარიღის შემდეგ. შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილა განაცხადი, როგორც კი გამოძიებას შეეხებოდა საქმე.

გარდა ამისა, პ. მ-ს არ გაუსაჩივრებია ბოლო გადაწყვეტილება სამართალწარმოების პროცესების შესაჩერებლად, რადგან ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა იმ პირის მიმართ, რომელიც ბრალდებული იყო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი გაუპატიურებისთვის. თუმცა ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სიცხადეზე დაყრდნობით, სასამართლომ დაასკვნა, რომ გასაჩივრება ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ გაეუქმებინა სამართალწარმოების შეწყვეტა.

შესაბამისად, პ. მ-ს საჩივარი დასაშვები იყო.

მუხლი 3

გამოძიება

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც იგი გახდა უფლებამოსილი განეხილა საქმე (1992 წლის 7 სექტემბერი, ბულგარეთის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღი), გამოძიება პ. მ-ს გაუპატიურების საჩივართან დაკავშირებით იყო არაეფექტური. არც ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადადგმულა იმ საფუძვლით, რომ ერთ-ერთი ბრალდებულის მისამართი იყო უცნობი.

თუმცა, როცა საბოლოოდ მისი ადგილსამყოფელი დაადგინეს 8 წლის შემდეგ, ბრალდებულს ნამდვილად არასდროს შუცვლია თავისი ადგილსამყოფელი და ამ ხნის განმავლობაში პოვნის არც ერთი მცდელობა არ ყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთის ხელისუფლების ორგანოების უმოქმედობა თვითნებობის ზღვარზე გადაიდა, ფაქტების სიმძიმისა და პ. მ-ს ასაკის გათვალისწინებით. იმის გამო, რომ გამოძიება განსაკუთრებულად ნელა მიდიოდა, გასაკვირი არ იყო, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა ხანდაზმული გახდა. აქედან გამომდინარე, გამოძიება არაეფექტური იყო, მიუხედავად იმისა, რომ საქმის გარემოებები და დამნაშავეთა ვინაობა დადგენილი იყო.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთმა უნდა გადაუხადოს პ. მ-ს 15,000 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და 3,000 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების მიზნებისთვის.

იზჩი თურქეთის წინააღმდეგ

Izci v. Turkey

(განაცხადი №42606/05; 23/07/2013)

თურქეთი საჭიროებს ახალი მიდგომების შემუშავებას, რათა აღკვეთოს პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალისა და ცრემლსადენი გაზის არამიზანშენილი და გადაჭარბებული გამოყენება მშვიდობიანი დემონსტრაციების დროს

პალატის გადაწყვეტილებაში – იზჩი თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც არ არის საბოლოო⁶, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა:

⁶ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა/ეფექტური გამოძიების არარსებობა);

მე-11 მუხლის დარღვევა (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება)

საქმე ეხებოდა თურქ ქალბატონს, რომელიც დავობდა, რომ იგი გახდა პოლიციის მხრიდან ძალადობის ობიექტი მას შემდეგ, რაც მონაწილეობა მიიღო სტამბოლში ქალთა დღისადმი მიძღვნილ მშვიდობიან დემონსტრაციაში. პოლიციის მხრიდან მსგავსი სისასტიკე შეწყნარებული იყო და ხშირად რჩებოდა დაუსჯელი.

სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის წინააღმდეგ არსებული ბევრი სხვა საქმის მსგავსად, პოლიციის თანამშრომლებმა ვერ უზრუნველყვეს ტოლერანტული და თავშეკავებული დამოკიდებულება, როდესაც ისინი მშვიდობიანი მანიფესტაციის დაშლას ცდილობდნენ, რომელიც არც ძალადობრივი ხასიათის იყო და არც საზოგადოებრივ წესრიგს უქმნიდა საფრთხეს. აქციის მონაწილეების მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენებამ გამოიწვია მომჩივნის ჯანმრთელობის დაზიანება. გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლების მიერ პოლიციის პასუხისმგებელი თანამშრომლების დაუდგენლობამ და დაუსჯელობამ მნიშვნელოვანი ეჭვები წარმოშვა, რომ სახელმწიფო ვერ ასრულებდა კონვენციის თანახმად მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას – არასათანადო მოპყრობის თაობაზე ბრალდების არსებობისას ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება. საბოლოოდ, პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენებას გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა ხალხის სურვილზე, გაემართათ დემონსტრაცია.

მოცემულ საქმეში ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მის წინაშე განსახილველი იყო მრავალი განაცხადი – თურქეთში შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების და დემონსტრაციის დროს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გადამეტებული გამოყენების თაობაზე. პრობლემის სისტემური ასპექტის მხედველობაში მიღებით, სტრასბურგის სასამართლომ მოსთხოვა თურქეთის ხელისუფლებას, კონვენციის 46-ე მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების შესაბამისად, გაეტარებინა ზოგადი ღონისძიებები, რათა მომავალში თავიდან აერიდებინა ანალოგიური დარღვევები.

ფაქტობრივი გარემოებაები

მომჩივანი – ნერგიზ იზჩი თურქეთის მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს ქალაქ სტამბოლში (თურქეთში).

2006 წლის 6 მარტს მან მიიღო მონაწილეობა ქალთა დღისადმი მიძღვნილ მანიფესტაციაში – ბეიაზიტის მოედანზე სტამბოლში, რომელიც დასრულდა შეტაკებით პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის. სასამართლოს მიერ განხილული ზემოთ აღნიშნული მანიფესტაციის ამსახველ ვიდეომასალაში იკვეთება პოლიციის ოფიცრების მიერ აქციის მონაწილეების ცემა ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზის აეროზოლის გამოყენებით.

ის ქალბატონებიც კი, რომლებმაც თავი შეაფარეს მაღაზიებს, პოლიციამ იძულებით გამოიყვანა და ცემა. თურქეთის მთავრობის მიერ ვიდეომასალების გამოკვლევის მიზნით დაქირავებული ექსპერტის ანგარიშის თანახმად, პოლიციის თანამშრომლებმა წინასწარ არ გამოიყენეს გაფრთხილების რაიმე საშუალება აქციის მონაწილეების დაშლის მიზნით. დემონსტრანტები, თავის მხრივ, არ ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას, ისინი მხოლოდ ადგილის დატოვებას აპირებდნენ.

ინციდენტის შემდეგ მომჩივანმა განაცხადა, რომ ის დაშავდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების შედეგად და მოითხოვა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. ექიმებმა აპლიკანტს აღმოუჩინეს მთელ სხეულზე არსებული სისხლჩაქცევები და დაასკვნეს, რომ მიყენებული ტრავმებით ის ვერ შეძლებდა მუშაობას 5 (ხუთი) დღის განმავლობაში. შესაბამისად, მომჩივანმა შეიტანა განცხადება პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობისთვის.

2005 წლის დეკემბერში, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებმა ბრალი წაუყენეს პოლიციის 54 თანამშრომელს ძალის გადამეტების გამო გამოწვეული ფიზიკური დაზიანებებისთვის. სასამართლო პროცესი დაიწყო დაუყოვნებლივ და დასრულდა 2011 წლის მაისში. პოლიციის 48 თანამშრომელი გამართლდა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო. დარჩენილი მოპასუხეებიდან – 6 თანამშრომელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 თვიდან 21 თვემდე ვადით. თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა მათ წინააღმდეგ შეწყდა 2011 წლის სექტემბერს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძველზე.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლო შემაჯანებლობა

კონვენციის მე-3 მუხლზე (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა/ ეფექტური გამოძიების არარსებობა) დაყრდნობით, მომჩივანმა განაცხადა, რომ ის სცემეს, მის წინააღმდეგ გამოიყენეს სხვადასხვა სახის გაზი და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. მან ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი თავდასხმები პოლიციის მხრიდან წლების მანძილზე შეწყნარებული იყო და რჩებოდა დაუსჯელი თურქეთში. მომჩივანმა შემდგომში განაცხადა კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) დარღვევის თაობაზე.

2005 წლის 9 ნოემბერს განაცხადი შეტანილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

სასამართლო გადაწყვეტილება

მუხლი 3

სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-3 მუხლი არ კრძალავს ძალის გამოყენებას დაკავებისას. ასეთი ძალა გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და არასდროს უნდა იყოს გადამეტებული. საქმეში დადგენილია, რომ მომჩივნის დაზიანებები სამედიცინო დასკვნის თანახმად იყო საკმარისად მძიმე, რათა მიჩნეულიყო არასათანადო მოპყრობად. უფრო მეტიც, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ დააყენეს ეჭვქვეშ მომჩივნის განცხადება იმის თაობაზე, რომ დაზიანებები მიყენებული იყო პოლიციის თანამშრომლების მიერ, რომელთა ძალადობრივი მიდგომა დადასტურდა ლონისძიების ადგილიდან აღებული ვიდეომასალებით. გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ წარმოადგინეს რაიმე მტკიცებულება, რომ მომჩივანი წინააღმდეგობას უწევდა პოლიციას. ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან აპლიკანტი არ დაუკავებიათ, არც დაუპატიმრებიათ რაიმე სისხლისსამართლებრივი დანაშაულისთვის, ცხადყოფს იმას, რომ ის არ წარმოადგენდა რაიმე საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისთვის ან პოლიციის თანამშრომლებისთვის.

სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთში ცრემლსადენი გაზის გამოყენების მკაფიო და ადეკვატური მარეგულირებელი ინსტრუქციის არარსებობამ გამოიწვია პოლიციის თანამშრომლების გადამეტებული დამოკიდებულება აღნიშნულ იარაღზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ვერ უზრუნველყვეს ტოლერანტობის გარკვეული ხარისხის გამომჟღავნება და თავშეკავება, როდესაც ისინი მშვიდობიანი მანიფესტაციის დაშლას ცდილობდნენ, რომელიც არც ძალადობრივი ხასიათის იყო და არც საზოგადოებრივ წესრიგს უქმნიდა საფრთხეს. პოლიციის ნაჩქარევმა ქმედებებმა მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ გამოიწვია არეულობა, ხოლო ძალის გადამეტებამ – მომჩივნის დაზიანება.

გარდა ამისა, თურქეთის სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის თანამშრომლები მაღაღდნენ საკუთარი პირადობის მოწმობის ნომრებსა და სახეებს, რათა ისინი არ ამოეცნოთ. ამის გამო, დაზარალებულებს შეექმნათ დაბრკოლება მათი იდენტიფიცირების დროს, რის გამოც შეფერხდა სისხლისსამართლებრივი პროცესის მსვლელობა. ამასთანავე, ხელისუფლების წარმომადგენლებმა სისხლისსამართლებრივი საქმის შეწყვეტით დაუსჯელები დატოვეს პოლიციის თანამშრომლები ხანდაზმულობის პრინციპზე დაყრდნობით. პოლიციის თანამშრომლების ძირითადი ნაწილის ამოცნობისა და პასუხისგებაში მიცემის წარუმატებლობამ (48 ბრალდებულიდან, მხოლოდ 6 მიეცა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში), გამოიწვია საფუძვლიანი ეჭვები თურქეთის მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე, არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე სავალდებულო ეფექტიანი გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებით.

სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ, როდესაც საჯარო მოხელე ბრალდებულია არასათანადო მოპყრობის განხორციელებაში, სისხლის სამართალწარმოება და დასჯა არასოდეს არ უნდა იყოს ვადით შემოფარგლული და ამნისტია არ უნდა იქნეს გამოყენებული. მსგავსად ამისა, იმ საჯარო მოხელეებს, რომლებიც ბრალდებულნი არიან არასათანადო მოპყრობის დანაშაულში, უნდა შეუჩერდეთ უფლებამოსილება გამოძიებისა და სამართალწარმოების დროს.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ გადამეტებული ძალისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებამ, ასევე, თურქეთის ხელისუფლების უმოქმედობამ – აღმოეჩინა და დაესაჯა პასუხისმგებელი პირები, საბოლოოდ გამოიწვია მე-3 მუხლის დარღვევა როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური კუთხით.

მუხლი 11

სასამართლომ გაიზიარა ის ფაქტი, რომ მომჩივნის შეკრებისა და გაერთიანების უფლების შეზღუდვას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი. ასევე არსებობდა ლეგიტიმური მიზანი არეულობისა და დანაშაულის პრევენციის, მათ შორის, საზოგადოებრივი მართლწესრიგის შენარჩუნების კუთხით. თუმცა მომჩივნის ქმედება ამგვარად მკაცრ ჩარევას არ საჭიროებდა. შესაბამისად, პოლიციის თანამშრომლების მიერ ქალბატონი იზნის (მომჩივანი) მიმართ ძალადობის განხორციელება არაპროპორციული იყო დასახულ მიზანთან მიმართებით და ჰქონდა ნეგატიური ზეგავლენა ადამიანების ნებაზე – მონაწილეობა მიეღოთ მანიფესტაციაში, რაც არღვევდა კონვენციის მე-11 მუხლს.

მუხლი 46

სასამართლომ განაცხადა, რომ არსებობდა 40-ზე მეტი სასამართლო გადაწყვეტილება თურქეთის წინააღმდეგ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან მანიფესტაციებში უხეშ ჩარევასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-3 ან/და მე-11 მუხლების დარღვევა. ამ საქმეების საერთო ნი-

შანს წარმოადგენდა პოლიციის თანამშრომლების უუნარობა – დაეცვათ ტოლერანტობის გარკვეული ხარისხი და თავშეკავება აქციის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ და ზოგ შემთხვევაში თხევადი გაზის ნაჩქარევად გამოყენებასთან დაკავშირებით. 20-ზე მეტ საქმეში სასამართლომ დაადგინა თურქეთის ხელისუფლების უუნარობა – ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება არაადამიანური მოპყრობის ბრალდებების საფუძველზე, მანიფესტაციის დაშლაში მონაწილე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან. სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ განხილვის სტადიაში იყო თურქეთის წინააღმდეგ შემოსული 130 განაცხადი, რომელიც ეხებოდა შეკრებისა და გაერთიანების უფლებას ან/და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენებას დემონსტრაციების დროს.

ეს პრობლემები დაკვალიფიცირებულ იქნა რა როგორც „სისტემური“, სასამართლომ მოითხოვა თურქეთისგან ძირითადი მიდგომების მიღება მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენციის მიზნით. კერძოდ, თურქეთის ხელისუფლებას მოეთხოვა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ პოლიციის თანამშრომლების მოქმედებას კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლების შესაბამისად; ასევე, სასამართლო ხელისუფლებას უნდა ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება არაადამიანურ მოპყრობასთან დაკავშირებულ განაცხადებზე, კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლების შესაბამისად. საბოლოოდ, სასამართლომ ხაზი გაუსვა რეგულაციების შემუშავების აუცილებლობას, რათა ზუსტად ყოფილიყო განსაზღვრული პოლიციის მიერ ძალისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენების წესი, განსაკუთრებით მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთი ვალდებული იყო აპლიკანტისთვის გადაეხადა 20.000 ევრო მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ოკიფი ირლანდიის წინააღმდეგ

O’Keeffe v. Ireland

(განაცხადი №35810/09; 28/01/2014)

დიდი პალატის გადაწყვეტილება

1970-იან წლებში ირლანდიის დაწყებითი განათლების სტრუქტურამ ვერ უზრუნველყო სკოლის მოსწავლე გოგონას დაცვა მისი მასწავლებლის სექსუალური ძალადობისგან

დიდი პალატის გადაწყვეტილებით, საქმეზე ოკიფი ირლანდიის წინააღმდეგ, რომელიც არის საბოლოო,⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა:

⁷ დიდი პალატის გადაწყვეტილებები საბოლოოა (კონვენციის 44-ე მუხლი). ყველა საბოლოო გადაწყვეტილება აღსრულების ზედამხედველობის მიზნით გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

11 ხმით 6-ის წინააღმდეგ, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა) და მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება). კერძოდ, ირლანდიის სახელმწიფომ ვერ დაიცვა ოკიფი სექსუალური ძალადობისაგან და მომჩივანმა ვერ მიაღწია ამის აღიარებას ეროვნულ დონეზე.

სასამართლომ ერთხმად აღნიშნა, რომ არ დარღვეულა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი იმ გამოძიებასთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა ოკიფის განაცხადს სკოლაში სექსუალური ძალადობის თაობაზე.

საქმე ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს 1973 წელს, ირლანდიის ეროვნულ სკოლაში მასწავლებლის მიერ ცხრა წლის გოგონაზე სექსუალური ძალადობის განხორციელებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობის ფუნდამენტური ვალდებულება იყო დაცვათ ბავშვები არასათანადო მოპყრობისაგან, განსაკუთრებით დაწყებითი განათლების ეტაპზე. აღნიშნული ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან არ შესრულდა. 1970-იანი წლებისთვის და მანამდე საკმაოდ გაიზარდა მოზარდებზე ძალადობის შემთხვევები და ასეთ დანაშაულებზე სისხლის სამართლებრივი დევნა, რაც ირლანდიის სახელმწიფოს უნდა სცოდნოდა. მიუხედავად ამისა სახელმწიფო აგრძელებდა ეროვნული სკოლებისთვის ირლანდიელი ბავშვების დაწყებითი განათლების ადმინისტრირების მინდობას ისე, რომ მისი მხრიდან არ იყო შემუშავებული რაიმე პრევენციული ეფექტური მაკონტროლებელი მექანიზმი ამგვარი ძალადობის რისკების საწინააღმდეგოდ. ამის საპირისპიროდ, პოტენციური მომჩივნები გადამისამართებულნი იყვნენ სახელმწიფო ორგანოებიდან ეროვნული სკოლების მენეჯერებთან (როგორც წესი ადგილობრივ სასულიერო პირებთან). იმის გათვალისწინებით რომ სკოლაში, სადაც სწავლობდა მომჩივანი, ადგილი ქონდა 400 სექსუალურ ძალადობას წლების განმავლობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაულის გამოვლენისა და შეტყობინების სისტემა იყო გაუმართავი.

ფაქტობრივი გარემოებაები

მომჩივანი – ლუიზე ოკიფი არის ეროვნებით ირლანდიელი, რომელიც დაიბადა 1965 წელს და ცხოვრობს კორკში (ირლანდიაში).

1968 წელს მომჩივანი – ქალბატონი ოკიფი, როგორც ირლანდიელი ბავშვების უმრავლესობა, შევიდა ირლანდიის ეროვნულ სკოლაში.

ეროვნული სკოლები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დაწყებითი სკოლებია, რომლებიც არაოფიციალურად იმართება რელიგიური (ძირითადად კათოლიკური) პატრონაჟით.

დანდეროუს ეროვნული სკოლა, სადაც მომჩივანი სწავლობდა, ეკუთვნოდა კორკისა და როსის კათოლიკურ ეპარქიას, რომლის მფარველი იყო კორკისა და როსის ეპისკოპოსი და სკოლას მართავდა მღვდელი (ო) არქიდიაკონის სახელით.

1971 წელს ბავშვის მშობელმა დაიჩვილა ო-სთან, რომ სკოლის დირექტორმა (ლჰ), საერო მასწავლებელმა სექსუალური ძალადობა განახორციელა მის ქალიშვილზე. შემდგომი საჩივრები დაფიქსირდა 1973 წელს. ო-ს მიერ ჩატარებული მშობელთა კრების შემდეგ, ლჰ ჯერ ბიულეტენზე გავიდა, ხოლო შემდეგ კი სრულიად დატოვა სკოლა იმავე წლის სექტემბერში.

1974 წლის იანვარში ო-მ აცნობა განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტს ლჰ-ის გადადგომის შესახებ. დეპარტამენტი არ იყო ინფორმირებული მასწავლებლის მიმართ წარდგენილი პრეტენზიების შესახებ და იმ დროისთვის არც საჩივარი იყო პოლიციაში. შემდეგ ლჰ გადავიდა სხვა სკოლაში, სადაც მუშაობდა 1995 წლამდე, სანამ პენსიის ასაკს არ მიაღწია.

1973 წლის იანვრიდან ამავე წლის შუა პერიოდამდე, მომჩივნის მიმართ მასწავლებლის მხრიდან განხორციელდა სექსუალური ძალადობის რამდენიმე შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტს შემდეგ ჰქონდა გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემები, იგი აღნიშნულ ფაქტს განცდილ ძალადობას არ უკავშირებდა. მომჩივანმა ჩაახშო სექსუალური ძალადობა. ლჰ-ის ყოფილი მოსწავლის მიერ მის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე დუნდეროუში (სოფელი ირლანდიაში), 1990-იანი წლების შუა პერიოდში წარმოებული გამოძიების დროს, პოლიცია დაუკავშირდა მომჩივანს 1997 წლის იანვარში და სთხოვა ჩვენების მიცემა. ის გამოძახებული იყო დასაკითხად. გამოძიების პროცესში ბევრმა სხვა მოსწავლემ ჩვენება მისცა მასწავლებლის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ. მას ბრალად ედებოდა სექსუალური ძალადობის დანაშაულის 386 შემთხვევა, რომელიც მოიცავდა დუნდეროუს ეროვნული სკოლის 21 ყოფილ მოსწავლეზე სქესობრივი კავშირის იძულების განხორციელებას. 1998 წელს მან დანაშაული აღიარა 21 შემთხვევაზე და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა.

მოისმინა რა სხვა დაზარალებულების ჩვენებები ლჰ-ის სასამართლო სხდომაზე და ჩატარებული სამედიცინო მკურნალობის შემდეგ, მომჩივანმა გაანალიზა კავშირი მის ფსიქოლოგიურ პრობლემებსა და განხორციელებულ ძალადობას შორის. 1998 წლის ოქტომბერში აპლიკანტმა შეიტანა განცხადება მიყენებულ დაზიანებათა კომპენსაციის სისხლის სამართლის ტრიბუნალში ზიანის კონპენსაციის თაობაზე და მიიღო 53,962.24 ევრო კომპენსაციის სახით. 1998 წლის სექტემბერში მან ასევე შეიტანა სამოქალაქო საჩივარი მასწავლებლის (ლჰ), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ირლანდიის და გენერალური პროკურორის წინააღმდეგ. მან მოითხოვა ზიანის ანაზღაურება ფიზიკური თავდასხმისა და სექსუალური ძალადობის შედეგად გამოწვეული დაზიანებისთვის. მომჩივანმა განაცხადა, რომ სახელმწიფომ არ გაატარა შესაბამისი ზომები და ღონისძიებები მასწავლებლის სისტემატური ქმედებების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით; ამასთან, სახელმწიფო, როგორც მასწავლებლის დამსაქმებელი, პასუხისმგებელი იყო აღნიშნულ ქმედებებზე და იგი წარმოადგენდა განათლების გარანტს კონსტიტუციის 42-ე მუხლის საფუძველზე.

ბრალდებულმა მასწავლებელმა არ განახორციელა საკუთარი პოზიციის დაცვა სამოქალაქო სამართალწარმოების კუთხით, რის შედეგად უმაღლესმა სასამართლომ დააკისრა მას აპლიკანტისთვის 305,104 ევროს გადახდა კომპენსაციის სახით. გადანყვეტილების აღსრულების სტადიაზე, მასწავლებელმა განაცხადა, რომ არ გააჩნდა საკმარისი საშუალება გადაეხადა კომპენსაცია მომჩივნის სასარგებლოდ. მას დაეკისრა მომჩივნისთვის ყოველთვიურად 400 ევროს გადახდა. ამ დრომდე აპლიკანტმა გადაიხადა ჯამში დაახლოებით 30 000 ევრო.

2004 წლის მარტში უმაღლესმა სასამართლომ დაჩქარებული წესით უარყო განაცხადი, რომელიც ეხებოდა ირლანდიის სახელმწიფოს გულგრილობას. 2006 წლის იანვარში უმაღლესმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სახელმწიფო არ იყო პასუხისმგებელი ბრალდებულის (ლჰ) მიერ ჩადენილ ქმედებებზე და უარყო მომჩივნის კონსტიტუციური განაცხადი.

2008 წლის დეკემბერში უზენაესმა სასამართლომ უარყო მომჩივნის საჩივარი სუბსიდიური პასუხისმგებლობის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ირლანდიის დაწყებითი სკოლის სისტემა განხილული უნდა იქნეს მე-19 საუკუნის ისტორიის კონტექსტში: იმ დროს, როცა სახელმწიფო აფინანსებდა სისტემას, ეკლესიის მმართველობითი როლი იყო ისეთი, რომ სახელმწიფო ვერ იქნებოდა სუბსიდიური პასუხისმგებლობის მქონე მასწავლებლების ქმედებებზე.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიდადგენილება

მომჩივანი დავობდა, რომ ირლანდიის სახელმწიფომ ვერ შეძლო დაწყებითი განათლების გამართული სისტემის ჩამოყალიბება; სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მომჩივნის დაცვა სექსუალური ძალადობისგან, ასევე ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. მან ასევე განაცხადა, რომ ვერ მიაღწია სახელმწიფოს მხრიდან იმის აღიარებას, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა იგი და მან ვერ მიიღო სათანადო კომპენსაცია. თავის განაცხადში მომჩივანი დაეყრდნო კონვენციის მე-3 მუხლს (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 მუხლს (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება). შემდგომ, იგი ასევე დავობდა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევის თაობაზე ცალკე და ასევე მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სექსუალურმა ძალადობამ იქონია დიდი ზეგავლენა მის პირად ცხოვრებაზე, გამოწვია სექსუალური და ოჯახური ხასიათის პრობლემები. აპლიკანტმა ასევე განაცხადა, რომ იგი გახდა დისკრიმინაციის ობიექტი, რადგან მიიღო უარი ზიანის ანაზღაურებაზე, როგორც სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა ეროვნულ სკოლებში, ხოლო რეფორმატორულ და სამრეწველო სკოლებში⁸ ზიანის ანაზღაურების აუცილებლობა დამტკიცდა. ის ასევე დავობდა კონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) საფუძველზე ცალკე და მე-13 მუხლთან ერთობლიობაში (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება). იგი ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ჭიანჭურდებოდა და მას არ ჰქონდა ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალება ამ კუთხით.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადი შევიდა 2009 წლის 16 ივნისს. 2012 წლის 26 ივნისს, პალატამ ერთსულოვნად ამოიღო სამართალწარმოებიდან განაცხადის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდებოდა მომჩივნის სამოქალაქო სამართალწარმოების ხანგრძლივობასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებას, რადგან ამ მიმართულებით მხარეებს შორის შედგა მეგობრული მორიგება. განაცხადის დანარჩენი ნაწილი პალატამ დასაშვებად ცნო.

2012 წლის 20 სექტემბერს პალატამ დარჩენილ საკითხებთან დაკავშირებით იურისდიქცია გადასცა დიდ პალატას. სასამართლოს საჯარო სხდომა დიდი პალატის წინაშე შედგა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2013 წლის 6 მარტს.

⁸ რეფორმატორული და სამრეწველო სკოლები დაფუძნდა 50-იან, 60-იან წწ-ებში. ბავშვთა უმეტესობა განაწილებული იყო სამრეწველო სკოლებში სასამართლოს მიერ, რადგან ისინი იყვნენ „გაჭირვებულები“. მეორე ყველაზე ხშირი საფუძველი იყო მოზარდის დანაშაულებრივ ქმედებებში ჩაბმულობა ან ხშირი გაცდენები სხვა სკოლებში. ასეთი სკოლების რაოდენობამ შემცირება დაიწყო 1970-იან წწ-ებში. 1980-იან და 1990-იან წწ-ებში, ირლანდიაში ბავშვთა მიმართ სასულიერო პირების მხრიდან ძალადობის თაობაზე საზოგადოებრივი ურთიერთსაპირისპირო აზრის ფონზე, აღნიშნულ საკითხებს რიანის კომისია იძიებდა. 2009 წლის მაისში, ფართოდ გაცხადდა გავრცელებული და მძიმე ფიზიკური ძალადობის (მათ შორის, სექსუალური ხასიათის) შემთხვევები სამრეწველო და რეფორმატორული სკოლების პერსონალის მხრიდან ბავშვების მიმართ.

ირლანდიის ადამიანის უფლებათა კომისიასა და სამართლისა და მართლმსაჯულების ევროპულ ცენტრს საშუალება მიეცათ პროცესში მესამე მხარის სტატუსით მიეღოთ მონაწილეობა კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე წერილობითი პროცედურის ფარგლებში.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 3

არაადამიანური მოპყრობა

მოცემული საქმის განხილვისას სასამართლომ აღიარა, რომ თავდაპირველად მას უნდა შეეფასებინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი 1973 წელს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ კი, განათლების სფეროში არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებადი სექსუალური ძალადობის რისკის არსებული საზოგადოებრივი ცნობიერების ფარგლებში. აღნიშნულ სფეროში საზოგადოების არსებული ცნობიერება წარმოადგენდა ამ თემატიკაზე ბოლოდროინდელი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებების შედეგს, მათ შორის, ირლანდიაშიც. სასამართლომ ასევე აღიარა, რომ ირლანდიის დაწყებითი განათლების მოდელი არის ისტორიული გამოცდილების პროდუქტი, რომელიც უნიკალური იყო ევროპაში განათლების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის კუთხით (სასწავლო პროგრამები, მასწავლებლების ლიცენზირება და სკოლების დაფინანსება), ხოლო დაწყებითი განათლების ყოველდღიური მართვა ეროვნული სკოლების მიერ ხორციელდებოდა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ბავშვები მოწყვლად კატეგორიაში შედიოდნენ და სახელმწიფოს მოვალეობა იყო მათი დაცვა არაადამიანური მოპყრობისგან – სპეციალური ზომებისა და გარანტიების უზრუნველყოფის კუთხით, განსაკუთრებით დაწყებით სკოლაში, სადაც ისინი სკოლის ადმინისტრაციის ექსკლუზიური ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. სახელმწიფოს არ შეუძლია მოიხსნას პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის გადაცემით (დელეგირებით) ორგანიზაციებზე ან კერძო პირებზე. არც იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს მოხსნილი სახელმწიფო პასუხისმგებლობა, როდესაც, როგორც მთავრობამ განაცხადა, მომჩივანს მიეცა შესაძლებლობა მიეღო ალტერნატიული საშუალო განათლება, კერძოდ, დისტანციური განათლებისა ან/და ფასიანი სკოლის სარგებლობის ფარგლებში. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, დაწყებითი განათლების მიღება აუცილებელი იყო; შესაბამისად, მომჩივანს არ ჰქონდა რეალური და მისაღები სხვა არჩევანი, გარდა ადგილობრივი ეროვნული სკოლისა, მრავალი სხვა თანატოლის მსგავსად.

საქმეში საკვანძო საკითხს არ წარმოადგენდა ბრალდებული მასწავლებლის, სკოლის ადმინისტრაციის, ხელმძღვანელობის, მშობლების ან რომელიმე სხვა პირის პასუხისმგებლობა მომჩივნის წინააღმდეგ 1973 წელს განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტებზე. საქმე შეეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას – სცოდნოდა არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის რისკების შესახებ. მაგალითად, აპლიკანტის შემთხვევა ეროვნულ სკოლებში და სამართლებრივი სისტემის მეშვეობით დაეცვა ბავშვები ამგვარი არაადამიანური მოპყრობისგან.

პირველ რიგში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო უნდა ყოფილიყო ინფორმირებული ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის მაღალი მაჩვენებლის შესახებ იქედან გამომდინარე, რომ 1970-იან წლებამდე იმატა ამ დანაშაულის საფუძველზე დაწყებულმა სისხლის სამართლის საქმეებმა. 1930-1970 წწ-ების

სტატისტიკური ანგარიში წარმოადგენდა იმის მტკიცებულებას, რომ ირლანდიაში აღნიშნებოდა სისხლის სამართლებრივი დევნის მაღალი მაჩვენებელი ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების საქმეებზე. 2009 წლის მაისის რიანის ანგარიშმა დაადასტურა ეს დასკვნა, რომ 1970-იან წლებამდე და 1970-იანი წლების განმავლობაში უწყებებში ფიქსირდებოდა ბევრი განაცხადი არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დასკვნა მეტწილად რეფორმატორულ და სამრეწველო სკოლებს შეეხებოდა, ეროვნულ სკოლებში ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკაც იყო ასახული.

მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიის მთავრობისთვის ცნობილი იყო სკოლებში სექსუალური ძალადობის მაღალი რიცხვის შესახებ, ირლანდიელი ბავშვების დიდი რაოდენობა კვლავ რჩებოდა კერძო სკოლებში, ყოველგვარი დაცვის მექანიზმის არარსებობის პირობებში.

მთავრობა ამტკიცებდა, რომ დანაშაულის აღმოჩენისა და შეტყობინების გარკვეული მექანიზმი არსებობდა. თუმცა სასამართლომ აღნიშნული მექანიზმი ეფექტურად არ მიიჩნია.

პირველ რიგში, მთავრობამ მიუთითა 1965 წლის ეროვნული სკოლების წესებზე და 1970 წლის გაიდლაინებზე, რომელიც შემუშავებული იყო ეროვნულ სკოლებში მასწავლებლების წინააღმდეგ არსებული დავების მოსაწესრიგებლად. თუმცა აღნიშნული აქტებიდან არც ერთი მიუთითებდა სახელმწიფო უწყებების მოვალეობას – გაეკონტროლებინა მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლის მიმართ და არც ერთი უზრუნველყოფდა რაიმე პროცედურას, რომლის მეშვეობით დაზარალებულები – ბავშვები ან მშობლები განაცხადებდნენ თავიანთ პრეტენზიას არასათანადო მოპყრობის შესახებ შესაბამის უწყებებში. ამის საპირისპიროდ, გაიდლაინები საჩივრებს ამისამართებდნენ პირდაპირ არასახელმწიფო აქტორების მიმართ; ასეთად მომჩივნის საქმეში გვევლინებოდა ადგილობრივი სასულიერო პირი. აპლიკანტმა 1971 და 1973 წლებში შეიტანა საჩივარი ლჰ-ს წინააღმდეგ სკოლის მმართველთან, თუმცა ხელმძღვანელობამ არ შეატყობინა აღნიშნული საჩივრების შესახებ სახელმწიფოს არც ერთ უწყებას.

მეორე რიგში, აღსანიშნავია სკოლის ინსპექტორთა სისტემა, რომელსაც ასევე ეყრდნობა სახელმწიფო. აღნიშნული სისტემა ინსპექტორებს არ ავალდებულებს გამოიძიოს ან ზედამხედველობა გაუწიოს მასწავლებლის ქცევას მოსწავლეების მიმართ. ინსპექტორთა ძირითადი მოვალეობაა სწავლების ხარისხისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანგარიშგება მოახდინოს. მომჩივნის დუნდეროუს სკოლაში გამწესებულმა ინსპექტორმა განახორციელა 6 ვიზიტი 1969-1973 წლებში; თუმცა ამ ხნის განმავლობაში არასდროს დაფიქსირებულა რაიმე შენიშვნა ბრალდებული მასწავლებლის (ლჰ) მისამართით.

ბრალდებული მასწავლებლის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის თაობაზე სახელმწიფო ორგანო არ იყო ინფორმირებული 1995 წლამდე, სანამ მასწავლებელი არ გავიდა პენსიაზე. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ გამოვლენისა და შეტყობინების ნებისმიერი სისტემა, რომლის პირობებში მოხდა მასწავლებლის მხრიდან ძალადობის განხორციელების 400 ინციდენტი, ვერ იქნებოდა მიჩნეული ეფექტიანად. 1971 წლის საჩივარზე ადეკვატური ზომების გატარების შემთხვევაში, აპლიკანტის მიმართ დიდი ალბათობით 2 წლის შემდეგ მომხდარი ძალადობა იმავე მასწავლებლის მხრიდან იმავე სკოლაში აღკვეთილი იქნებოდა.

საბოლოოდ, ქალბატონი ოკიფის საქმეში, ძალადობისგან სათანადო დაცვის არარსებობის შედეგები გამოიხატა ლჰ-ის მიერ თავდაპირველად განხორციელებული სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე შეტანილ საჩივრებზე არასახელმწიფო აქტორების უმოქმედობით, ლჰ-ის მიერ აპლიკანტისადმი განხორციელებული მომდევნო ძალადობრივი აქტით და უფრო ფართოდ, ლჰ-ის მიერ ხანგრძლივი და მძიმე სექსუალური მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებით სხვა მრავალი მოსწავლის მიმართ იმავე ეროვნულ სკოლაში.

აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით ირლანდიის სახელმწიფომ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები მომჩივნის სექსუალური ძალადობისგან დაცვის კუთხით, რომელიც მან განიცადა 1973 წელს, დუნდეროუს სკოლაში სწავლისას.

მუხლი 3

გამოძიება

1995 წელს, როგორც კი პოლიციაში გაკეთდა განაცხადი ლჰ-ის მხრიდან დუნდეროუს ეროვნული სკოლის მოსწავლეზე სექსუალური ძალადობის თაობაზე, აღნიშნულ ფაქტზე მაშინვე დაიწყო გამოძიება. ამ პროცესში, მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა მიეცა ჩვენება. გამოძიების შედეგად მასწავლებელი მიეცა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, სექსუალური ხასიათის ძალადობის დანაშაულის მრავალი ეპიზოდის თაობაზე ბრალდების საფუძველზე; მას მსჯავრი დაედო და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. მომჩივანს არ გამოუთქვამს პრეტენზია იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ბრალდებულს შეეძლო თავი დამნაშავედ ეცნო, როგორც წარდგენილ ბრალდებებთან მიმართებით, ასევე შეფარდებული სასჯელის კუთხით. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა აპლიკანტის სკოლაში მომხდარი სექსუალური ძალადობის ფაქტებზე შეტანილ საჩივრებზე ჩატარებული გამოძიების მიმართ.

მე-13 მუხლი (აღიარება იმისა, რომ ეროვნულ დონეზე ვერ მოხერხდა მომჩივნის დაცვა ძალადობისგან) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არც ერთი საშუალება ეროვნულ დონეზე, რომელზეც მთავრობა მიუთითებდა (სახელმწიფოს სუბსიდიარული პასუხისგებლობა, განაცხადი სახელმწიფოს წინააღმდეგ პირდაპირი გულგრილობის ბრალდებით ან კონსტიტუციური საჩივარი), არ იყო ეფექტიანი მომჩივნის განაცხადთან მიმართებაში. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

სხვა მუხლები

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლი, პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი ან მე-14 მუხლი არ წარმოშობს რაიმე სხვა საკითხებს, გარდა განხილულისა.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა 11 ხმით 6-ის წინააღმდეგ, რომ ირლანდიას უნდა გადაეხადა აპლიკანტისთვის 30 000 ევრო მატერიალური და მორალური ზიანის სახით და 85 000 – ევრო განეული ხარჯების სახით.

ი. სლოვენის წინააღმდეგ

Y. v. Slovenia

(განაცხადი №41107/10; 28/05/2015)

სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი არ უნდა იყოს შეურაცხყოფილად დაკითხული სავარაუდო დამნაშავეის მხრიდან

პალატის გადაწყვეტილებით,⁹ საქმეზე ი. სლოვენის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და 6 ხმით 1-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება).

აღნიშნული საქმე ეხებოდა ახალგაზრდა ქალბატონის განაცხადს მისი ოჯახის მეგობრის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. იგი ამტკიცებდა, რომ ოჯახის მეგობარმა მასზე არაერთხელ განხორციელა სექსუალური ძალადობა, როდესაც იგი არასრულწლოვანი იყო. აპელიკანტი დავობდა, რომ სამართალწარმოება გადაჭარბებულად ხანგრძლივი და მისთვის ტრავმული აღმოჩნდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და სამართალწარმოების განხორციელებისას სლოვენის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მომჩივნის – სავარაუდო დაზარალებულის პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვა. კერძოდ, ხელისუფლებას უნდა აღეკვეთა ბრალდებულის მხრიდან დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი შენიშვნების გაკეთება დაზარალებულის მისამართით – ჯვარედინი დაკითხვისას.

ფაქტობრივი გარემოებაები

მომჩივანი – ქალბატონი ი. სლოვენის მოქალაქეა, რომელიც დაიბადა უკრაინაში 1987 წელს. 2000 წელს იგი სლოვენიაში ჩამოვიდა დასთან და დედასთან ერთად. ქალბატონი ი. გათხოვდა სლოვენიელზე. საქმე ეხებოდა მომჩივნის ოჯახის მეგობრის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლისსამართლებრივ პროცესს, რომელსაც აპელიკანტი ადანაშაულებდა მის მიმართ მრავალჯერადი სექსუალური ხასიათის ძალადობის განხორციელებაში.

მომჩივნის დედამ პირველად ოჯახის მეგობრის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი სასამართლოში 2002 წლის ივლისში. წარდგენილ სარჩელში იგი უთითებდა, რომ ოჯახის მეგობარი მისი 14 წლის ქალიშვილს აიძულებდა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას 2001 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში. ოჯახის მე-

⁹ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

გობარი, იმ დროისთვის 55 წლის ბრალდებული მზრუნველობას იჩენდა როგორც აპლიკანტის, ასევე მისი მეუღლის მიმართ – ეხმარებოდა რა მას სილამაზის კონკურსისთვის მომზადებაში.

გამოძიებისა და სასამართლო პროცესის შემდგომი მსვლელობისას, ოფიციალურმა პირებმა დაკითხეს აპლიკანტი და სავარაუდო მოძალადე, რომელიც უარყოფდა ყოველგვარ სექსოვრივ კავშირს მომჩივანთან. ამ პროცესში ასევე დაკითხული იყო რამოდენიმე მოწმე და ურთიერთსანინააღმდეგო ჩვენებების გამოსაკვლევად დანიშნულნი იყვნენ ექსპერტები. შედეგად, ორმა გინეკოლოგიურმა დასკვნამ არც დაადასტურა და არც უარყო Y-ის ბრალდება, ხოლო ორი სხვა ექსპერტი მივიდა ურთიერთსანინააღმდეგო დასკვნამდე: პირველმა მათგანმა, ფსიქოლოგმა, დაადგინა, რომ Y მკაფიოდ ავლენდა სექსუალური ძალადობის სიმპტომებს. ხოლო მეორემ, ორთოპედმა, მიიჩნია, რომ ბრალდებულს არ შეეძლო ეძალადა მომჩივანზე და ჩაედინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რადგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იყო (მარცხენა ხელი უმოქმედო ჰქონდა დაბადებიდან). გინეკოლოგიური გამოკვლევების დროს, ექიმის დასკვნა წინააღმდეგობაში მოვიდა ორთოპედის დასკვნასთან. კერძოდ, ექიმმა ჰკითხა დაზარალებულს, თუ რატომ არ დაიცვა მან თავი უფრო მედგრად Y-ის ძალადობისგან.

მომჩივანმა მოითხოვა ბრალდებულის წარმომადგენლის აცილება იმ მოტივით, რომ მასთან შემდეგი სახის ნაცნობობა აკავშირებდა: აპლიკანტმა დედასთან ერთად სწორედ ამ პირთან გაიარა იურიდიული კონსულტაცია აღნიშნულ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით მანამ, სანამ პოლიცია ინფორმირებული იქნებოდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა წინამდებარე შუამდგომლობა უსაფუძვლობის გამო.

ორ სასამართლო სხდომაზე მოპასუხემ პირადად განახორციელა ჯვარედინი დაკითხვა მომჩივნის მიმართ. ბრალდებული განაგრძობდა იმის მტკიცებას, რომ ფიზიკურად უუნარო იყო განეხორციელებინა ძალადობა და მის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები მომჩივნის დედის მიერ იყო ინსპირირებული ფულის გამოძალვის მიზნით. რამდენიმე კითხვა ფორმულირებული იყო კონკრეტული პასუხის მიღების მიზნით; დაცვის მხარე დაჟინებით აგრძელებდა Y-ის სიცრუეში მხილებას და აცხადებდა, რომ მოსარჩელე მზად იყო ეტირა დამსწრეების ნდობის მოპოვების მიზნით. 2009 წლის სექტემბერში, საერთო ჯამში 12 სასამართლო სხდომის შემდეგ, პირველმა ინსტანციის სასამართლომ ბრალდებული გაამართლა Y-ის მიერ წარდგენილ ყველა ბრალდებაში. პროკურატურამ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, თუმცა 2010 წლის მაისში საჩივარი უარყოფილი იყო ისევე, როგორც რამდენიმე თვის შემდეგ, მთავარი პროკურორის წინაშე Y-ის მიმართვა კანონიერების დაცვის თაობაზე.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიშაღგანლობა

მომჩივანი დავობდა, რომ კონვენციის მე-3 მუხლიდან (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) გამომდინარე, სექსუალური ძალადობის შესახებ მის ბრალდებაზე გამოძიება და შემდგომი სასამართლო პროცესები არაგონივრულად გახანგრძლივებული იყო – 7 წელი გავიდა საჩივრის სასამართლოში შეტანიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ასევე განაცხადში აღნიშნული იყო, რომ გამოძიება არაეფექტური იყო, რადგან ხელისუფლებას არაობიექტური დამოკიდებულება ჰქონდა მის მიმართ, რამეთუ მომჩივანი უკრაინული წარმოშობის იყო. გარდა ამისა, კონვენციის მე-8

მუხლიდან გამომდინარე (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მომჩივნის მტკიცებით, სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას დაირღვა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, კერძოდ, მან განიცადა მორალური ზიანი, როცა ბრალდებულს შესაძლებლობა მიეცა ჩაეტარებინა ჯვარედინი დაკითხვა მის მიმართ ორი სხდომის განმავლობაში.

განაცხადი შეტანილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2010 წლის 17 ივლისს.

სასამართლო გადაწყვეტილება

მუხლი 3

სასამართლომ შეშფოთებით აღნიშნა, რომ სამართალწარმოება პერიოდულად ხასიათდებოდა სრული უმოქმედობით. Y-ის საჩივრის საფუძველზე, პოლიციამ შეადგინა ინციდენტის შესახებ ანგარიში, რომელიც პროკურატურას გადაუგზავნა გამოძიების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო ბრალდების ორგანოს მონოდების საფუძველზე. პროკურორმა ოპერატიულად მიმართა სასამართლოს გამოძიების დაწყების თხოვნით, თუმცა გამომძიებელ მოსამართლეს დასჭირდა 21 თვე, რათა რეაგირება მოეხდინა ამ მიმართვაზე. გამოძიების დასრულებისას, სასამართლო სხდომა ჩაინიშნა საბრალდებო ოქმის შედგენიდან 8 თვეში ეროვნული პროცედურული წესების დარღვევით. გადავადების რამდენიმე შემთხვევის გამო, პირველი სასამართლო სხდომა ჩატარდა პირის ბრალდებულად აღიარების დღიდან თითქმის წელიწადნახევრის შემდეგ.

შეუძლებელია მსჯელობა, თუ რამდენად მოახდინა 7-წლიანმა დაყოვნებამ (აპელიკანტის საჩივრის შეტანიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე) სამართალწარმოების შედეგზე გავლენა, თუმცა, ცხადია, ასეთი ხანგრძლივი დაყოვნება არ შეიძლებოდა თანხვედრაში ყოფილიყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპთან. შესაბამისად, დაირღვა სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულებები კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 8

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ Y-ის ჩვენება იყო ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება (მონმის ჩვენება) საქმეში, ხოლო ორი სხვა მტკიცებულება (ფსიქოლოგისა და ორთოპედის დასკვნა) იყო ურთიერთსაწინააღმდეგო, სამართლიანი სასამართლოს ინტერესები გულისხმობდა, რომ დაცვის მხარეს მისცემოდა Y-ის ჯვარედინი დაკითხვის საშუალება, რომელიც იმ დროისთვის სრულწლოვანი გახლდათ. მიუხედავად ამისა, სასამართლოს უნდა განესაზღვრა სამართლიანი ბალანსი Y-ის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და დაცვის მხარის ინტერესებს შორის.

ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მის დაკითხვა გრძელდებოდა სასამართლოს ოთხი სხდომის მანძილზე 7 თვის განმავლობაში, სხდომებს შორის გაუმართლებლად დიდი ინტერვალის პირობებში.

რაც შეეხება თავად ბრალდებულის მიერ განხორციელებული ჯვარედინი დაკითხვის ხასიათს, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაცვის მხარეს უნდა მიეცეს გარკვეული თავისუფლება Y-ის სანდოობის გაბათილებისთვის, თუმცა

ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა იქნეს გამოყენებული მოწმეების დაშინების ან დამცირების მიზნით. დაცვის მხარის რამოდენიმე კითხვა და რეპლიკა, კერძოდ, განცხადება, რომ Y-ს შეეძლო ტირილი, რათა გავლენა მოეხდინა დამსწრეთა აზრის ჩამოყალიბებაზე, მიზნად ისახავდა არა მხოლოდ სანდოობის გაბათილებას, არამედ მისი ხასიათის დამცირებას. მსგავსი შემტევი ხასიათის ინსინუაციები ამეტებდა მოპასუხის ეფექტური დაცვის უფლების ფარგლებს. პირველ რიგში, თავმჯდომარე მოსამართლის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა Y-ის პიროვნებისადმი პატივისცემის უზრუნველყოფა, მსგავსი შენიშვნებისგან დაცვა და გარკვეულ შემთხვევებში ჩარევა სტრესული გარემოს შემსუბუქების მიზნით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ Y-ის შუამდგომლობას დაცვის მხარის ადვოკატის აცხადების თაობაზე იმ მოტივით, რომ სარჩელის შეტანამდე ადვოკატმა კონსულტაცია გაუწია მას, ეს არ იყო სასამართლოს განსახილველი, თუ რა იურიდიულ საქმიანობას ეწეოდა ადვოკატი მანამდე. თუმცა, თუ დავუშვებთ, რომ დაზარალებულის განცხადება შეესაბამებოდა სიმართლეს, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ის ნეგატიური ფსიქოლოგიური გავლენა, რაც ჯვარედინი დაკითხვის დროს არსებობდა. ასევე ინფორმაცია, რომელიც ადვოკატს შეეძლო მიეღო მომჩივნისგან, არ უნდა გამოყენებულიყო არაკეთილსინდისიერად. მიუხედავად ამისა, მისი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მოტივით. ამიტომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვენის კანონმდებლობა ადვოკატის აცხადების საკითხზე ან/და ამ კანონმდებლობის გამოყენების მეთოდი, არასაკმარისად ითვალისწინებდა Y-ის ინტერესებს. რაც შეეხება გინეკოლოგიურ გამოკვლევას, რომელიც გამოძიების ეტაპზე ჩატარდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ექიმმა Y-ის წინააღმდეგ ორთოპედის დასკვნის ჩვენებით და თავდასხმის შესაძლო მოგერიების შესახებ დაკითხვით, გადააჭარბა მისი უფლებამოსილების ფარგლებს.

ევროპული სასამართლო ადასტურებს, რომ ხელისუფლებამ მიიღო გარკვეული ზომები, რათა შემდგომში აცხადებული ყოფილიყო Y-ის ხელახალი ტრავმირება, მათ შორის, საზოგადოების დასწრების შეზღუდვა პროცესებზე და ბრალდებულის გაძევება სასამართლო დარბაზიდან დაზარალებულის ჩვენების მიცემის დროს. თუმცა საქმის სენსიტიური ხასიათიდან და Y-ის ახალგაზრდა ასაკიდან გამომდინარე, საჭირო იყო უკიდურესი სიფრთხილე. გამოძიებისა და სამართალწარმოების სტადიებზე არსებული ნაკლოვანებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც Y-ის ინტერესი ყოველმხრივ დაცული იქნებოდა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვენის აპლიკანტისთვის უნდა გადაეხადა 9.500 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და 4.000 ევრო – ხარჯების ანაზღაურების სახით.

3. სლოვენის წინააღმდეგ

W. v. Slovenia

(განაცხადი №24125/06; 23/04/2014)

ეროვნებით სლოვენელი აპლიკანტი, ქალბატონი ვ. დაიბადა 1971 წელს და ცხოვრობს ქალაქ მარიბორში (სლოვენიაში). წინამდებარე საქმე ეხებოდა მამაკაცთა ჯგუფის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებას. კერძოდ, აღნიშნულმა ჯგუფმა, 1990 წლის აპრილში, გააუპატიურა მომჩივანი, როდესაც იგი 18 წლის იყო. 1990 წლის სექტემბერში 10 პირის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა გაუპატიურების ჩადენის, გაუპატიურებაში დახმარებისა და ნაქეზების ბრალდებით. 1990 წლის ნოემბერში ბრალდებულები გაამართლეს იმ საფუძველით, რომ მომჩივანმა არ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა სქესობრივი კავშირის დამყარების განზრახვას და ასევე მან შეცვალა ჩვენებები პროცესის მსვლელობისას. სააპელაციო სამართალწარმოებისას მეორე ინსტანციის სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 1991 წლის აპრილში იმ მოტივით, რომ ფაქტები იყო არასაკმარისად გამოძიებული და საქმე დააბრუნა განსახილველად. შესაბამისად, საქმის წარმოებამ მიიღო ხანგრძლივი ხასიათი, რომლის განმავლობაში ორმა ბრალდებულმა დატოვა ქვეყანა და მათი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. ორი გაუჩინარებული ბრალდებულის საქმე გამოჰყვეს ცალკე, ხოლო დარჩენილი 6 ბრალდებული 2002 წლის ივნისის განაჩენით, შესაბამისად, დამნაშავედ ცნეს გაუპატიურებაში და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ გაუპატიურებაში; მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით 8 თვიდან ერთ წლამდე. უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა განაჩენი 2007 წლის ივლისში. საბოლოოდ, გაუჩინარებული ბრალდებულები იპოვნეს და ექსტრადირებულნი იყვნენ სლოვენიაში 2003 და 2004 წლებში. შესაბამისად, ისინი დამნაშავედ ცნეს გაუპატიურების დახმარებასა და ნაქეზებაში, ასევე დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ გაუპატიურებაში და ნაქეზებაში და მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 8 თვის ვადით – 2003 წლის აგვისტოს და 2006 წლის ივნისის განაჩენებით. კონვენციის მე-3 მუხლზე (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) დაყრდნობით, ქალბატონი ვ. დავობდა, რომ სისხლის სამართალწარმოება გაუმართლებლად ხანგრძლივი აღმოჩნდა, რაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს მოვალეობას ეფექტიანად დაესაჯა მის მიმართ ჩადენილი დანაშაულები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე მას გადაეცა კომპენსაცია სამართალწარმოების გაჭიანურებით განცდილი ზიანის გამო, მომჩივანმა მიიჩნია, რომ მის სასარგებლოდ გადახდილი 5.000 ევრო არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო სათანადო კომპენსაციად.

მუხლი 3

პროცედურული ნაწილის დარღვევა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა). კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტის გაუპატიურების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე არსებულ პროცედურულ მოთხოვნებს.

სამართლიანი დაკმაყოფილება: შესაბამისად, აპლიკანტს მიენიჭა 15.000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და 1.800 ევრო – განუვლი ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მიზნით.

მ. ა. სლოვენის წინააღმდეგ

M. A. v. Slovenia

(განაცხადი №3400/07; 15.04.2015)

და

ნ. დ. სლოვენის წინააღმდეგ

N. D. v. Slovenia

(განაცხადი №16605/09; 15.04.2015)

1962 და 1986 წლებში დაბადებული ეროვნებით სლოვენელი მომჩივნები, ქალბატონი მ. ა. და ქალბატონი ნ. დ., ცხოვრობენ ქალაქ მარიბორში (სლოვენიაში) და ქალაქ ლოკა პრი ჟუსმუში (სლოვენიაში). ორივე საქმე შეეხება მათ საჩივარს გაჭიანურებული სისხლის სამართალწარმოების გამო, რომელიც მიმდინარეობდა გაუპატიურებაში ბრალდებული პირების წინააღმდეგ.

1983 წლის 3 ნოემბერს 8 თვის ორსულ ქალბატონ მ. ა-ს თავს დაესხა სამი მამაკაცი მაშინ, როდესაც იგი სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა. აღნიშნულმა პირებმა აპლიკანტი ძალით ჩასვეს მანქანაში, გადაიყვანეს მოშორებულ ადგილას და გაუპატიურეს. ქალბატონმა მ. ა-მ დაუყოვნებლივ მიმართა პოლიციას, რის შედეგად სამი პირი დააკავეს და დააპატიმრეს. 1983 წლის 24 ნოემბერს ისინი გაათავისუფლეს. შემდგომ, 1984 წლის მარტს მათ წაეყენათ ბრალდება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი დანაშაულისთვის – გაუპატიურებისთვის. ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ, რომელმაც დატოვა ქვეყანა და გაუჩინარდა ისე, რომ მისი კვალი ვერ იპოვეს, საქმე შეწყდა 2008 წლის ოქტომბერში. დანარჩენი ორი ბრალდებულის მიმართ, მთავარი სასამართლო სხდომა ჩატარდა 1996 წლის ნოემბერში; ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვალა 2003 წელს, ხოლო მეორე ბრალდებული დამნაშავედ ცნეს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ გაუპატიურებაში, 2004 წლის ნოემბერში. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, თუმცა განმეორებითი სასამართლო განხილვის შედეგად მეორე ბრალდებული კვლავ დამნაშავედ ცნეს. განაჩენი ძალაში დარჩა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით 2009 წლის სექტემბერში.

ქალბატონმა ნ. დ-მ პირველად პოლიციას მიმართა 2000 წლის დეკემბერს იმ საჩივრით, რომ იგი საკუთარმა ბიძამ გააუპატიურა 1992 წელს, როდესაც ის 6 წლის იყო. მომჩივანი აცხადებდა, რომ ასეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები 1994 წლამდე გრძელდებოდა. რამდენიმე საგამოძიებო ღონისძიება ჩატარდა მომჩივნის ბრალდებების შესამოწმებლად, მათ შორის აპლიკანტის, მისი ოჯახის წევრებისა და ექიმის დაკითხვის ჩათვლით. 2002 წლის მაისში, მომჩივნის ბიძას წაეყენა ბრალდება არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედებისთვის. სასამართლო განხილვა დაიწყო 2008 წლის აპრილში, 6 წლის შემდეგ და დასრულდა იმით, რომ ბიძა დამნაშავედ ცნეს 2009 წლის აპრილში იმ განგრძობადი სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების გამო, რომელიც მან დაამყარა 14 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან. მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლისა და 4 თვის ვადით. ბიძის საჩივარი უარყოფილ იქნა 2010 წლის მარტში და მისი მსჯავრდება და განაჩენი ძალაში დარჩა.

ქალბატონმა ნ. დ-მ მოითხოვა კომპენსაციის გადახდა სახელმწიფოს მხრიდან გა-

ჭიანურებული სისხლის სამართალწარმოების გამო. 2011 წლის მაისში, ეროვნულ-მა სასამართლოებმა მას მიანიჭეს 4.000 ევრო ზიანის ანაზღაურების სახით.

კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), მომჩივნები დავობდნენ, რომ სლოვენიამ ვერ უზრუნველყო სისხლისსამართლებრივი დევნისა და გასამართლების ეფექტიანი სისტემა იმ პირების წინააღმდეგ, რომელთაც აპლიკანტების გაუპატიურებაში ედებოდათ ბრალი. მომჩივანთა საქმეებზე სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება პირველ შემთხვევაში გრძელდებოდა 26 წელი, ხოლო მეორე შემთხვევაში – 9 წელზე მეტი.

მე-3 მუხლის დარღვევა (პროცედურული ნაწილის დარღვევა) – ზემოთ აღნიშნულ ორივე საქმეში

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა). კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ სისხლის სამართალწარმოება აპლიკანტების გაუპატიურების ფაქტებთან დაკავშირებით არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ პროცედურულ მოთხოვნებს.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა ქალბატონ მ. ა-ს სასარგებლოდ 16.000 ევროს გადახდა და ქალბატონ ნ. დ-ს სასარგებლოდ 4.000 ევროს გადახდა (მორალური ზიანის ანაზღაურება); ასევე 1,011.31 ევროს გადახდა მ. ა-თვის და 3,300 ევროს გადახდა ნ. დ-თვის (განუღი ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად).

ი. პ. მოლდოვის წინააღმდეგ

I. P. v. the Republic of Moldova

(განაცხადი №33708/12; 28.07.2015)

ეროვნებით მოლდოველი აპლიკანტი – ქალბატონი ი. პ. დაბადებულია 1987 წელს და ცხოვრობს ქალაქ კიშინიოვში. მოცემული საქმე ეხებოდა მის განაცხადს იმის თაობაზე, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო გამოძიების ჩატარება მომჩივნის გაუპატიურების ფაქტზე.

ქალბატონმა ი. პ-მ განაცხადა, რომ იგი გააუპატიურა ო. პ-მ, რომელსაც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხვდებოდა. მომჩივნის ჩვენების თანახმად, ეჭვიანი და მოძალადე ო. პ. გაბრაზდა ქალზე 2010 წლის 10 მაისის საღამოს იმის გამო, რომ ვერ დაუკავშირდა ი. პ-ს. ამ მიზეზით, ბრალდებული ელოდებოდა მომჩივანს სახლთან ახლოს და აპლიკანტის გამოჩენისთანავე თავს დაესხა მას. კერძოდ, ძალით ჩასვა მანქანაში და წაიყვანა საკუთარ სახლში, სადაც მთელი ღამის განმავლობაში სასტიკად ეპყრობოდა, ძალადობდა, აუპატიურებდა და ქალის ნების წინააღმდეგოდ გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს ამყარებდა მასთან. დილით ო. პ-მ ნება დართო მომჩივანს წასულიყო და მისთვის ტაქსი გამოიძახა.

დაზარალებულმა დაუყოვნებლივ შეიტანა სისხლის სამართლის სარჩელი მოძალადის წინააღმდეგ და ისარგებლა სამედიცინო შემონმებით. სამედიცინო შემონმების დასკვნით, მას აღენიშნებოდა მრავალი სისხლჩაქცევა სხეულზე და სპერმის კვალი საშოში. მოძალადეს ასევე ჩაუტარდა სამედიცინო შემონმება და კისრის არეში დაფიქსირებული ნაკანრები მიუთითებდა გაუპატიურების მსხვერპლთათვის დამახასიათებელ მოქმედებაზე, რითაც აღნიშნული დანაშაულის არსებობა დასტურდებოდა.

ო. პ-ს ვერსიის მიხედვით, მან აღიარა, რომ ხელი აღმართა აპლიკანტზე, თუმცა უარყო რაიმე სხვა ძალადობა ი. პ-ს მიმართ, მათ შორის, მომჩივნის ნების საწინააღმდეგოდ მისი გაუპატიურება. თავიდან ო. პ-მ განაცხადა, რომ ისინი შეთანხმდნენ ჰქონოდათ სქესობრივი კავშირი, თუმცა შემდგომ, მან საერთოდ უარყო სქესობრივი კავშირის რაიმე ფაქტი.

მომჩივნის სარჩელი უარყოფილი იყო სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოების მიერ 2010 წლის აგვისტოსა და შემდეგ 2011 წლის აპრილში იმ საფუძვლით, რომ მომჩივანი ხვდებოდა ო. პ-ს, საკუთარი ნებით მივიდა მასთან სახლში ინციდენტის ღამეს და შეეძლო წინააღმდეგობის განევა სურვილის არსებობის შემთხვევაში. ბოლო გადაწყვეტილების მიღებისას, რითაც უარყოფილ იქნა სარჩელი, პროკურორმა მიიჩნია, რომ ო. პ-მ ჩაიდინა ნაკლებად ძვირადღირებული, თუმცა სამართალწარმოების დასაწყებად აუცილებელი ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო. მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა იერარქიულად ზემდგომ პროკურორთან და ასევე გამომძიებელ მოსამართლესთან, თუმცა განაცხადი კვლავ უარყოფილ იქნა 2011 წლის აგვისტოსა და ნოემბერში.

მომჩივანმა განაცხადა, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი განაცხადის საფუძველზე არსებული გაუპატიურების საქმის ეფექტური გამოძიება. მას არ მიეცა ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი ან/და სამოქალაქო დაცვის საშუალებების უფლება გაუპატიურების ბრალდებაზე ან შემდგომი არაადეკვატური გამოძიების ფაქტზე. მომჩივანმა მიუთითა კონვენციის მე-3 მუხლსა (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 მუხლზე (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება).

მე-3 მუხლის დარღვევა (გამოძიება)

სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა). კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ აპლიკანტის საქმის გამოძიება არ აკმაყოფილებდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას – ეფექტიანად გამოეძიებინა და დაესაჯა გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმის დანაშაული. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, რადგან აპლიკანტის საჩივარი ეხებოდა სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალებების არარსებობას.

მე-13 მუხლის დარღვევა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში

საჩივარი შეეხებოდა სამოქალაქო დაცვის საშუალებების არარსებობას.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

აპლიკანტს მიენიჭა 10.000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და 2.000 ევრო – განუული ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

ჯანკოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ

Jankovic v. Croatia

(განაცხადი №38479/05; 05/03/2009)

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ პალატის გადაწყვეტილებით,¹⁰ საქმეზე ჯანკოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, ერთხმად დაადგინა, რომ:

- დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) იმ საფუძველზე, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ფიზიკური თავდასხმისგან ქალბატონი ჯანკოვიჩის ადეკვატური დაცვა და ეროვნული სისხლის სამართლის მექანიზმების განხორციელება;
- კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა (სამართლიან და გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის უფლება).

კონვენციის 41-ე მუხლის (სამართლიანი დაკმაყოფილება) მიხედვით, სასამართლომ ქალბატონ ჯანკოვიჩს მიანიჭა 3.000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 2.820 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯებისთვის (850 ევროზე ნაკლები უკვე მიღებული ჰქონდა ევროპის საბჭოსგან იურიდიული დახმარებისთვის).

ფაქტობრივი გარემოებაები

ეროვნებით ხორვატი აპლიკანტი, სანდრა ჯანკოვიჩი, დაიბადა 1964 წელს და ცხოვრობს სპლიტში (ხორვატიაში). 1996 წლის ოქტომბერში მან იქირავა ბინის ერთი ოთახი სხვა მობინადრეებთან ერთად. 1999 წლის აგვისტოში, მომჩივანმა აღმოაჩინა, რომ ბინის საკეტი შეცვლილი იყო, ხოლო მისი ნივთები კი ბინიდან გატანილი დახვდა. აპლიკანტმა სარჩელი შეიტანა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ გამოიტანა 2002 წლის მაისში. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით მას უნდა დაებრუნებინა სა-

¹⁰ კონვენციის 43-ე მუხლის მიხედვით, პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია, გამოაკლის შემთხვევაში მოითხოვოს საქმის 17 წევრისგან შემდგარი სასამართლოს დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. კერძოდ, თუ საქმე ნამოჭრის კონვენციის, ან მისი ოქმების განმარტების, ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან - საერთო მნიშვნელობის სხვა მთავარ საკითხს. ამ შემთხვევაში, დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ ასეთი საკითხი არ წამოიჭრება, პალატა გადაცემის შესახებ თხოვნას უარყოფს და მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება. სხვა შემთხვევაში, პალატის გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება სამი თვის ვადის გასვლის შემთხვევაში ან უფრო ადრე, თუ მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის დიდი პალატისთვის გადაცემას.

კუთარი ოთახი ბინაში. აღნიშნული გადაწყვეტილება დაახლოებით ათი თვის შემდეგ აღსრულდა სააღსრულებო ორდერის საფუძველზე.

ამასობაში, ქალბატონმა ჯანკოვიჩმა სთხოვა სასამართლოს განეხლებინა სააღსრულებო წარმოება იმისათვის, რომ დაებრუნებინა საცხოვრებელი ოთახი საერთო ბინაში. მისი თხოვნა, დაუშვებლობის მოტივით, უარყოფილ იქნა 2008 წლის იანვარში.

2003 წლის ოქტომბერში ქალბატონმა ჯანკოვიჩმა შვიდი პირის წინააღმდეგ შეიტანა სისხლის სამართლის საჩივარი. კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ მას თავს დაესხნენ, შეურაცხყოფა მიაყენეს და დაემუქრნენ, მათ შორის, მკვლელობით. შესაბამისმა ორგანოებმა გადაწყვიტეს, რომ არ დაეწყოს ოფიციალური გამოძიება ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ასეთ დანაშაულებზე საჭირო იყო, რომ დაზარალებულს თავად აღედრა კერძო საჩივარი. ქალბატონმა ჯანკოვიჩმა კერძო ბრალდების საქმე აღძრა, თუმცა აღნიშნული საჩივრის მიმართ არანაირი ღონისძიება არ გატარებულა; კერძოდ, მისი მოთხოვნა – გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით უარყოფილ იქნა ეროვნული სასამართლოების მიერ დაუშვებლად ცნობის გამო. მან საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა საჩივარი მოცემული სისხლის სამართლის საქმის დროში გაჭიანურების გამო, თუმცა აღნიშნული საჩივარი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

ქალბატონმა ჯანკოვიჩმა სააღსრულებო წარმოებათა დროში გაჭიანურების გამო საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წელს მიმართა, ხოლო საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2007 წელს. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი, 2008 წლის მარტში საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა მისთვის 5.000 ხორვატიული კუნას (დაახლოებით 678 ევრო) კომპენსაციის სახით გადაცემა.

პროცედურა და სასამართლო შეზღუდვები

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2005 წლის 18 სექტემბერს იქნა შეტანილი და ნაწილობრივ დასაშვებად გამოცხადდა 2008 წლის 24 იანვარს.

გადაწყვეტილების შეჯამება

მოთხოვნები

კონვენციის მე-3 (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლებზე დაყრდნობით, ქალბატონი ჯანკოვიჩი ჩიოდა, რომ მიუხედავად მისი მცდელობისა, გამოძიებულები მისი ბრალდებები – ბინის მეზობლების მხრიდან თავდასხმისა და დამუქრების ფაქტებზე, ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი ადეკვატური დაცვა. იგი ასევე ჩიოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფიდან (გონივრულ ვადაში სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) გამომდინარე სამოქალაქო და სააღსრულებო გაჭიანურებულ წარმოებასთან დაკავშირებით.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 8

პირველ რიგში, სასამართლომ გაითვალისწინა ქალბატონი ჯანკოვიჩის ის ბრალ-

დებები, რომელიც სამი პირის მხრიდან მის მიმართ გამოხატულ სიტყვიერ შეურაცხყოფას უკავშირდებოდა აპლიკანტის ბინის წინ; ამასთან, ერთ-ერთმა მათგანმა მომჩივანს რამდენიმეჯერ მიართვა ფეხი, გამოათრია იგი ტანსაცმლითა და თმით და გადმოაგდო კიბიდან. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, მას დაზიანება ჰქონდა იდაყვსა და კუდუსუნის არეში. სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ თავდასხმა მოხდა იმ დროს, როდესაც ქალბატონი ჯანკოვიჩი ცდილობდა ბინაში შესვლას სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც მას ამის უფლებას აძლევდა.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა გადაწყვიტეს – არ დაესაჯათ სავარაუდო თავდამსხმელები და არ მისცეს უფლება ქალბატონ ჯანკოვიჩს აღედრო კერძო ბრალდების საქმე. გარდა ამისა, წერილმან დანაშაულებზე საქმის წარმოება შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით, თავდამსხმელთა მიმართ რაიმე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ უზრუნველყო ქალბატონი ჯანკოვიჩის ადეკვატური დაცვა მის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმისგან და იმ გზით, რომლითაც განხორციელდა სისხლის სამართლის პროცედურები ირღვეოდა კონვენციის მე-8 მუხლი.

მუხლი 6 პარაგრაფი 1

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო და სააღსრულებო წარმოება ერთ კონტექსტში უნდა განხილულიყო, რადგან ქალბატონი ჯანკოვიჩის სასარგებლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება წარმოადგენდა მოცემული სასამართლო პროცესის განუყოფელ ნაწილს. საბოლოო ჯამში, ორივე სამართალწარმოება გაგრძელდა 8 წლის, 5 თვისა და 6 დღის განმავლობაში. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ვადა გადაჭარბებულად ხანგრძლივი იყო, რითაც დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

მუხლი 3

კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე არსებული დასკვნის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-3 მუხლის შესაბამისად ცალკე საკითხის განხილვის საჭიროება აღარ არსებობდა.

სოუ ბელგიის წინააღმდეგ

Sow v. Belgium

(განაცხადი №27081/13; 19/01/2016)

გვინეელი წარმოშობის აპლიკანტი, უმუ ფადილ სოუ დაიბადა 1987 წელს და ცხოვრობდა ბრიუსელში (ბელგიაში).

საქმე ეხებოდა ქალის გენიტალიების მოკვეთის პროცედურის იმ რისკს, რომელიც გამოწვეული იქნებოდა ქალბატონი სოუს თავისი წარმოშობის ქვეყანაში გაძევებით.

ქალბატონი სოუს მამის გარდაცვალების შემდეგ, მომჩივნის დედა დაქორწინდა აპლიკანტის მამის ძმაზე. ეს უკანასკნელი ქალბატონ სოუსა და მის დებს აიძულებდა წინადაცვეთა გაეკეთებინათ (ქალის გენიტალიების მოკვეთა). ქალბატონმა სოუმ წინააღმდეგობა გაუწია წინადაცვეთის პროცესს, შედეგად, მას მხოლოდ ნაწილობრივ მოკვეთეს სასქესო ორგანო. ბიძამ ასევე აიძულა ქალბატონი სოუ დაქორწინებულიყო საკუთარ ბიძაშვილზე. ქორწინებიდან სამ დღეში მომჩივანი გაიქცა. ბელგიაში ჩასვლის შემდეგ ქალბატონმა სოუმ მოითხოვა თავშესაფარი, ამტკიცებდა, რომ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა გვინეა იძულებითი ქორწინების გამო. ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გენერალურმა კომისარმა (CGRA) არ მიანიჭა მას ლტოლვილის სტატუსი და შესაბამისი უსაფრთხოება. უცხოელთა საქმეების განხილვის საბჭო (CCE) დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას. რამდენიმე დღის შემდეგ, ქალბატონმა სოუმ ხელმეორე განაცხადი შეიტანა თავშესაფრის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც იმავე ფაქტებს ეყრდნობოდა, მაგრამ გამყარებული იყო ახალი დოკუმენტებით. მისი განაცხადი კვლავ არ დაკმაყოფილდა ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გენერალური კომისრის მიერ. უცხოელთა საქმეების განხილვის საბჭომ მხარი დაუჭირა ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებას. ქალბატონ სოუს მიმართ გამოტანილ იქნა ორი ბრძანება – ქვეყნის დატოვების თაობაზე და იმავე დღეს იგი შეასახლეს დროებითი მოთავსების იზოლატორში. მან მესამეჯერ შეიტანა განაცხადი თავშესაფრის მიღების თხოვნით, სადაც უთითებდა მის შიშს იმის შესახებ, რომ კიდევ ერთხელ არ გამხდარიყო ქალის გენიტალიების მოკვეთის პროცედურის მსხვერპლი. თუმცა უცხოელთა საქმეების განხილვის საბჭომ (CCE) ახალი ბრძანება გამოსცა ქვეყნის დატოვების თაობაზე. აპლიკანტს უარი ეთქვა თავშესაფრის მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ ეტაპზე არსებული მტკიცებულებები უნდა წარდგენილიყო მის ერთ-ერთ წინა განაცხადთან ერთად თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ. აპლიკანტის მომდევნო შუამდგომლობა – განსაკუთრებული დაჩქარებული პროცედურით გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესახებ – უარყოფილ იქნა. ქალბატონმა სოუმ სასამართლო წესით მოითხოვა დროებითი ღონისძიება, რომლის მიხედვითაც, იგი მოუწოდებდა ბელგიის მთავრობას, არ გაეძევებინა გვინეაში სამართალწარმოების დამთავრებამდე. ქალბატონი სოუ გაათავისუფლეს.

კონვენციის მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და ასევე, მე-13 მუხლიდან (ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება) გამომდინარე, ქალბატონი სოუ დავობდა, რომ მისი გვინეაში გაძევების შემთხვევაში, იგი იდგა ქალის გენიტალიების მოკვეთის რისკის წინაშე და მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებები აპლიკანტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) აპლიკანტის საკუთარი წარმომოხიბლების ქვეყანაში გაძევებით. კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მან ვერ დაასაბუთა იმ რეალური რისკის არსებობა, რომელიც უკავშირდებოდა მომჩივნის სასქესო ორგანოს მოკვეთის პროცედურის რისკს გვინეაში დაბრუნების შემთხვევაში. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლი (ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალებების უფლება) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი – ქალბატონი სოუს გვინეაში დაბრუნებით.

არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

დროებითი ღონისძიება (სასამართლოს რეგლამენტის 39 წესი) – ქალბატონი სოუს გვინეაში არგაძევებასთან დაკავშირებით კვლავ ძალაშია, სანამ გადანყვეტილება საბოლოო გახდება ან შემდგომი ბრძანების გამოცემამდე.

რ. ჰ. შვედეთის წინააღმდეგ

R.H. v. Sweden

(განაცხადი №4601/14; 10/09/2015)

წინამდებარე საქმე ეხებოდა სომალელი თავშესაფრის მაძიებლის დეპორტაციას.

აპლიკანტი არის 1988 წელს დაბადებული სომალელი წარმოშობის ქალბატონი რ.ჰ. 2011 წლის დეკემბერში მან შვედეთში მოითხოვა თავშესაფარი. იგი ამტკიცებდა, რომ ახლახანს ჩამოვიდა ქვეყანაში. სამედიცინო საბჭომ და სამედიცინო სასამართლომ განიხილეს მისი მდგომარეობა და საბოლოოდ, 2013 წლის ივნისში არ დააკმაყოფილეს მისი განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით და გასცეს მისი სომალიში დეპორტაციის ბრძანება. ზემოთ აღნიშნულმა უწყებებმა დაასკვნეს, რომ აპლიკანტის განცხადებას აკლდა დამაჯერებლობა: კერძოდ, 2007 წელს, მომჩივანს შვედეთში ჩამოსვლამდე უკვე ჰქონდა შეტანილი განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით იტალიასა და ჰოლანდიაში. შვედეთში იგი იმყოფებოდა არალეგალურად 2011 წლამდე, სანამ მომჩივანი მიმართავდა სამედიცინო სახელისუფლებო ორგანოებს; საწყის ეტაპზე იგი ამტკიცებდა, რომ სომალი ომის გამო დატოვა, მომდევნო ეტაპზე მან შეცვალა თავისი ისტორია და ამტკიცებდა, რომ იგი სომალიდან საიდუმლო შეყვარებულთან ერთად გამოიქცა, რათა თავიდან აერიდებინა ასაკით უფროს კაცთან იძულებითი ქორწინება. ამასთან, უკან დაბრუნების შემთხვევაში, მას ეშინოდა თავისი ოჯახის წევრების მხრიდან სასტიკი მოპყრობისა, კერძოდ, ბიძების მხრიდან, რომლებსაც უკვე რამოდენიმეჯერ ჰყავდათ ნაცემი 2004 წელს გაქცევის მცდელობისთვის. შემდგომში აპლიკანტმა წარმოადგინა შუამდგომლობა მისი დეპორტაციის ბრძანების აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებით. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი ბიძები შეუერთდნენ ალ-შაბაბს – ჯიჰადის ტერორისტულ დაჯგუფებას, რომელიც დაარსდა სომალიში. ისინი აიძულებდნენ აპლიკანტის ძმას, შეერთებოდა დაჯგუფებას და მოეკლა საკუთარი და. სამედიცინო საბჭომ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა 2013 წლის სექტემბერში. აპლიკანტის დეპორტაციის საკითხი აღსასრულებელი დარჩა 2014 წლის იანვრამდე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მისი რეგლამენტის 39-ე წესის საფუძველზე მინიჭებული დროებითი ღონისძიების თანახმად, რომელიც მიუთითებდა შვედეთის მთავრობას, რომ აპლიკანტი არ შეიძლებოდა გაძევებულიყო სომალიში, სანამ სასამართლო საქმეს განიხილავდა.

კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ქალბატონი რ.ჰ. ამტკიცებდა რომ, მისი შვედეთიდან სომალიში დაბრუნების შემთხვევაში, არსებობდა რეალური საფრთხე ბიძების მხრიდან მისი

სიცოცხლის მოსპობისა, რადგან სომალიდან გამოქცევამდე აპლიკანტმა უარყო იძულებითი ქორწინება ან მისი იქ დაბრუნების შემთხვევაში, იგი იძულებული იქნებოდა დაქორწინებულიყო მისი ნების საწინააღმდეგოდ. იგი ასევე აცხადებდა, რომ სომალიში არსებული ზოგადი სიტუაცია ქალების მიმართ ძალიან რთული იყო, კერძოდ, მათთვის და მათ შორის მისთვის, რომელთაც აკლდათ მამაკაცთან კავშირი და შესაბამისად იყვნენ ყველაზე მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის მოგადიშოში დეპორტაციით არ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა). ქალების მიმართ სომალიში, მათ შორის, მოგადიშოში არსებული მძიმე მდგომარეობის შესწავლამდე, სასამართლო ვერ დაასკვნიდა საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ აპლიკანტი იდგა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური საშიშროების წინაშე, თუ იგი აღნიშნულ ქვეყანაში დაბრუნდებოდა. მომჩივნის განცხადებებში არსებობდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობები და მისი მოთხოვნები პირად გამოცდილებებთან მიმართებით, მათ შორის, დაბრუნების შემთხვევაში არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, არ იყო დამაჯერებელი. ასევე არ არსებობდა საფუძველი იმის დასადგენად, რომ მოგადიშოში დაბრუნების შემთხვევაში აპლიკანტი, როგორც მარტოხელა ქალი დადგებოდა იმ რისკების წინაშე, რასაც ასეთი მდგომარეობა მოიცავდა. ამის ნაცვლად უნდა მიჩნეულიყო, რომ მომჩივანს ექნებოდა, როგორც ოჯახის მხარდაჭერა, ასევე, მამრობითი სქესის მხრიდან დაცვა. არც ის იყო დამტკიცებული, რომ მას უნდა მიემართა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკისთვის. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი ქალბატონი რ.ჰ-ს მოგადიშოდან სომალიში დეპორტაციით.

დროებითი ღონისძიება (სასამართლოს რეგლამენტის 39-ე ნესი) – ქალბატონი რ. ჰ-ს დეპორტაციის აკრძალვის შესახებ კვლავ ძალაშია, სანამ გადაწყვეტილება საბოლოო გახდება ან სანამ ბრძანება გამოიცემა.

ს. ზ. ბულგარეთის წინააღმდეგ

S. Z. v. Bulgaria

(განაცხადი №29263/12; 03/03/2015)

პალატის გადაწყვეტილებით¹¹, საქმეზე ს. ზ. ბულგარეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

¹¹ კონვენციის 43-ე მუხლის მიხედვით, პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია, გამოიყენოს შემთხვევაში მოითხოვოს საქმის 17 ნევრისგან შემდგარი სასამართლოს დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. კერძოდ, თუ საქმე წამოჭრის კონვენციის, ან მისი ოქმების განმარტების, ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან – საერთო მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს. ამ შემთხვევაში, დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ ასეთი საკითხი არ წამოიჭრება, პალატა გადაცემის შესახებ თხოვნას უარყოფს და მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, სხვა შემთხვევაში, პალატის გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება სამი თვის ვადის გასვლის შემთხვევაში ან უფრო ადრე, თუ მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის დიდი პალატისთვის გადაცემას.

დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) აპლიკანტის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და გაუპატიურების საქმეზე წარმოებული ხარვეზიანი გამოძიების გამო; კერძოდ, გაჭიანურებული სისხლის სამართალწარმოების და დანაშაულების გარკვეულ ეპიზოდებში არაეფექტური გამოძიების ფაქტების გათვალისწინებით.

სასამართლოს თვალსაზრისით, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ სახელისუფლებო ორგანოები საჭიროდ არ მიიჩნევდნენ აპლიკანტის ბრალდებების განხილვას იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომ მის საქმეში შესაძლოა მონაწილეობდა ქალთა ტრეფიკინგის ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელი.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბულგარეთის წინააღმდეგ გამოტანილ 45-ზე მეტ გადაწყვეტილებაში, სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ შეასრულეს მასზე დაკისრებული მოვალეობა – ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე და მიიჩნია, რომ ამ მორიგმა ხარვეზებმა გამოააშკარავეს სისტემატური პრობლემის არსებობა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ბულგარეთის ვალდებულებას წარმოადგენდა მინისტრთა კომიტეტთან თანამშრომლობით გადაწყვიტა, თუ რომელი ზოგადი ღონისძიებები იყო საჭირო პრაქტიკული თვალსაზრისით, რათა კონვენციის სხვა მსგავსი დარღვევების პრევენცია მომხდარიყო სამომავლოდ.

ფაქტობრივი გარემოებაები

ბულგარელი წარმოშობის აპლიკანტი – ს. ზ. დაიბადა 1977 წელს და ცხოვრობს სოფიაში (ბულგარეთში).

1999 წლის 19 სექტემბერს ს. ზ., რომელიც იმ დროისათვის 22 წლის სტუდენტი იყო, გაემართა სოფიიდან ბლაგოევგრადისკენ ორ ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად, რომლებმაც გზაში მას უთხრეს, რომ უპირებდნენ „გაყიდვას“ პროსტიტუციის მიზნით. აპლიკანტი მიიყვანეს ბინაში, სადაც რამდენიმე მამაკაცმა მისი ნების საწინააღმდეგოდ დააკავა, არაერთხელ სცემა და გააუპატიურა 48 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ ს. ზ-მ გაქცევა მოახერხა. იმ ბინის მაცხოვრებლებმა, სადაც ს. ზ-ს თავშესაფარი ჰქონდა, გააფრთხილეს პოლიცია აღნიშნული ფაქტის შესახებ. პოლიციის მიერ აპლიკანტის დაკითხვისას, მან ფანჯრიდან გადახტომა სცადა. აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. ს. ზ-მ ამოიცნო მისი ორი თავდამსხმელი და ის ორი პოლიციის ოფიცერი, რომლებთანაც აღნიშნულმა პირებმა ისაუბრეს, სანამ მომჩივანზე მისი ნების საწინააღმდეგოდ იძალადებდნენ. მან ასევე განაცხადა, რომ მამაკაცები იყვნენ კრიმინალური დაჯგუფების წევრები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ტრეფიკინგში და უნდოდათ იძულებით მისი პროსტიტუციაში ჩაბმა დასავლეთ ევროპაში. გამოძიება ოთხჯერ დაიხურა და საქმე დაუბრუნდა დამატებით გამოძიებას იმ მოტივით, რომ ან არ იყო მიღებული აუცილებელი საგამოძიებო ზომები, ან არსებობდა პროცედურული დარღვევები.

2007 წელს შვიდი მოპასუხე იქნა წარდგენილი სასამართლოს წინაშე ბლაგოევგრადის რაიონულ სასამართლოში თავისუფლების უკანონო აღკვეთის, გაუპატიურების, პროსტიტუციის ნაქეზების ან პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით გატაცების ბრალდებით. 22 სასამართლო სხდომა ჩატარდა, რომელთაგან დაახლოებით ათი გადაიდო ბრალდებულის ან მოწმეების პროცესზე გამოძახების წესის დარღვევ-

ბის მიზეზით. 2012 წლის 27 მარტის განაჩენის მიხედვით, ხუთი ბრალდებული დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა. დანარჩენი ორი ბრალდებულიდან ერთ-ერთი გაამართლეს, მეორეს მიმართ კი სამართალწარმოების დაწყება ხანდაზმულად გამოცხადდა. 2014 წლის 11 თებერვლის საბოლოო განაჩენში, ერთ-ერთი მსჯავრდება გაუქმებულ იქნა ხანდაზმულობის გამო და სხვა მსჯავრდებულ პატიმრებს შეუძმირდათ თავისუფლების აღკვეთის ვადა.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიგნით სწავლა

კონვენციის მე-3 მუხლსა (არაპუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლზე (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაყრდნობით, აპლიკანტი ჩიოდა სისხლის სამართალწარმოების არაეფექტურობის შესახებ მის წინააღმდეგ ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთის, თავდასხმის, გაუპატიურებისა და ტრეფიკინგის დანაშაულებთან დაკავშირებით. აპლიკანტი დავობდა იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიებისას სათანადო ყურადღება არ დაეთმო პოლიციის ორი თანამშრომლის შესაძლო ჩართულობას საქმეში, ასევე მარცხით დასრულდა სისხლისსამართლებრივი დევნის მოთხოვნა მისი ორი თავდასხმელის წინააღმდეგ. განმცხადებელი ასევე ჩიოდა საგამოძიებო და სამართალწარმოების პროცედურების გაჭიანურებასთან დაკავშირებით. ამასთან, მისი განმარტებით, სისხლის სამართლის საქმის დროში განვლილმა პროცედურებმა, რამდენადაც იგი მოიცავდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებსაც, დაარღვია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები (გონივრულ დროში სამართლიანი სასამართლოს უფლება). და ბოლოს აპლიკანტი აღნიშნავს, რომ მისი საქმე არის საილუსტრაციო მაგალითი ბულგარეთში სისხლის სამართალწარმოების არაეფექტურობისა, რომელიც გამოწვეული იყო განმეორებადი ხასიათის ხარვეზებით, კერძოდ, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებში.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2012 წლის 3 მაისს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 3¹²

სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო იყო მომჩივნის საჩივრის განხილვა კონვენციის მხოლოდ მე-3 მუხლთან მიმართებით.

პირველ რიგში, რაც შეეხება ყველა სისხლის სამართალწარმოებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯამში ეს პროცესი გრძელდებოდა 14 წლის განმავლობაში – წინასწარი გამოძიებისა და ორი ინსტანციის სასამართლოს გათვალისწინებით. ეს პერიოდი ზედმეტად ხანგრძლივი აღმოჩნდა ხელისუფლების წარმომადგენლების ვალდებულების გათვალისწინებით – სწრაფად ეწარმოებინათ საქმე, რადგან სისხლის სამართალწარმოება დაწყებული იყო და გარკვეული პასუხისმგებელი პირები წარდგენილ-

¹² განაცხადის დასაშვებობასთან მიმართებით, სასამართლომ უარყო მთავრობის არგუმენტი, რომელიც ეხებოდა ეროვნული სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონაწერს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები სასამართლო აქტისა და სახელმწიფო პასუხისმგებლობის აქტის მიხედვით, შექმნილი იყო იმ კონკრეტული მიზნით, რომ მიენიჭებინათ კომპენსაცია გადაჭარბებული ხანგრძლივობის სამართალწარმოებების გამო, მაგრამ არ იძლეოდა იმის გამოკვლევის საშუალებას, სახელმწიფომ დააკმაყოფილა თუ არა მისი პროცედურული მოვალეობები კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე. მთავრობის არგუმენტთან მიმართებით, რომ ს. ზ-მ განაცხადი ვადაზე ადრე შეიტანა (საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა, სანამ სისხლის სამართალწარმოება დასრულდებოდა), სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საკითხი დაკავშირებული იყო საქმის არსებითი მხარის განხილვასთან.

ნი იყვნენ სასამართლოში. ევროპული სასამართლო არ იყო დაკმაყოფილებული იმ განმარტებით, რომ ასეთი გაჭიანურება საქმის სირთულით იყო გამოწვეული.

სასამართლომ განიხილა ის ფაქტი, რომ გამოძიება დაიხურა ოთხჯერ, მაგრამ პროკურორმა გადაწყვიტა საქმის უკან დაბრუნება შემდგომი გამოძიების მიზნით იმ მოტივით, რომ საჭირო საგამოძიებო ღონისძიებები არ ყოფილა მიღებული ან პროცედურული რეგულაციები დარღვევით იქნა ჩადენილი.

ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან არაკეთილსინდისიერმა მოქმედებებმა გამოძიების ფაზის გაჭიანურება და შედეგად ხანდაზმული, ნაკლებად მძიმე დანაშაულების სამართლებრივი დევნა გამოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ ს. ზ-ს არ გაუსაჩივრებია ის გადაწყვეტილება, რომელიც მის მიერ ამოცნობილი ორი პოლიციის თანამშრომლის წინააღმდეგ საქმის შეწყვეტას უკავშირდებოდა. შეშფოთებას იწვევდა მოცემულ საქმეში აღნიშნული დანაშაულის ბუნება და მომჩივნის განცხადებები, რომ მისი თავდამსხმელები იყვნენ ქალთა ტრეფიკინგის ქსელის ჯგუფის წევრები იმ მიზნით, რომ ეიძულებინათ აპლიკანტის საზღვარგარეთ პროსტიტუციაში ჩაბმა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს გამოეკვლიათ ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების სავარაუდო მონაწილეობა და შემოიფარგლნენ მხოლოდ იმ პირების დევნით, რომლებიც განმცხადებლის გატაცებასა და თავდასხმაზე პირდაპირ იყვნენ პასუხისმგებელნი. გარდა ამისა, სახელისუფლებო ორგანოებმა არ გადადგეს კონკრეტული ნაბიჯები, რათა ეპოვნათ დანარჩენი ის ორი პირი, რომელიც განმცხადებელმა ამოიცნო.

და ბოლოს, რაც შეეხება სასამართლო ეტაპს, რომელიც დაიწყო 2007 წელს, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართალწარმოებების გახანგრძლივებული ვადა მთლიანად არ იყო გამართლებული მისი სირთულიდან გამომდინარე. მართლაც, ბევრი სხდომა გადაიდო საქმის არსებითი ნაწილის გამოკვლევის გარეშე იმ მოტივით, რომ რამოდენიმე ბრალდებული არ იქნა სათანადოდ დაბარებული სასამართლოში ან ვერ გამოცხადდა.

ევროპულმა სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ სამართალწარმოებების გადაჭარბებულად ხანგრძლივმა ვადამ უარყოფითად იმოქმედა ს. ზ-ზე, რომელიც თავდასხმის გამო იმყოფებოდა რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. აპლიკანტი გაურკვეველ სიტუაციაში იყო მისი თავდამსხმელების შესაძლო გასამართლებასა და დასჯასთან დაკავშირებით. შედეგად, მომჩივანს მოუწია სასამართლოში არაერთხელ დაბრუნება მრავალი სამართალწარმოების განმავლობაში.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

მუხლი 46

გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება

მომჩივანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მისი საქმე იყო საილუსტრაციო მაგალითი სისხლის სამართალწარმოების განმეორებადი პრობლემებისა, ევროპული სასამართლოსგან ითხოვდა, მიეთითებინათ ბულგარეთის სახელმწიფოსთვის, თუ რომელი ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებები უნდა ყოფილიყო მიღებული კონვენციის 46-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. ეს დებულება სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, დახმარება გაუწიოს სახელმწიფოს იმ გზების დადგე-

ნაში, თუ როგორ უნდა იქნეს აღმოფხვრილი კონვენციის საწინააღმდეგო ქმედება. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა აირჩიოს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით, ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში თუ რა საშუალება იქნება გამოყენებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსასრულებლად.

სასამართლომ დაასკვნა, რომ ბულგარეთთან მიმართებით გამოტანილ უკვე 45 გადაწყვეტილებაში დადგენილ იქნა ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულების დარღვევა. ერთ-ერთი მიზეზი ამ დასკვნებისა იყო გაჭიანურებული საგამოძიებო პროცესი, რომელიც საბოლოოდ დევნის შეწყვეტით მთავრდებოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; ასევე, ხელისუფლების ორგანოების მიერ მტკიცებულებებისა და ბრალდებულების გამორიცხვა და წინასწარ გამოძიებასთან დაკავშირებით, პროკურორის განმეორებითი უარი სასამართლოს ინსტრუქციების შესრულების მიმართ.

აღნიშნული განმეორებადი ხარვეზები ავლენდა სისტემური პრობლემის არსებობას, ბულგარეთში არაეფექტურ გამოძიებასთან მიმართებით. თუმცა ევროპული სასამართლო, აცნობიერებს რა ამ პრობლემის სირთულეს, არ მიიჩნევს საჭიროდ მიუთითოს, თუ რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ს. ზ-ს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსასრულებლად. სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთის ხელისუფლებამ, მინისტრთა კომიტეტთან თანამშრომლობით, უნდა გადაწყვიტოს თუ რა ზოგადი ღონისძიებები უნდა იქნეს მიღებული – პრაქტიკული თვალსაზრისით – რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი სახის დარღვევები.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთის სახელმწიფოს მომჩივნებისთვის უნდა გადაეხადა 15.000 ევრო მორალური ზიანისა და 2.500 ევრო – განეული ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

3. 3. შვედეთის წინააღმდეგ

W.H. v. Sweden

(განაცხადი №49341/10; 08/04/2015)

ფაქტობრივი გარემოებები

მოცემული საქმე ეხებოდა თავშესაფრის მაძიებელს, რომელსაც ემუქრებოდა შვედეთიდან სირიაში გაძევება, სადაც მისი მტკიცებით იქნებოდა არასათანადო მოპყრობის რისკის ქვეშ, როგორც მარტოხელა ქალბატონი, რომელიც მანდაენას – ეთნიკურ/რელიგიური მონყვლადი უმცირესობის – წარმომადგენელი იყო.

ერაყული წარმოშობის აპლიკანტი – ვ. ჰ. დაიბადა 1978 წელს და ამჟამად ცხოვრობს შვედეთში. იგი ბალდადიდანაა და მანდაენას რჯულის მიმდევარია. აპლიკანტი შვედეთში 2007 წლის აგვისტოს ჩავიდა და თავშესაფარი მოითხოვა. მისი

განაცხადი მიგრაციის საბჭომ და მიგრაციის სასამართლომ განიხილა, რომელმაც უარი თქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მიზეზით, რომ მომჩივანს შვედეთის მხრიდან თავშესაფრის მინიჭება არ სჭირდებოდა. მიგრაციის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების ნება არ დართო. მოგვიანებით, მიგრაციის საბჭომ ორჯერ არ დააკმაყოფილა აპლიკანტის შუამდგომლობა – გადაესინჯა მისი საქმე, უკანასკნელად 2010 წლის 25 აგვისტოს. თუმცა მისი გაძევება შეჩერდა დროებითი ღონისძიების საფუძველზე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის მიხედვით გამოიცა. აღნიშნული დროებითი ღონისძიება შვედეთის ხელისუფლებას უთითებდა, რომ აპლიკანტი არ უნდა გაეძევებინათ ერაყში მანამ, სანამ სასამართლო მის საქმეს განიხილავდა. 2014 წლის 15 ოქტომბერს ვ. ჰ-ს მიენიჭა მუდმივი ბინადრობის ნებართვა შვედეთში.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შეზღუდვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) დაყრდნობით, ვ. ჰ. აცხადებს, რომ განქორწინებულია და ეკუთვნის პატარა, დაუცველ ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობას. აქედან გამომდინარე, ერაყში დაბრუნებით იგი რეალურად დგება არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის რისკის ქვეშ. კერძოდ, იგი აცხადებს, რომ მამაკაცების გარემოცვის ან ერაყში დარჩენილი ნათესავების გარეშე, იგი დადგება დევნის, დამცირების, გაუპატიურების, რელიგიის იძულებით შეცვლის და იძულებითი ქორწინების რისკის წინაშე. 2010 წლის 27 აგვისტოს, მომჩივანმა განაცხადი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

2014 წლის 27 მარტის პალატის გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ ვ. ჰ-ის ერაყში დეპორტაცია არ არღვევდა მე-3 მუხლს იმ პირობით, რომ იგი არ დაბრუნდებოდა ქვეყნის იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობდა ბასრას რეგიონში. სასამართლომ დაასკვნა – მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტი მანდაეანელი დასაოჯახებელი ქალბატონია, ერაყის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში დაბრუნებით, შესაძლებელია, მართლაც, დაექვემდებაროს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სანინალმდეგო მოპყრობას; თუმცა გონივრული იქნება ბასრას რეგიონში გადასვლა, სადაც არც ზოგადი მდგომარეობა და არც მისი პირადი გარემოებები დააყენებს მას არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საშიშროების წინაშე. სასამართლომ აგრეთვე გადაწყვიტა მიეთითებინა შვედეთის მთავრობისთვის, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის (დროებითი ღონისძიებები) მიხედვით, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე ან მომდევნო ბრძანებამდე არ მოეხდინა აპლიკანტის დეპორტაცია ერაყში. 2014 წლის 8 სექტემბერს აპლიკანტის მოთხოვნით, საქმე დიდ პალატას გადაეცა.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს მიენიჭა ბინადრობის ნებართვა მიგრაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე 2014 წლის 15 ოქტომბერს. საბჭომ დაადგინა, რომ ბალდადში არსებული ზოგადი მდგომარეობა უსაფრთხოების კუთხით იმ ფაქტთან ერთად, რომ ქალი აპლიკანტი წარმოადგენს რელიგიურ უმცირესობას და მას არ აქვს სოციალური კონტაქტები ერაყში, გულისხმობს იმას, რომ მომჩივანს სჭირდებოდა შვედეთის სახელმწიფოსგან დაცვის მიღება. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, აპლიკანტმა განაცხადა, რომ მას აღარ სურდა საქმის წარმოება ევროპულ სასამართლოში.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკითხი გადაწყვეტილი იყო ეროვნულ დონეზე. სასამართლოს ასევე არ დაუდგენია რაიმე განსაკუთრებული გარემოებები ადამიანის უფლებების კუთხით, რომელიც ევროპული კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით არის განმარტებული, რაც სასამართლოს მიერ შემდგომ განხილვას მოითხოვდა.

შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნული საქმე ამორიცხა განსახილველთა ნუსხიდან.

ეზსინი თურქეთის წინააღმდეგ

Ebcin v. Turkey

(განაცხადი №19506/05; 01/05/2011)

პალატის გადაწყვეტილებით, საქმეზე ეზსინი თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც არ არის საბოლოო¹³, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა კონვენციის მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა – პროცედურული ასპექტი) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლები.

მოცემული საქმე ეხებოდა ქუჩაში აპლიკანტზე თავდასხმას, რომლის დროსაც მას მუავა შეასხეს სახეში. ამასთან, საკითხი ეხებოდა მთავრობის ვალდებულებას – დაეცვა საკუთარი მოსახლეობა და განეხორციელებინა ეფექტური სამართალწარმოება თავდასხმის ფაქტზე.

ფაქტობრივი გარემოებაები

თურქი ეროვნების აპლიკანტი – ასიე ეზსინი დაიბადა 1967 წელს და ცხოვრობს სტამბოლში. 1994 წელს, ქალბატონ ეზსინს, რომელიც პროფესიით მასწავლებელია, სამსახურისკენ მიმავალ გზაზე, დიარბაკირის რაიონში¹⁴, ქუჩაში თავს დაესხა ორი პიროვნება, რომლებმაც მას მუავა შეასხეს სახეში. მას წელიწადნახევრის განმავლობაში არ შეეძლო მუშაობა, ხოლო სამი წლის განმავლობაში გადიოდა თერაპიულ კურსს. აპლიკანტი კვლავ იტანჯებოდა სერიოზული ფიზიკური ტრამეებით: მარცხენა ქუთუთოს მოძრაობის ნაწილობრივი დაკარგვით, ნესტოების შევიწროვებით, რაც ძილის დროს ცხვირის მიღების გამოყენებას საჭიროებდა, პირის დახურვის უუნარობითა და კისრის ხანგრძლივი შესივებით.

¹³ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

¹⁴ რეგიონში არსებული საგანგებო მდგომარეობა გაგრძელდა 1987 წლის 14 ივლისიდან 2002 წლის 30 ნოემბრამდე.

1997 წელს აპლიკანტმა მოითხოვა კომპენსაცია. ადმინისტრაციულმა სასამართლომ მისი სარჩელი ნაწილობრივ დასაშვებად ცნო, ორჯერ გამოიტანა რა გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ გაუქმდა. მეორედ აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მიზეზი იყო აპლიკანტისთვის მინიჭებული კომპენსაციის არასაკმარისობა. საქმე დაუბრუნდა ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომელიც ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

2000 და 2008 წლებში, „ჭეზბულას“ 2 წევრს ბრალი წაუყენეს სხვადასხვა დანაშაულის გამო, მათ შორის, აპლიკანტზე თავდასხმისთვის. თავდასხმის დროს ერთ-ერთი მათგანი არასრულწლოვანი იყო. ისინი გასამართლდნენ და მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 16 წლითა და რვა თვით, რადგანაც, უკანონო ორგანიზაციის სახელით ტერორისტული აქტებში აქტიურად მონაწილეობით, ძირს უთხრიდნენ ქვეყნის კონსტიტუციურ წესრიგს. საქმის მასალებიდან გამომდინარე ერთ-ერთმა აგრესორმა მასწავლებელზე თავდასხმის ბრძანება მიიღო; მან აპლიკანტი აირჩია საიზნედ, აიყვანა თანამზრახველი და შეიძინა მჟავა საიუველირო მალაზიაში.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიდადგენილება

კონვენციის 1-ლ (ადამიანის უფლებების პატივისცემის ვალდებულება), მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტი ჩიოდა, რომ მთავრობამ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება – მომჩივნის უსაფრთხოების დაცვისა და მოძალადეების დაუყოვნებლივი დასჯის შესახებ. იგი ასევე ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს (გონივრულ ვადაში სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) და ჩიოდა კომპენსაციის გაცემის პროცედურების გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

განაცხადი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, 2005 წლის 29 აპრილს შევიდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 3 და მუხლი 8

პრევენციული ზომები

სასამართლომ გადაწყვიტა აპლიკანტის საჩივარი განეხილა სახელმწიფოს ვალდებულებების ქრილში, კერძოდ, მისი დაცვის უზრუნველყოფის კუთხით და მომჩივნის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ჩადენაში შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მართლმსაჯულების წინაშე დაუყოვნებლივი წარდგენის მეშვეობით, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარე. რადგან კონვენციის მე-8 მუხლი ფარავს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის საკითხებს.

თურქეთის მთავრობამ არ უარყო რეგიონში მასწავლებლებზე განხორციელებული თავდასხმის ის ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც აპლიკანტმა წარადგინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალბატონი ებსინის თავდამსხმელების წინააღმდეგ მიმართულ სამართალწარმოებებში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ჭეზბულა დაადანაშაულა დიდი რაოდენობით სამართალდარღვევაში. ასევე, ალბათობა იმისა, რომ საჯარო მოხელეებს ან სხვა მოქალაქეებს ემუქრებოდნენ, თავს ესხმოდნენ ან კლავდნენ, ვერ იქნებოდა გამორიცხული, რადგან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ტერორიზმით იყო მოცული.

აპლიკანტს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება რაიმე სახის ზენოლის ან მუქარის შესახებ, რომელიც მას შეიძლება დამუქრებოდა. შესაბამისად, დაზუსტებით არ შეიძლება ითქვას, რომ ის სხვებზე მეტად იყო რაიმე სერიოზული, განჭვრეტადი, პირადი საფრთხის წინაშე, რომელიც ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა. სასამართლომ მოგვიანებით აღნიშნა, რომ აპლიკანტი საბედნიეროდ არ იყო საჯარო პირი, რომ ჰეზბულას გამოეყო და შესაბამისად, არ საჭიროებდა სპეციალურ, ინდივიდუალურ დაცვას. ხოლო ზოგადი უსაფრთხოების წესები, იმ დროისთვის რეგიონში არსებული საგანგებო მდგომარეობის გამო, უდავოდ გაძლიერებული იყო. ამგვარად, ხელისუფლებას ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ მიუღია ინდივიდუალური ზომები აპლიკანტის დასაცავად.

გამოძიება

გამოძიება საკმაოდ სწრაფად დაიწყო, რომელიც მიმართული იყო უკანონო ორგანიზაციის სახელით განხორციელებული ტერორისტული აქტების წინააღმდეგ, აპლიკანტზე თავდასხმა სწორედ ამ კონტექსტში იქნა გამოძიებული. თუმცა მისი თავდამსხმელები მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ დააკავეს; სამართალწარმოება ძალადობის წამქეზებლის წინააღმდეგ გაგრძელდა შვიდი წელი, ხოლო სამართალწარმოება დანაშაულის თანამონაწილის მიმართ ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო საკასაციო სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეებს დიდი ხნით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართალწარმოების ასეთი ხანგრძლივი გაჭიანურებები, საქმის სირთულის მიუხედავად, აუცილებლად ამცირებდა მათ ეფექტურობასა და სისხლის სამართლის საქმეს შემაკავებელი ეფექტი უნდა ჰქონოდა, თუ ის მიმართული იყო დანაშაულის ეფექტური პრევენციისკენ.

შესაბამისად, თურქეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო სისხლის სამართალწარმოების ეფექტურად ჩატარება, რომელიც დააკმაყოფილებდა სისწრაფის პირობას.

კომპენსაციის მოთხოვნა

მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტმა საქმე მოიგო და სახელმწიფოს დაეკისრა მკაცრი პასუხისმგებლობა, სამართალწარმოების ხანგრძლივობა ადმინისტრაციულ სასამართლოში იყო ისეთი, რომ მას ვერ დაერქმეოდა მართლმსაჯულების გამარჯვება. საქმე 13 წლის განმავლობაში იხილებოდა ადმინისტრაციულ სასამართლოში და აპლიკანტს კომპენსაცია ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული. ეს მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების იმ მოთხოვნას, რომელიც ასეთ საკითხებში უნდა ყოფილიყო.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა და სისხლის სამართლის სამართალწარმოებამ ვერ უზრუნველყო მძიმე ძალადობრივი აქტისგან აპლიკანტის ადეკვატური დაცვა და დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები.

მუხლი 6 პარაგრაფი 1

კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარე არსებულ დასკვნებზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო საჭირო აპლიკანტის საჩივრის ცალკე განხილვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით.

მუხლი 41**სამართლიანი დაკმაყოფილება**

კონვენციის 41-ე მუხლის (სამართლიანი დაკმაყოფილება) მიხედვით, სასამართლომ თურქეთს დააკისრა აპლიკანტისთვის 30.000 ევროს ანაზღაურება არამატერიალური ზიანის, ხოლო 2.500 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების გამო.

ა. ა. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ**A. A. and Others v. Sweden**

(განაცხადი №14499/09; 20/09/2012)

ეროვნებით იემენელი აპლიკანტები, ქალბატონი ა. ა. და მისი ხუთი შვილი, შვედეთში ცხოვრობდნენ იმ დროს, როცა მათი უკან – იემენში დაბრუნების მიზნით მიმდინარეობდა დეპორტაციის ბრძანების სააღსრულებლო წარმოება. კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) მუხლებზე დაყრდნობით, აპლიკანტები დავობდნენ, რომ იემენში დაბრუნების შემთხვევაში არსებობდა რეალური საფრთხე იმისა, რომ ისინი გახდებოდნენ ღირსების შემლახველი დანაშაულის მსხვერპლნი, რადგან არ დაემორჩილნენ მეუღლეს/მამას და დატოვეს საკუთარი ქვეყანა მათი ნებართვის გარეშე. ისინი შვედეთში 2006 წელს ჩავიდნენ და დაუყოვნებლივ მოითხოვეს თავშესაფარი და ბინადრობის ნებართვა. სამიგრაციო საბჭოს წინაშე ქალბატონი ა. ა. ამტკიცებდა, რომ წლების მანძილზე იგი იტანდა ქმრისგან შეურაცხყოფას, მაგრამ იემენის დატოვების მთავარი მიზეზი იყო მისი არასრულწლოვანი ქალიშვილების დაცვა, რომლებსაც ემუქრებოდნენ ან აიძულებდნენ ქორწინებას. აპლიკანტების განცხადება, საბოლოოდ, 2009 წელს იქნა უარყოფილი შვედეთის სამიგრაციო სასამართლოების მიერ, რადგან მიჩნეულ იქნა, რომ განმცხადებლის საოჯახო პრობლემები ძირითადად ეხებოდა მის პირად სფეროს, რომელიც ქვეყნის ტრადიციებიდან იყო გამომწვეული და უფრო მეტად დაკავშირებული იყო ფინანსურ საკითხებთან, ვიდრე ღირსებასთან.

სასამართლოს გადაწყვეტილება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში არ იყო საკმარისი საფუძველი იმ ვარაუდისთვის, რომ იემენში დაბრუნების შემთხვევაში აპლიკანტები იდგნენ სიცოცხლის მოსპობის ან არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის რეალური საფრთხის წინაშე. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლების წინააღმდეგ დეპორტაციის ბრძანების განხორციელება არ წარმოშობდა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლების (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) დარღვევის ფაქტს.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) მუხლები.

სასამართლომ ასევე გადაწყვიტა, კვლავ მიეთითებინა შვედეთის მთავრობის-

თვის (სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესის მიხედვით): კერძოდ, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სამართალწარმოების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველი იყო საბოლოო გადაწყვეტილებამდე ან შემდგომ ბრძანებამდე არ გაეძევიანათ აპლიკანტები თავიანთ ქვეყანაში.

6. შვედეთის წინააღმდეგ

N. v. Sweden

(განაცხადი №23505/09; 20/10/2010)

ფაქტობრივი გარემოებაები

ავღანური წარმოშობის აპლიკანტი, რომელსაც შვედეთში მამაკაცთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი ქორწინების გარეშე, ამტკიცებდა, რომ მისი ავღანეთში დაბრუნების შემთხვევაში, იგი იდგა სოციალური გარიყულობის, დიდი ხნით თავისუფლების აღკვეთისა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხის წინაშეც კი. მისი განცხადებები თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით უშედეგო იყო.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტის დეპორტაცია შვედეთიდან ავღანეთში არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა). ევროპული სასამართლო აღნიშნავდა, რომ ავღანეთში ქალები იყვნენ არასათანადო მოპყრობის კონკრეტული რისკის ქვეშ, თუ იგი აღქმული იქნებოდა საზოგადოების, ტრადიციებისა და სამართლებრივი სისტემის მიერ დადგენილი გენდერული როლების სანინააღმდეგოდ. ის უბრალო ფაქტი, რომ განმცხადებელი ცხოვრობდა შვედეთში, შესაძლებელია მიჩნეულიყო, როგორც მის მიერ მისაღები ქცევის დარღვევა. იმ გარემოებას, რომ მას უნდოდა ქმართან განქორწინება, შესაძლოა გამოეწვია აპლიკანტის სიცოცხლისთვის საშიში შედეგები. 2009 წლის აპრილის „შიიტური პირადი სტატუსის განმსაზღვრელი აქტი“ ავალდებულებდა ქალებს დამორჩილებოდნენ მათი ქმრების სექსუალურ მოთხოვნებსა და არ დაეტოვებინათ სახლი მათი ნებართვის გარეშე. მოგვიანებით, სასამართლოსთვის წარდგენილმა ანგარიშებმა – ავღანეთში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ – აჩვენა, რომ ავღანელი ქალების დაახლოებით 80% ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო. ასეთი ქმედებები კი ხელისუფლების მიერ ლეგიტიმურად მიიჩნეოდა და შესაბამისად არ ისჯებოდა. მარტოხელა ქალები ან ქალები მამაკაცი „ტუტორის“ გარეშე იდგნენ პირადი და პროფესიული ცხოვრების მუდმივი მკაცრი შეზღუდვების წინაშე და განწირულნი იყვნენ სოციალური გარიყულობისათვის. ასევე ცხადი იყო, რომ მათ ხშირად არ ჰქონდათ საკმარისი საშუალებები არსებობისათვის, თუკი არ იქნებოდნენ მამრობითი სქესის ნათესავის მიერ დაცულნი. აღნიშნული საქმის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე, არსებობდა რეალური საფუძველი იმისა, რომ ავღანეთში დაბრუნებით აპლიკანტი დადგებოდა რეპრესიების სხვადასხვა კუმულატიური რისკების წინაშე – მისი ქმრის, ქმრის ოჯახის, საკუთარი ოჯახისა და ავღანეთის საზოგადოების მხრიდან. ასეთი ქმედებები კი ექცეოდა კონვენციის მე-3 მუხლის ქვეშ. შესაბამისად, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ აპლიკანტი – განქორწინებული ქალბატონის ავღანეთში დეპორტაციით, დაექვემდებარებოდა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოპყრობას.

რ. დ. საფრანგეთის წინააღმდეგ

R. D. v. France

(განაცხადი №34648/14;16/09/2016)

გვინეელი აპლიკანტი, ქალბატონი რ. დ. დაიბადა 1993 წელს და ცხოვრობს ნეუ-ლი-სურ-სეინეში (საფრანგეთი). მოცემული საქმე ეხებოდა მის დეპორტაციას გვინეაში. მომჩივანი დაქორწინებული იყო ქრისტიანზე. მან განიცადა ყველა სახის ძალადობრივი რეპრესია მუსულმანი მამისა და ძმებისგან.

ქალბატონი რ. დ., რომელიც არის კონაკრიდან (გვინეა) აცხადებდა, რომ თავისი ოჯახის წევრები იყვნენ მუსულმანები, ხოლო მამა – იმამი. 2010 წელს განმცხადებელი შეხვდა X-ს, რომელიც ქრისტიანი იყო. ისინი თავიანთ ურთიერთობას მალავდნენ. 2012 წლის მარტში X-მა მას ცოლობა სთხოვა. რ. დ-ის მამამ კატეგორიულად არ დართო ნება თავის ქალიშვილს დაქორწინებულიყო არამუსულმანზე. რ. დ-ს მამა და ძმები, ამ ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაში, მას მოკვლით დაემუქრნენ. ქალბატონი რ. დ. გაიქცა სახლიდან და X-ის სახლს შეაფარა თავი. 2012 წლის ნოემბერში ისინი დაქორწინდნენ, როდესაც აპლიკანტი სამი თვის ორსული იყო. 2012 წლის დეკემბერში მისი ძმები, მამა და ნახევარძმები შეიჭრნენ იმ სახლში, სადაც მომჩივანი ქმართან ერთად ცხოვრობდა. მათ სცემეს აპლიკანტი და იძულებით დააბრუნეს მამის სახლში. პოლიცია, რომელიც მეზობლებმა გამოიძახეს მივიდა სახლში, სადაც იგი ხეზე დაბმული იპოვნეს. სამართალდამცველებმა იგი გაათავისუფლეს და წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც განმცხადებელმა აღმოაჩინა, რომ ნაყოფი დაკარგა. მან საავადმყოფოში ორი თვე გაატარა. ამის შემდეგ, აპლიკანტმა ბიძის სახლს შეაფარა თავი, კონაკრიდან 800 კილომეტრის მოშორებით. ამასობაში, მამამისმა, რომელიც გავლენიანი იმამი იყო, დააკავა მისი ქმარი. მომჩივნის მეუღლის სახლი კი გაანადგურეს. შეშინებული, რომ მას ბიძის სახლში ნახავდნენ, ქალბატონი რ. დ. გვინეადან საფრანგეთში გაიქცა.

2014 წლის თებერვალში, საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ, იგი ცდილობდა დახმარების მიღებას რეიმსში არსებული ორგანიზაციებიდან. კერძოდ, მოეპოვებინა მისამართი ადმინისტრაციული მიზნებისთვის, რათა შეძლებოდა თავშესაფრის მოთხოვნა. თუმცა იგი თანამემამულეებმა შეამჩნიეს და იმის შიშით, რომ მამამისი იპოვნიდა მას საფრანგეთში, აპლიკანტმა გაქცევა სცადა, რის შემდეგაც დააკავეს პარიზის ჩრდილოეთ სადგურში. 2014 წლის 28 აპრილს ხელისუფლებამ მისი გვინეაში გაქცევისა და ადმინისტრაციული დაკავების ბრძანება გამოსცა. განმცხადებელმა უშედეგოდ სცადა აღნიშნული აქტის გადასინჯვა პარიზის ადმინისტრაციულ სასამართლოში. 2014 წლის 30 აპრილს მან თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განაცხადი შეიტანა, რომელიც დაჩქარებული წესით იქნა განხილული და არ დაკმაყოფილდა. ქალბატონი რ. დ-ის სააპელაციო საჩივარი კვლავ განხილვის პროცესშია. 2014 წლის 13 მაისს, სასამართლომ გადაწყვიტა მთავრობისთვის მიეთითებინა სასამართლოს რეგლამენტის 39 წესის (დროებითი ზომები) შესაბამისად, სამართალწარმოების დამთავრებამდე ქალბატონი რ. დ-ის გვინეაში დეპორტაცია არ მოეხდინა.

ქალბატონი რ. დ. ამტკიცებდა, რომ მისი იძულებითი დეპორტაცია გვინეაში ზრდიდა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) საწინააღმდეგო მოპყრობის რისკს. ევროპული კონვენციის მე-13 (ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლება) და მე-3 მუხლებზე ერთობ-

ლივად დაყრდნობით აპლიკანტი ჩიოდა, რომ თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადების დაჩქარებულ რეჟიმში განხილვის გამო, მას არ ჰქონდა შესაბამისი ეფექტური სამართლებრივი დაცვა საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, რასაც ამტკიცებდა მე-3 მუხლთან მიმართებით.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ქალბატონი რ. დ-ს გვინეაში დეპორტაციით დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

ამასთან, არ დარღვეულა კონვენციის მე-13 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

დროებითი ზომები (სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესი) – არ დაებრუნებიან ქალბატონი რ. დ. – ძალაშია მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული ან მომდევნო ბრძანებამდე.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

განმცხადებელს არ წარუდგენია მოთხოვნა სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ

Rantsev v. Cyprus and Russia

(განაცხადი №25965/04; 10/05/2010)

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა (სიცოცხლის უფლება) კვიპროსის მხრიდან ეფექტური გამოძიების ჩაუტარებლობისთვის; ხოლო რუსეთის მხრიდან აღნიშნული მუხლი არ დარღვეულა

მე-4 მუხლის დარღვევა (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა) კვიპროსისა და ასევე რუსეთის მხრიდან;

მე-5 მუხლის დარღვევა (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) კვიპროსის მხრიდან

ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები

რუსი ეროვნების აპლიკანტი – ბატონი ნიკოლაი რანცევი დაიბადა 1938 წელს და ცხოვრობდა სვეტლოგორსკში (რუსეთი); იგი იყო ოქსანა რანცევას – იმ რუსი წარმოშობის ქალბატონის მამა, რომელიც დაიბადა 1980 წელს და გარდაიცვალა კვიპროსში, უცნაურ და გაურკვეველ გარემოებებში, გადმოვარდა რა კერძო სახლის ფანჯრიდან 2001 წლის მარტში.

2001 წლის 5 მარტს ქალბატონი რანცევა კვიპროსში „სამსახიობო“ ვიზით ჩავიდა. 2001 წლის 16 მარტს მან მუშაობა დაიწყო კაბარეს მსახიობად კვიპროსში. სამი დღის შემდეგ ქალბატონმა რანცევამ მიატოვა სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი და დატოვა ბარათი, რომ ბრუნდებოდა რუსეთში. ათი დღის შემდეგ, 2001 წლის 28 მარტს, დაახლოებით დილის 4 საათზე, იმ კაბარეს მენეჯერმა, სადაც იგი მუშაობდა აღმოაჩინა ქალბატონი რანცევა ლიმასოლის საცეკვაო დარბაზში. მენეჯერ-

მა ქალბატონი რანცევა წაიყვანა პოლიციაში, მოითხოვა მისი არალეგალ ემიგრანტად გამოცხადება და დაკავება იმ მოტივით, რომ ქალბატონი რანცევას განდევნით შეძლებოდა მისი ჩანაცვლება კაბარეში სხვა პირით. მათი მონაცემთა ბაზის შემოწმების შემდეგ, პოლიციამ დაასკვნა, რომ ქალბატონი რანცევა არ იყო არალეგალი და უარი განაცხადა მის დაკავებაზე. მათ სთხოვეს კაბარეს მენეჯერს ქალბატონი რანცევას წაყვანა პოლიციის განყოფილებიდან და დილით დაბრუნება მასთან ერთად, რათა განეხორციელებინათ შემდგომი მოკვლევები მის საემიგრაციო სტატუსთან დაკავშირებით. კაბარეს მენეჯერმა ქალბატონი რანცევა დაახლოებით დილის 5.20 საათისთვის წაიყვანა.

კაბარეს მენეჯერმა ქალბატონი რანცევა სხვა თანამშრომლის საცხოვრებელი კორპუსის მეექვსე სართულის ბინაში მიიყვანა, სადაც თვითონაც დარჩა. 2001 წლის 28 მარტს, დაახლოებით დილის 6 საათსა და 30 წუთზე ქალბატონი რანცევა აღნიშნულ საცხოვრებელ სახლთან ახლოს, ქუჩაში გარდაცვლილი იპოვეს. ლოგინის გადასაფარებელი კი აივნის მოაჯირზე იყო შემოხვეული.

ქალბატონი რანცევას სიკვდილის შემდეგ დაიკითხნენ მის ბინაში მყოფნი. ასევე დაიკითხა ის მეზობელი, რომელმაც ქალბატონი რანცევას გვამი დაინახა ქუჩაში. დაკითხულნი იქნენ ასევე ლიმასოლის რაიონული პოლიციის განყოფილების ის თანამშრომლები, რომლებიც მორიგეობდნენ იმ დროს, როდესაც კაბარეს მენეჯერმა ქალბატონი რანცევა საცეკვაო დარბაზიდან მიიყვანა აღნიშნულ განყოფილებაში. გვამის გაკვეთამ დაადასტურა, რომ ქალბატონი რანცევას დაზიანებები ეფუძნებოდა მისი სიმალიდან გადმოვარდნასა და დაცემას, რამაც საბოლოოდ სიკვდილი გამოიწვია. მოგვიანებით, აპლიკანტი ესტუმრა ლიმასოლის რაიონული პოლიციის განყოფილებას და მოითხოვა საგამოძიებო პროცესში მონაწილეობა. საგამოძიებო სასამართლო სხდომა, საბოლოოდ, აპლიკანტის დაუსწრებლად 2001 წლის 27 დეკემბერს ჩატარდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ქალბატონი რანცევას უცნაურ გარემოებებში დაღუპვა იმ შემთხვევას ჰგავდა, როცა სტუმარი ცდილობდა ბინიდან გაქცევას, მაგრამ არ არსებობდა მტკიცებულებები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასადგენად.

ქალბატონი რანცევას მამის მოთხოვნის შემდეგ, გვამი კვიპროსიდან რუსეთში რეპატრაციას დაექვემდებარა. რუსეთის სასამართლო სამედიცინო ექსპერტებმა ხელახლა გაკვეთეს გვამი. რუსეთის სახელისუფლებო ორგანოების დასკვნები იმასთან დაკავშირებით, რომ ქალბატონი რანცევა გარდაიცვალა უცნაურ და დაუდგენელ გარემოებებში, მოითხოვდა დამატებით გამოძიებას, გადაეგზავნა კვიპროსის მთავრობას სამართლებრივი ურთიერთდახმარების თხოვნის ფორმით იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც რუსეთი და კვიპროსი წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. რუსეთი, სხვა საკითხებთან ერთად, ითხოვდა შემდგომი გამოძიების ჩატარებას, რათა ქალბატონი რანცევას გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართალწარმოების განხორციელება აუცილებელი ყოფილიყო და ასევე, განმცხადებელს საშუალება ჰქონოდა, რომ სამართალწარმოებაში ჩაბმულიყო.

2006 წლის ოქტომბერში კვიპროსმა დაუდასტურა რუსეთის პროკურატურის სამსახურს, რომ ქალბატონი რანცევას სიკვდილთან დაკავშირებით მოკვლევა დასრულდა 2001 წლის 27 დეკემბერს და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი საბოლოო იყო. აპლიკანტმა განაგრძო ეფექტური გამოძიების მოთხოვნა ქალიშვილის სიკვდილთან დაკავშირებით.

კვიპროსის სახალხო დამცველმა, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომი-

სარმა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ანგარიშები, რომელიც შეეხებოდა კვიპროსში გავრცელებულ დანაშაულს – ადამიანით ვაჭრობას (კომერციული მიზნებით ადამიანის სექსუალური ექსპლუატაცია) და კაბარეების ინდუსტრიის როლს და “სამსახიობო” ვიზებს ტრეფიკინგის ხელშეწყობასთან დაკავშირებით კვიპროსში.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლო შედეგები

კონვენციის მე-2, მე-3 (წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა); მე-4, მე-5 და მე-8 მუხლებზე (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაყრდნობით, ბატონი რანცევი ჩიოდა თავისი ქალიშვილის გარდაცვალების გარემოებების გამოძიებასთან დაკავშირებით, ასევე, კვიპროსის პოლიციის მიერ შესაბამისი ზომების მიუღებლობასთან მიმართებით, კვიპროსის ხელისუფლების უმოქმედობის თაობაზე დაესაჯათ მომჩივნის ქალიშვილის არასათანადო მოპყრობასა და გარდაცვალებაში პასუხისმგებელი პირები. ის ასევე ჩიოდა კონვენციის მე-2 და მე-4 მუხლებიდან გამომდინარე, რომ რუსეთის სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ გამოიძიეს მისი ქალიშვილის ტრეფიკინგის მსხვერპლად ყოფნის შესაძლებლობა და თანმდევი გარდაცვალების ფაქტი, რათა მიეღოთ ზომები ქალბატონი რანცევას ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის რისკისგან დასაცავად. ბოლოს, აპლიკანტი დავობდა კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, მოკვლევის პროცედურებთან და სასამართლო ხელმისაწვდომობის არარსებობასთან დაკავშირებით კვიპროსში.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2004 წლის 26 მაისს.

სასამართლო გადაწყვეტილება

კვიპროსის ცალმხრივი დეკლარაცია

კვიპროსის ხელისუფლებამ წარმოადგინა ცალმხრივი დეკლარაცია, სადაც აღიარა, რომ დაარღვია კონვენციის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები. შესაბამისად, აპლიკანტს შესთავაზა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. ამასთან, მთავრობამ აპლიკანტს აცნობა, რომ 2009 წლის 5 თებერვალს დანიშნეს სამი დამოუკიდებელი ექსპერტი, რათა გამოეძიებინათ ქალბატონი რანცევას გარდაცვალების, სამუშაოსა და კვიპროსში დარჩენის პირობები, ასევე, შესაძლო უკანონო ქმედება მის წინააღმდეგ.

სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ისევე როგორც, მის წინაშე არსებული საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოს გადაწყვეტილებები ემსახურებოდა კონვენციის მუხლთა განმარტებას, დაცვასა და განვითარებას. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, სასამართლოს მწირი პრეცედენტული სამართალი კონვენციის მე-4 მუხლის ინტერპრეტაციასა და გამოყენებაზე ადამიანით ვაჭრობის საკითხებთან მიმართებით. სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და ამ საქმეში ტრეფიკინგის ბრალდებების მნიშვნელობის ფონზე, ადამიანის უფლებების დაცვის ზოგადი პატივისცემა წინამდებარე საქმის განხილვის გაგრძელებას მოითხოვდა, მიუხედავად კვიპროსის მთავრობის მიერ გაცხადებული ცალმხრივი დეკლარაციისა.

დასაშვებობა

სასამართლომ არ მიიღო რუსეთის მთავრობის წარდგინება იმასთან დაკავშირ-

ბით, რომ მათი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა და შესაბამისად, არ ჰქონდათ პასუხისმგებლობა განაცხადში აღნიშნული მოვლენების მიმართ. როგორც სასამართლომ დაადგინა, ტრეფიკინგის დანაშაული (თუ იგი მოხდა საერთოდ) დაინყო რუსეთში და მომჩივნის განაცხადი ეფუძნებოდა იმას, რომ რუსეთმა ვერ უზრუნველყო მის ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულების სათანადო გამოძიება. სასამართლომ აპლიკანტის საჩივრები დასაშვებად გამოაცხადა კონვენციის მე-2, მე-3 მე-4 და მე-5 მუხლების საფუძველზე.

სიცოცხლის უფლება

რაც შეეხება კვიპროსს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოვლენათა ჯაჭვი, რომელიც ქალბატონი რანცევას სიკვდილით სრულდებოდა, ვერ იქნებოდა განჭვრეტადი კვიპროსის ხელისუფლების მიერ. შესაბამისად, ამ გარემოებებში, მათ არ ჰქონდათ ვალდებულება მიეღოთ პრაქტიკული ზომები, რათა აეცილებინათ მისი სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენება.

თუმცა კვიპროსის მთავრობის მიერ ჩატარებულ გამოძიებაში იყო შემდეგი ხარვეზები: არსებობდა ურთიერთსანინააღმდეგო ჩვენებები; არ გადადგმულა შესაბამისი ნაბიჯები ქალბატონი რანცევას გარდაცვალების უცნაური გარემოებების გამოსარკვევად მას შემდეგ, რაც სასამართლომ გამოიტანა გადანწყვეტილება საგამოძიებო სამართალწარმოების დროს; განმცხადებელი არ იყო გაფრთხილებული გამოძიების ჩატარების თარიღთან დაკავშირებით, შედეგად კი არ ესწრებოდა განჩინის გამოცხადების სხდომას; მიუხედავად იმისა, რომ საქმეში აღნიშნული ფაქტები 2001 წელს მოხდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ცხადი განმარტება, თუ რა იყო რეალურად. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი კვიპროსის მთავრობის მიერ, რომელმაც ეფექტურად არ გამოიძია ქალბატონი რანცევას გარდაცვალების ფაქტი.

რაც შეეხება რუსეთს, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი, რადგან რუსეთის ხელისუფლება არ იყო ვალდებული გამოეძიებინა ქალბატონი რანცევას სიკვდილი, რომელიც მათი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მოხდა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის მთავრობამ რამდენიმეჯერ სთხოვა კვიპროსის მთავრობას განეხორციელებინათ დამატებითი გამოძიება და ამ მიზნით თანამშრომლობდნენ კვიპროსის ხელისუფლებასთან.

არასათანადო მოპყრობის აკრძალვა

სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი არასათანადო მოპყრობა, რომელიც ქალბატონი რანცევას მიმართ სიკვდილამდე სავარაუდოდ განხორციელდა, არსებითად დაკავშირებული იყო მის სავარაუდო ტრეფიკინგთან და ექსპლუატაციასთან და შესაბამისად, სასამართლო საჩივარს კონვენციის მე-4 მუხლთან მიმართებით განიხილავდა.

ტრეფიკინგისგან დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობა

ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ინტერაითსმა (Interights) და ეარ ცენტრმა (the AIRE Centre), სასამართლოს წინაშე გააკეთა წარდგინება, რომ მონობის თანამედროვე განმარტება მოიცავდა ისეთ სიტუაციებს, როგორც მოცემული იყო წინამდებარე საქმეში, როცა მოძალადეს და იძულების განმახორციელებელ პირს – დამნაშავეს სრული კონტროლი ჰქონდა მსხვერპლზე.

სასამართლოს მოსაზრებით, როგორც მონობა, ასევე ადამიანით ვაჭრობა, თავისი ბუნებით და ექსპლუატაციის მიზნიდან გამომდინარე, დაფუძნებული იყო ძალაუფლების განხორციელებაზე, რომელიც ებმოდა საკუთრების უფლებას; ადამიანი განიხილებოდა როგორც საქონელი, რომელიც შეიძლებოდა შექენილიყო ან გაყიდულიყო და რომლის ჩაბმა ხდებოდა იძულებით შრომაში; ეს ქმედება გულისხმობდა მსხვერპლის შეზღუდულ მოძრაობას და მისი საქმიანობის ყურადღებით მეთვალყურეობას; ამასთან, ასეთი დანაშაული მოიცავდა ძალადობისა და მუქარის ფაქტებს მსხვერპლის წინააღმდეგ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ტრეფიკინგი თავისთავად აკრძალული იყო კონვენციის მე-4 მუხლით. სასამართლომ დაასკვნა, რომ კვიპროსის მხრიდან დაირღვა ზემოთ აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები შემდეგ 2 ასპექტში: პირველი, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს დადგენა ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც გამონვეული იყო სამსახიობო ვიზების არსებული რეჟიმით და მეორე, პოლიციამ ვერ უზრუნველყო ოპერატიული ზომების მიღება, რათა დაეცვა ქალბატონი რანცევა ტრეფიკინგისგან, მიუხედავად იმ გარემოებებისა, რომლებმაც გაზარდა გონივრული ეჭვი, რომ იგი შესაძლებელია ტრეფიკინგის მსხვერპლი უკვე ყოფილიყო.

კვიპროსის პოლიციის არაადეკვატური გამოძიების შესახებ დასკვნების ფონზე მე-2 მუხლთან მიმართებით, სასამართლომ არ მიიჩნია საჭიროდ ცალკე განეხილა პოლიციის ეფექტურობა კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე.

რუსეთის მიერ ზემოთ აღნიშნული მუხლის დარღვევა გამოიხატებოდა იმაში, რომ სახელმწიფომ ვერ გამოიძია, თუ როგორ და სად იქნა ქალბატონი რანცევა სამუშაოზე აყვანილი. კერძოდ, რათა სახელმწიფოს დაედგინა ქალბატონი რანცევას დამსაქმებლების ან დასაქმების მეთოდებში ჩაბმული პირების ვინაობა.

თავისუფლების აღკვეთა

სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის განყოფილებაში ქალბატონი რანცევას დაკავება დაახლოებით 1 საათის განმავლობაში და შემდეგ მისი კერძო ბინაში მოთავსება, ასევე, დაახლოებით 1 საათით, კვიპროსის სახელმწიფოს აკისრებდა პასუხისმგებლობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ ქალბატონი რანცევას დაკავება, მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ იგი არალეგალი არ იყო, არ გამომდინარეობდა ეროვნული კანონმდებლობიდან. სასამართლომ დაასკვნა, რომ ქალბატონი რანცევას შემდგომი დაკავება ბინაში იყო როგორც თვითნებური, ასევე უკანონო. შესაბამისად, კვიპროსის მიერ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სხვა საჩივრები.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

კონვენციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ კვიპროსმა განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 40.000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 3,150 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯებისთვის; ხოლო რუსეთმა აპლიკანტს უნდა გადაუხადოს 2.000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

ი. გ. მოლდოვის წინააღმდეგ

I. G. v. Moldova

(განაცხადი №53519/07; 15/08/2012)

ფაქტობრივი გარემოებაები

მოლდოველი აპლიკანტი – ი. გ. დაიბადა 1989 წელს და ცხოვრობს ბილიჩენი ვეკში (მოლდოვის რესპუბლიკა). მომჩივანი ამტკიცებდა, რომ 2004 წელს, 14 წლის ასაკში, იგი ნაცნობმა (23 წლის მამაკაცი, რომელიც განმცხადებლის ბებულის მეზობლად ცხოვრობდა და ხშირად ხვდებოდა მას, როცა აპლიკანტი ბებუას სტუმრობდა) გააუპატიურა. ი. გ. ჩიოდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ეფექტურად არ გამოიძიეს მისი ბრალდებები და აპლიკანტის მხრიდან წინააღმდეგობის განვივის დამადასტურებელი მტკიცებულებები დისკრიმინაციული იყო მის მიმართ. კერძოდ, იგი ეყრდნობოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (არაადამიანური ან ღირსების შემლახელი მოპყრობის აკრძალვა), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) და მე-14 მუხლებს (დისკრიმინაციის აკრძალვა).

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში ჩატარებული გამოძიება არ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომელიც გამომდინარეობდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებიდან – ეფექტურად გამოეძია და დაესაჯა გაუპატიურების ყველა ფორმასა და სექსუალურ ძალადობაში მონაწილე პირები, კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა).

შესაბამისად, მოლდოვის რესპუბლიკის მხრიდან დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება – ეფექტურად გამოეძიებინა მომხდარი დანაშაული.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ მომჩივანს მიანიჭა 10.000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და 2.000 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებისთვის.

მასლოვა და ნალბანდოვი რუსეთის წინააღმდეგ

Maslova And Nalbandov v. Russia

(განაცხადი №839/02; 07/07/2008)

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ პალატის წერილობითი გადაწყვეტილებით,¹⁵ საქმეზე მასლოვა და ნალბანდოვი რუსეთის წინააღმდეგ, ერთხმად დაადგინა, რომ:

- დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა), ოღვა მასლოვას მიმართ არასათანადო მოპყრობასა და განმეორებითი ხასიათის გაუპატიურებასთან დაკავშირებით პოლიციელისა და პროკურატურის თანამშრომლების მიერ;
- დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) ფიოდორ ნალბანდოვის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით პროკურატურის თანამშრომლების მიერ;
- დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაეფექტური გამოძიება) თითოეული განმცხადებლის მიმართ არაეფექტური გამოძიების გამო;
- დაირღვა 38-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტი (საქმის განხილვისთვის ყველა საჭირო საშუალების წარდგენის ვალდებულება).

კონვენციის 41-ე მუხლთან მიმართებით (სამართლიანი დაკმაყოფილება) სასამართლომ, ქალბატონი მასლოვასთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფოს დააკისრა 70.000 ევროს გადახდა მის სასარგებლოდ და 10.000 ევრო – ბატონი ნალბანდოვის სასარგებლოდ, შესაბამისად, მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

ფაქტობრივი გარემოებაები

რუსი აპლიკანტები, ოღვა მასლოვა და ფიოდორ ნალბანდოვი, დაიბადნენ 1980 და 1982 წლებში. ისინი ცხოვრობდნენ ნიჟნი-ნოვგოროდში (რუსეთი).

მოცემული საქმის მიხედვით, ქალბატონი მასლოვა ამტკიცებდა, რომ იგი არაერთხელ იქნა გაუპატიურებული და არასათანადოდ მოპყრობილი პოლიციის ოფიცრისა და პროკურატურის თანამშრომლების მიერ, მის ბრალდებებზე გამოძიება კი არაადეკვატური იყო.

ქალბატონი მასლოვა, რომელიც წარმოადგენდა მონმეს მკვლელობის საქმეში, 1999 წლის 25 ნოემბერს დაბარებულ იქნა ნიჟნი-ნოვგოროდის რაიონული პოლიციის დე-

¹⁵ კონვენციის 43-ე მუხლის მიხედვით, პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე წებისმიერ მხარეს შეუძლია, გამოაკლის შემთხვევაში მოითხოვოს საქმის 17 წევრისგან შემდგარი სასამართლოს დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. კერძოდ, თუ საქმე წამოჭრის კონვენციის, ან მისი ოქმების განმარტების, ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან – საერთო მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს. ამ შემთხვევაში, დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ ასეთი საკითხი არ წამოიჭრება, პალატა გადაცემის შესახებ თხოვნას უარყოფს და მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, სხვა შემთხვევაში, პალატის გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება სამი თვის ვადის გასვლის შემთხვევაში ან უფრო ადრე, თუ მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის დიდი პალატისთვის გადაცემას.

პარტამენტში დასაკითხად. მისი განცხადებით, იგი პოლიციაში გამოცხადდა 12 საათსა და 30 წუთზე. თავდაპირველად ქალბატონი მასლოვა დაკითხეს პოლიციელებმა – ხ-მ და კ-მ, მკვლელობის მსხვერპლის ნივთების სავარაუდო ფლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ დანაშაულში რაიმე სახის ჩართულობის უარყოფის შემდეგ, ოფიცრები დაემუქრნენ მას და სცემეს იგი თავისივე საფეხბურთო ყელსახვევით. მოგვიანებით, ხ-მ, კ-ს არყოფნის პერიოდში, ქალბატონ მასლოვას დაადო ხელბორკილი, სცემა, გააუპატიურა და აიძულა დაკავებულიყო მასთან ორალური სექსით. ამის შემდეგ, ორივე ოფიცერმა არაერთხელ დაარტყეს მას მუცელში, სახეზე გაუკეთეს აირწინალი გაგუდვის მიზნით, ხოლო აპლიკანტის საყურეებზე დამაგრებულ სადენებში გაატარეს ელექტროდენი. საბოლოოდ, ქალბატონი მასლოვა დანებდა და აღიარა დანაშაული. მისი განცხადებით, იმდენად კანკალებდა, რომ აღიარებითი ჩვენების დანერა ორჯერ მოუხდა. მოგვიანებით, იგი გადასცეს პოლიციის განყოფილებაში არსებულ პროკურატურის ორგანოებს, შემდგომი დაკითხვისთვის. ქალბატონი მასლოვას მოთხოვნა – გათავისუფლების თაობაზე – უარყოფილი იქნა. ხოლო, როდესაც მომჩივანს საპირფარეოში გასვლის ნება დართეს, მან ვენების გადაჭრა სცადა. დაკითხვის დასრულების მიუხედავად, პროკურატურის თანამშრომლებმა – ჟ-მ, ს-მ, და მ-მ, მიიღეს ალკოჰოლი და გააგრძელეს ქალბატონი მასლოვას გაუპატიურება. მათ გამოიყენეს პრეზერვატივები და ბოლოს კი ერთჯერადი ტილოებით მოასუფთავეს შემთხვევის ადგილი. ქალბატონი მასლოვა საბოლოოდ 10.00 საათზე გაათავისუფლეს.

ამასობაში, შუადღისას, ქალბატონი მასლოვას დედა და ბატონი ნალბანდოვი მივიდნენ პოლიციის განყოფილებაში, სადაც ორივე მათგანი დააკავეს დაკითხვის მიზნით. ბატონი ნალბანდოვი ამტკიცებდა, რომ პროკურატურის თანამშრომლები ურტყამდნენ, სცემდნენ და ცდილობდნენ მის დახრჩობას მოსკოვის საფეხბურთო გუნდი CSK-ს ყელსახვევით. მოგვიანებით, იგი გააგზავნეს საჭმლის, ალკოჰოლური სასმლისა და სიგარეტის საყიდლად. დაბრუნებისას, ბატონი ნალბანდოვი გააძევეს შენობიდან.

1999 წლის 26 ნოემბერს, ქალბატონმა მასლოვამ პროკურატურაში შეიტანა საჩივარი და ამტკიცებდა, რომ იგი გააუპატიურეს და აწამეს. საქმეზე გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო. მოწმეები დაიკითხნენ. პოლიციის განყოფილებაში ჩატარდა ჩხრეკა და შეგროვებული მტკიცებულებები გადაეცა სასამართლო ექსპერტიზას. პოლიციის განყოფილებაში ნაპოვნი გამოყენებული პრეზერვატივით დადასტურდა მასზე ქალბატონი მასლოვას ვაგინალური უჯრედების არსებობის 99.99 %-იანი ალბათობა. ნაპოვნ ერთჯერად ტილოებზე კი აღმოჩნდა სპერმის კვალი. სპერმის ნაკვალევი აღმოჩნდა ასევე ქალბატონი მასლოვას ტანსაცმელზე, რომელიც მას იმ დროისთვის ეცვა, ხოლო პოლიციის ოფიცერ ხ-ს ტანსაცმელზე აღმოჩნდა ქალბატონ მასლოვას შესაბამისი ანტიგენის ჯგუფის ვაგინალური ქსოვილი. სხვა მტკიცებულებაზე, მათ შორის, სამედიცინო ცნობაზე დაყრდნობით, ქალბატონმა მასლოვამ სცადა ვენის გადაჭრა, ხოლო მისი აღიარებითი წერილობითი ჩვენება, ექსპერტის დასკვნის მიხედვით, ხელის კანკალით იყო დანერილი.

2000 წლის 25 აპრილს, ოთხ ბრალდებულ ოფიცერს ოფიციალურად წაუყენეს ბრალი, ხოლო 2000 წლის 5 ივლისს საქმე გადაეცა სასამართლოს განსახილველად. 2000 წლის 16 აგვისტოს სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდებულის გარკვეული უფლებები დაირღვა. კერძოდ, აღნიშნულ გარემოებებს არ მოჰყვა სპეციალური პროცედურა, რომელიც პროკურატურის თანამშრომლების წინააღმდეგ სამართალწარმოებების დაწყებას მოითხოვდა. შიდა პროცედურული წესების დარღვევა იმას ნიშნავდა, რომ ყველა მანამდე შეკრებილი მტკიცებულება დაუშვებ-

ლად იყო მიჩნეული საქმეში.

საქმე დაუბრუნდა ხელახალ გამოძიებას, მაგრამ მოგვიანებით შეწყდა დანაშაულებრივ ფაქტზე მტკიცებულებების ნაკლებობის გამო.

პროცედურა და სასამართლო შედეგები

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2001 წლის 10 ივლისს და გამოცხადდა ნაწილობრივ დასაშვებად 2006 წლის 12 დეკემბერს.

საჩივრები

კონვენციის მე-3 მუხლზე (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფსა (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) და მე-13 მუხლზე (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) დაყრდნობით, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ 1999 წლის 25 ნოემბერს პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები არასათანადოდ მოექცნენ მათ, ხოლო მათ ბრალდებებზე არ დაწყებულა შესაბამისი ეფექტური გამოძიება.

სასამართლო გადაწყვეტილება

მუხლი 3

არასათანადო მოპყრობა

ოლგა მასლოვა

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალბატონი მასლოვას მიერ აღწერილი მოვლენების ვერსიის სასარგებლოდ არსებობდა უტყუარი და ცალსახა მტკიცებულებები. მართლაც, ხელისუფლების ორგანოების მიერ ბრალდებების წაყენებით, საქმის სასამართლოში წარდგენილი და შემდეგ სამართალწარმოებების არაერთხელ შეწყვეტითა და განახლებით მტკიცდებოდა მომჩივნის ბრალდებების სანდოობა. აღნიშნული მტკიცებულებები მხოლოდ პროცედურული ხარვეზების გამო არ იქნა დასაშვებად მიჩნეული. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე დამაკმაყოფილებელი ან დამაჯერებელი ახსნა-განმარტება ქალბატონი მასლოვას მოთხოვნების სანადალმდეგოდ, არც თავის შიდა გადაწყვეტილებებში და არც ევროპული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გაიზიარა ქალბატონი მასლოვას მოთხოვნები 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით.

სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ დაკავებული პირის გაუპატიურება მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც განსაკუთრებით მძიმე და შემზარავი ფორმა არასათანადო მოპყრობისა. ამასთან, გასათვალისწინებელია დამნაშავის მიერ ექსპლუატაციის მარტივად განხორციელება მსხვერპლის დაუცველობისა და სუსტი წინააღმდეგობის გამო.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ფიზიკური ძალადობა, განსაკუთრებით განმეორებითი ხასიათის გაუპატიურების სასტიკი ქმედებები, რომელსაც ქალბატონი მასლოვა დაექვემდებარა, ეთანადებოდა წამებას და არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს.

ფიოდორ ნალბანდოვი

სასამართლომ მიიჩნია, რომ მთელი შიდა სამართალწარმოებების დროს, ბატონ

ნალბანდოვს წარმოდგენილი ჰქონდა 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენები თანმიმდევრულად და დამაჯერებლად, რომელიც მოგვიანებით დადასტურებული იყო საქმეზე არსებული გამოძიების მასალებში აღმოჩენილი მტკიცებულებებით.

გარდა ამისა, სასამართლომ გამოიტანა დასკვნები იმ ფაქტიდან, რომ მისი მთავრობისადმი 2006 წლის 12 დეკემბრის მოთხოვნა, წარედგინათ მთლიანი გამოძიების მასალები, რომელიც ფაქტების დასადგენად გადამწყვეტად განიხილებოდა, არ იქნა შესრულებული. მთავრობამ, მხოლოდ საპროცესო გადანწყვეტილებების ასლები წარმოადგინა და უარი თქვა სხვა რაიმე დოკუმენტის წარდგენაზე.

შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა ბატონი ნალბანდოვის მიერ აღწერილი მოვლენების ვერსია და დაასკვნა, რომ მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ხანგრძლივობა და მისგან გამონვეული ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები, მთლიანობაში, წარმოადგენდა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, რითაც ირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

არასათანადო გამოძიება

სასამართლოს თვალსაზრისით, როგორც აღმოჩნდა ხელისუფლებამ სათანადოდ და დაუყოვნებლივ იმოქმედა, რადგან ქალბატონი მასლოვას მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაში პასუხისმგებელი პირების იდენტიფიკაცია და დასჯა მოეხდინა. თუმცა პროცედურულმა დარღვევებმა ჩიხში შეიყვანა სისხლის სამართლის სამართალწარმოება. იმის გამო, რომ არ არსებობდა ამ დარღვევების დამაჯერებელი რაიმე ახსნა-განმარტება, სასამართლომ უდავოდ მიიჩნია პროკურატურის თანამშრომლების ცხადი არაკომპეტენტურობა 1999 წლის 26 ნოემბრიდან 2000 წლის 5 ივლისამდე ჩატარებული გამოძიების გამო. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან არ ჩატარებულა ეფექტური გამოძიება ქალბატონი მასლოვას ბრალდებებზე არასათანადო მოპყრობის შესახებ.

სასამართლომ დაასკვნა, რომ ბატონი ნალბანდოვის ბრალდებები, რომ მის საქმეზე არ ჩატარდა ეფექტური გამოძიება, სიმართლეს შეესაბამებოდა და შესაბამისად, დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

მუხლი 6 და მუხლი 13

კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე დასკვნებით, რომელიც არაეფექტურ გამოძიებას უკავშირდებოდა, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების თანახმად, ცალკეული საკითხები განსახილველად არ წარმოიშობოდა, რადგან ორივე დაკავშირებული იყო ქალბატონ მასლოვასთან და ბატონ ნალბანდოვთან.

მუხლი 38 პარაგრაფი 1 ქვეპუნქტი „ა“

კონვენციური სამართალწარმოებისას, მთავრობის თანამშრომლობის მნიშვნელობის გათვალისწინებით და იმ სირთულეების მხედველობაში მიღებით, რომელიც წარმოდგენილ საქმეებზე ფაქტების დადგენას გულისხმობს, სასამართლომ დაასკვნა, რომ 1999 წლის 25 ნოემბრის მოვლენებზე მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოუდგენლობით, რუსეთის მთავრობამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რომელსაც ითვალისწინებდა კონვენციის 38-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტი.

ოჯახში ძალადობა

ბრანკო ტომაზიჩი და სხვები სოკრვატიის წინააღმდეგ

Branko Tomasic and Others v. Croatia

(განაცხადი №46598/06; 15/01/2009)

ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტები არიან ბრანკო ტომაზიჩი, მისი მეუღლე – დურდა ტომაზიჩი და მათი შვილები – მარკო ტომაზიჩი, ტომისლავ ტომაზიჩი და ანა ტომაზიჩი. ეროვნებით ხორვატი მომჩივნები დაბადებულნი არიან – 1956, 1963, 1985, 1995 და 2001 წლებში და ცხოვრობდნენ ჩაკოვეცში (ხორვატიაში). აპლიკანტები იყვნენ დაღუპული მ. ტ-ისა და მისი ბავშვის – ვ. ტ-ს (დაბადებული 2005 წლის მარტში) ნათესავები. 2006 წლის აგვისტოში დედა-შვილი მოკლულ იქნა მათი მამა/მეუღლის მიერ.

მ. ტ. და მ. მ. ერთად ცხოვრობდნენ მ. ტ-ს მშობლების სახლში 2005 წლის ივლისამდე, სანამ მ. მ. ოჯახის წევრებთან კონფლიქტის შემდეგ ცალკე გადავიდოდა საცხოვრებლად.

2006 წლის იანვარში მ. ტ-მ შეიტანა სისხლის სამართლის სარჩელი მ. მ-ს წინააღმდეგ, მისგან მომდინარე სიცოცხლის მოსპობის მუქარის გამო. 2006 წლის 15 მარტს პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მ. მ-ს მსჯავრი ედებოდა მ. ტ-ს მიმართ განხორციელებულ განმეორებად მუქარაში, რომ იგი მოკლავდა მას და მათ შვილს ყუმბარის აფეთქების შედეგად. მ. მ-ს მიესაჯა 5 თვით თავისუფლების აღკვეთა და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით დაენიშნა სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობა პატიმრობის განმავლობაში და მის მეტრეც – საჭიროების შემთხვევაში. 2006 წლის 28 აპრილს, სააპელაციო სასამართლომ შეამცირა აღნიშნული მკურნალობის კურსი მ. მ-ს საპატიმრო სასჯელის პროპორციულად.

მ. მ-მ მოიხდა თავისი სასჯელი და გათავისუფლდა 2006 წლის 3 ივლისს.

2006 წლის 15 აგვისტოს მ. მ-მ მოკლა მ. ტ. და მათი ქალიშვილი – ვ. ტ., სანამ იარაღით თავს მოიკლავდა.

პროცედურა და სასამართლოს შიშაღგენლობა

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2006 წლის 30 ოქტომბერს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მოთხოვნები

აპლიკანტები დავობდნენ, რომ კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-13 მუხლებზე (ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალება) დაყრდნობით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ადეკვატური ზომების მიღება მ. ტ-ს და ვ. ტ-ს დასაცავად და არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება მათი მკვლელობის ფაქტზე სახელმწიფოს შესაძლო პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 2

ეროვნული სასამართლოების დადგენილებებით და ფსიქიატრიული გამოკვლევის დასკვნებით, უპირობოდ ცხადი იყო, რომ სახელმწიფო ორგანოებმა იცოდნენ მ. ტ-ს და ვ. ტ-ს სიცოცხლის მიმართ არსებული საფრთხეების რეალურობის შესახებ და შესაბამისად, მათ უნდა მიეღოთ ყველა გონივრული ზომა ხსენებული პირების დასაცავად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად მ. მ-ს განმეორებადი მუქარისა ყუმბარის გამოყენების თაობაზე, მისი საცხოვრებელი სახლისა და ავტომანქანის ჩხრეკა არ ჩატარებულა ბრალდებულის წინააღმდეგ მიმართული წინასწარი სისხლის სამართალწარმოების დროს. თუმცა აღნიშნული სამართალწარმოებისთვის მომზადებული ფსიქიატრიული დასკვნა ხაზს უსვამდა განგრძობადი ფსიქიატრიული მკურნალობის საჭიროებას, მთავრობამ ვერ დაამტკიცა, რომ მ. მ. სათანადოდ იყო ნამკურნალევი. მართლაც, მ. მ. არ ემორჩილებოდა ინდივიდუალურ პროგრამას პატიმრობის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონით სავალდებულო იყო. მ. მ-ს გათავისუფლებამდე, მისი დაუყოვნებლივი შემონმება არ ჩატარებულა, რათა დადგენილიყო, წარმოადგენდა თუ არა იგი მ. ტ-ს და ვ. ტ-ს მიმართ სასიკვდილო საფრთხეს, გათავისუფლების შემდეგ.

შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა არ მიიღეს ადეკვატური ზომები, მ. ტ-ს და ვ. ტ-ს სიცოცხლის დასაცავად, კონვენციის მე-2 მუხლის საწინააღმდეგოდ.

სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ არ არსებობდა საჩივრის ცალკე განხილვის საჭიროება კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე მაშინ, როცა სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ყოვლისმომცველი გამოძიების წარმოება მ. ტ-ს და ვ. ტ-ს სიკვდილის გარემოებებში მისი წარმომადგენლების შესაძლო პასუხისმგებლობის ფაქტებზე.

მუხლი 13

და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა აპლიკანტის საჩივრის განხილვის საჭიროება კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მან დაადგინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით.

დურმაზი თურქეთის წინააღმდეგ

Durmaz v. Turkey

(განაცხადი N3621/07; 13/02/2015)

თურქი აპლიკანტი, უმრან დურმაზი დაიბადა 1955 წელს და ცხოვრობს იზმირში (თურქეთში).

წინამდებარე საქმე ეხებოდა მის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ეფექტური გამოძიების წარმოება განმცხადებლის ქალიშვილის სიკვდილის გარემოებებთან მიმართებით.

ქალბატონი დურმაზის ქალიშვილი – გულპერი ო. გარდაიცვალა 2005 წლის ივლისში, იზმირის საავადმყოფოში, მას შემდეგ, რაც მისმა ქმარმა იგი გადაიყვანა გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში, აცნობა რა ექიმებს, რომ მის ცოლს მიღებული ჰქონდა ორი სხვადასხვა მედიკამენტის გადაჭარბებული დოზა. აღნიშნულ საავადმყოფოში გულპერი ო. მედდად მუშაობდა. ექიმებმა პაციენტს კუჭი გამოურეცხეს, თუმცა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. ამასთან, პოლიციაში დაკითხვისას, გარდაცვლილის ქმარმა, რომელიც მუშაობდა საავადმყოფოს აფთიაქში, აღნიშნა, რომ წყვილს კამათი მოუვიდა იმავე დღეს, რაც ცოლის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფით დასრულდა. ამის შემდეგ, გულპერი ო-ს მამამ საჩივარი შეიტანა პროკურატურაში, აცხადებდა, რომ მისი შვილი არ იყო თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი და ამტკიცებდა ქმრის ბრალეულობას მეუღლის სიკვდილში. გამოძიების პროცესში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ ვერ აღმოაჩინა მედიკამენტების ან სხვა პრეპარატების კვალი გულპერი ო-ს სისხლში ან გარდაცვლილის სხეულიდან აღებულ სხვა რომელიმე ნიმუშში. ამასთან, ექსპერტიზამ აღნიშნა, რომ მას ჰქონდა ფილტვების მძიმე ხარისხის შეშუპება. 2006 წლის თებერვალში პროკურორმა გადაწყვიტა გამოძიების დახურვა, დაასკვნა, რომ გულპერი ო-მ თავი მოიკლა. ქალბატონი დურმაზის არგუმენტი ეხებოდა იმას, რომ პროკურორმა ვერ უზრუნველყო მისი ქალიშვილის მეუღლის დაკითხვა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მან თვითონ აღიარა ცოლის ცემის შემთხვევა. ასევე, პროკურორის დასკვნა წინააღმდეგობაში მოდიოდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასთან. მიუხედავად ამისა, აპლიკანტის მოთხოვნა უარყოფილი იქნა ეროვნული სასამართლოების მიერ.

კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით, ქალბატონი დურმაზი ჩიოდა, რომ გამოძიება მისი ქალიშვილის სიკვდილის გარემოებებთან დაკავშირებით არაეფექტური იყო. კერძოდ, საჭირო გახდებოდა ექსპერტის შემდგომი დასკვნები და პროკურორი ვალდებული იქნებოდა გაეგრძელებინა გამოძიება, თუ გულპერი ო-ს სიკვდილი შინაგანი სისხლდენების გამო დადგა, რომელიც მისი ქმრის მიერ მიყენებული დარტყმებისგან იყო გამოწვეული.

კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა (პროცედურული ასპექტი)

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება). თურქეთის ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ეფექტური გამოძიების წარმოება აპლიკანტის ქალიშვილის გარდაცვალების გარემოებების დადგენასთან დაკავშირებით. ისევე როგორც ოპუზის საქმეზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევებში დაზარალებულები ძირითადად ქალები იყვნენ და თურქეთში არსებულმა ზოგადმა და დისკრიმინაციული სახის სასამართლო პასიურობამ შექმნა ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობდა ოჯახურ ძალადობას.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ აპლიკანტს მიანიჭა 20.000 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და 2.000 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

ე. ს. და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ

E. S. and Others v. Slovakia

(განაცხადი №8227/04; 15/09/2009)

ფაქტობრივი გარემოებაები

ეროვნებით სლოვაკი აპლიკანტები, ე. ს. – დედა და მისი სამი შვილი – ერ. ს., ჯა. ს. და ია. ს. დაიბადნენ 1964, 1986, 1989 და 1988 წლებში. ისინი ცხოვრობდნენ კოშიცეში (სლოვაკეთში).

2001 წლის მარტში ე. ს-მ მიატოვა მისი ქმარი – ს. – სამი შვილის მამა და განაცხადი შეიტანა განქორწინებაზე, რომელიც 2002 წლის მაისში შევიდა ძალაში. მომჩივანს შემდგომში მიენიჭა ბავშვებზე მეურვეობა.

2001 წლის აპრილში ე. ს-მ შეიტანა სისხლის სამართლის სარჩელი თავისი ქმრის წინააღმდეგ. აპლიკანტი აცხადებდა, რომ მისი მეუღლე არასათანადოდ ეპყრობოდა როგორც მას, ასევე მათ შვილებს და სექსუალურად ძალადობდა ერთ-ერთ ქალიშვილზე. ორი წლის შემდეგ, მოძალადე დამნაშავედ იქნა ცნობილი არასათანადო მოპყრობისთვის, ძალადობისა და სექსუალური ძალადობისთვის და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2001 წლის მაისში ე. ს-მ მოითხოვა დროებითი ღონისძიება, რომელიც მის ქმარს ვალდებულს გახდიდა მათი საერთო საცხოვრებელი ბინა დაეტოვებინა. ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი სარჩელი იმ მოტივით, რომ შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, სასამართლოს არ ჰქონდა უფლებამოსილება შეეზღუდა მოსარჩელის ქმრის უფლება – საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით. სააპელაციო სამართალწარმოებისას, სასამართლოებმა ძალაში დატოვეს აღნიშნული გადაწყვეტილება, განაცხადეს რა, რომ ე. ს. უფლებამოსილი იქნებოდა დაენიშნა წარმოება ერთობლივი ცხოვრების შეწყვეტასთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული განქორწინების პროცედურებთან დაკავშირებით. ამავდროულად, აპლიკანტს შეეძლო მოეთხოვა ბრძანების გამოცემა, რომელიც მის ქმარს დაავალდებულებდა თავი შეეკავებინა არასათანადო საქციელისგან. შემდგომში, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ე. ს-ს უფლებები, რადგან მას არ მიუძღვნათ ასეთი ბრძანებისთვის. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო ზომების მიღება ე. ს-ს ბავშვების არასათანადო მოპყრობისგან დასაცავად. სასამართლომ არ მიანიჭა კომპენსაცია, რადგან მიიჩნია, რომ დარღვევის დადგენა წარმოადგენდა შესაბამისი სამართლიანი დაკმაყოფილების უზრუნველყოფას.

ახალი კანონმდებლობის შემოღების შემდეგ ე. ს-მ შეიტანა შემდგომი სარჩელი და შედეგად გამოიცა ორი ბრძანება 2003 წლის ივლისსა და 2004 წლის დეკემბერში: პირველი ბრძანების თანახმად, ყოფილ ქმარს ეკრძალებოდა ბინაში შესვლა, ხოლო მეორე – მომჩივანს ანიჭებდა ბინის ექსკლუზიური ფლობის უფლებას.

ამასობაში, აპლიკანტები იძულებულნი იყვნენ გადასულიყვნენ თავიანთი სახლიდან, ოჯახისა და მეგობრებისგან შორს. შედეგად, ერ. ს-ს და ჯა. ს-ს მოუხდათ სკოლის შეცვლა.

საჩივრები და პროცედურა

კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებზე დაყრდნობით, აპლიკანტები დავობდნენ, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მათი ადეკვატური დაცვა ოჯახში ძალადობისგან.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2004 წლის 9 თებერვალს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მთავრობამ განაცხადა, რომ ე. ს-ს არ ამოუწურავს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები. ამასთან, მან აღიარა, რომ დაირღვა ბავშვების უფლებები კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარე, თუმცა განაცხადა, რომ უზრუნველყოფილი იყო ადეკვატური ანაზღაურება ეროვნული სამართლოების მიერ.

სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთის ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ალტერნატიული ღონისძიება – ბრძანება, რომლითაც ე. ს-ს ყოფილ ქმარს თავი უნდა შეეკავებინა არასათანადო ქმედებისგან – არ წარმოადგენდა აპლიკანტების ადეკვატურ დაცვას მათი ქმრისა და მამისგან. შესაბამისად, იგი ვერ იქნებოდა მიჩნეული ეფექტურ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ საშუალებად, რომელიც ე. ს. ვალდებული იყო ამოეწურა. ე. ს. არ იყო ისეთ მდგომარეობაში, რომ შეეწყვიტა საერთო საცხოვრებლის ქირავნობა, 2002 წლის მარტში განქორწინების პროცედურების დასრულებამდე. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ბრალდებები მისი ყოფილი ქმრის წინააღმდეგ პირველად იქნა გააუქმებული. ბრალდებების არსისა და სიმძიმის გათვალისწინებით ე. ს-ს და მის შვილებს სჭირდებოდათ იმწუთიერი დაცვა. ამ პერიოდის განმავლობაში ე. ს-თვის არ არსებობდა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლითაც იგი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ის და მისი შვილები იქნებოდნენ დაცულნი ყოფილი ქმრის ძალადობისგან. ე. ს-ს ბავშვებთან მიმართებით, სასამართლოს არ მიუჩნევია, რომ დარღვევის დადგენა წარმოადგენდა განცდილი ზიანის ადეკვატურ ანაზღაურებას.

მთავრობამ აღიარა, რომ ე. ს-ს ბავშვები დაექვემდებარნენ ისეთ მოპყრობას, რომელმაც სიმძიმის იმ ზღვარს გადააჭარბა, რაც კონვენციის მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლებით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) იყო გათვალისწინებული. სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთმა ასევე ვერ უზრუნველყო ე. ს-ს უფლებების დაცვა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ სლოვაკეთმა ვერ განახორციელა მისი ვალდებულების შესრულება – დაეცვა ყველა აპლიკანტი არასათანადო მოპყრობისგან, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების თანახმად.

ე.მ. რუმინეთის წინააღმდეგ

E.M. v. Romania

(განაცხადი №43994/05; 30/10/2012)

ფაქტობრივი გარემოებაები

რუმინელი აპლიკანტი – ე.მ. დაიბადა 1973 წელს და ცხოვრობდა ბუქარესტში. იგი აცხადებდა, რომ 2002 წლის 4 მარტს, დაახლოებით საღამოს 17.00 საათზე, როცა ქალიშვილთან ერთად სახლში იმყოფებოდა, დაურეკა მისმა მეუღლემ. განმცხადებლის ქმარი აიძულებდა ბინის დატოვებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლით დაემუქრა. მოგვიანებით, აპლიკანტის მეუღლე დაბრუნდა სახლში, დაემუქრა მას ცემით, სანამ ჰოსპიტალური მკურნალობა არ დასჭირდებოდა და შემდეგ მოკლავდა, თუ საერთო ბინას არ დატოვებდა. ამის შემდეგ, მოძალადემ რამდენიმე საგანი იატაკზე დაანარცხა და სცემა ცოლი ქალიშვილის თანდასწრებით. 2004 წლის 5 მარტს აპლიკანტმა ქალიშვილი წაიყვანა სამედიცინო შემონმებისთვის, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ბავშვს მიყენებული ჰქონდა ფსიქოლოგიური ტრავმა. 2004 წლის 6 მარტს განმცხადებელი საავადმყოფოში მოთავსდა. სამედიცინო ცნობის საფუძველზე, პაციენტს აღენიშნებოდა ტრავმული დაზიანებები, რაც საჭიროებდა 8-9-დღიან მკურნალობას, რომელიც შესაძლებელია მიყენებული იყო 2004 წლის 4 მარტს და გამოწვეული იყო მძიმე ობიექტის მიერ მიყენებული განმეორებადი ხასიათის დარტყმებისგან. 2004 წლის ოქტომბერში წყვილი განქორწინდა.

2004 წლის 6 მარტს აპლიკანტმა სისხლის სამართლის საჩივარი შეიტანა პოლიციაში მისი ქმრის წინააღმდეგ. 2004 წლის 3 მაისს მომჩივანმა დაიწყო სისხლის სამართალწარმოება მუქარის, შეურაცხყოფის, თავდასხმისა და ძალადობის სხვა აქტების ბრალდებების საფუძველზე. 2005 წლის 14 მარტს, პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი სარჩელი და შეუფარდა მის ქმარს ჯარიმის გადახდა. მოძალადე მეუღლემ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა. 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მისი საჩივარი, გააუქმა პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და გაამართლა იგი თავდასხმისა და ძალადობის სხვა აქტების ბრალდებების ნაწილში.

კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით (წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) მომჩივანი დავობდა, რომ გამოძიება მის სისხლის სამართლის საჩივარზე, წლისა და ექვსი თვის ქალიშვილის თანდასწრებით ჩადენილ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით, არ იყო ეფექტური. რუმინულმა სასამართლოებმა უარყვეს აპლიკანტის მოთხოვნები, იმ მიზეზით რომ მომჩივნის ბრალდებები მისი ქმრის ძალადობასთან დაკავშირებით არ იყო დასტურებული.

სასამართლოს გადაწყვეტილება

აპლიკანტი ეროვნული სასამართლოების წინაშე დავობდა 2004 წლის 4 მარტს, მისი ქმრის მხრიდან განხორციელებული ოჯახში ძალადობის თაობაზე. მან თავის სარჩელს თან დაურთო სამედიცინო ცნობების 2 ასლი, რომლითაც დასტურდებოდა მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევა. საკანონმდებლო ჩარჩო იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დაზარალებულს ედავა

თავდასხმის თაობაზე და მოეთხოვა დაცვა შესაბამისი ორგანოების მხრიდან. თუმცა აპლიკანტი დავობდა მხოლოდ ერთი ინციდენტის შესახებ, სახელისუფლებო ორგანოები ვალდებულნი იყვნენ კეთილსინდისიერად ემოქმედათ და სერიოზულად მიეღოთ ეს შემთხვევა, როცა ოჯახში ძალადობის სავარაუდო ფაქტი, შესაბამისი სამედიცინო მტკიცებულებებით გამყარებული, მათ წინაშე იყო წარდგენილი. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის სამართლებრივი მოკვლევა ჩაატარა და პირდაპირ განიხილა მტკიცებულებები, რის შედეგადაც 2005 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ქმარს დაევალა ჯარიმის გადახდა ფიზიკური შეურაცხყოფისა და ძალადობის სხვა აქტების გამო. სააპელაციო სამართალწარმოებისას, რაიონულმა სასამართლომ შეცვალა აღნიშნული გადაწყვეტილება და მტკიცებულებების ახლებურად გააზრების საფუძველზე გაამართლა იგი. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ რთული დავალება მტკიცებულებათა შეფასების კუთხით, რადგან მათ წინაშე არსებობდა მოვლენათა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსია და არ არსებობდა “პირდაპირი” მტკიცებულება, გამომძიებლების მოვალეობას წარმოადგენდა მიეღოთ აუცილებელი ზომები სხვადასხვა ანგარიშების სანდოობის შესაფასებლად და ფაქტების განსამარტავად. გარდა ამისა, რაიონულმა სასამართლომ გაამართლა საკუთარი გადაწყვეტილება იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა მტკიცებულება ქმრის მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის განხორციელების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ უარყო მოწმის ჩვენება იმ საფუძველით, რომ იგი არ იყო სანდო. ამასთან, დაადგინა, რომ აპლიკანტის განცხადება არ იყო საკმარისად დეტალური დანაშაულებრივი აქტების ბრალდებებთან დაკავშირებით. გამომძიებლის შედეგების გამოკვლევის გარეშე, რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმავე მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია საკმარისად ქმრის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად. შესაბამისად, სასამართლოს ჰქონდა სათანადოდ დამაჯერებელი ინფორმაცია, რათა ჩაეტარებინა საქმის ყოვლისმომცველი საფუძველიანი შემოწმება. თუმცა გამომძიებლის ხარვეზების აღნიშვნით, რომელიც ძირს უთხრიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაიონულმა სასამართლომ დახურა სამართალწარმოება, დაზარალებულებისთვის დარღვეული უფლების აღდგენის გარეშე. რადგან სასამართლო აქტიურ როლს თამაშობდა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, განსაკუთრებით, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, მას შეეძლო ფაქტების დასადგენად ახალი მტკიცებულებების მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საკმარისი ელემენტები შემდგომი გამომძიებლის სანარმოებლად, რაიონულმა სასამართლომ საქმე დახურა, რითაც აპლიკანტს დაეკისრა პასუხისმგებლობა მტკიცებულების არარსებობის გამო. შესაბამისად, სისხლის სამართლის სისტემამ, რომელიც აპლიკანტის საქმეში გამოიყენებოდა, დაადასტურა, რომ შეუძლებელი იყო თავდასხმაში პასუხისმგებელი პირის გამოვლენა და დასჯა, თუ გამომძიებას გარკვეული საკითხები შეუსწავლელი ჰქონდა.

საბოლოოდ, როდესაც მომჩივანმა პირველად შეიტანა სარჩელი, მან მოითხოვა მისი და მისი ქალიშვილის დახმარება და დაცვა მეუღლის აგრესიული ქმედებისგან შესაბამისი ორგანოების მხრიდან. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფდა სხვადასხვა ორგანოებს შორის თანამშრომლობასა და არასასამართლო ზომების გამოყენებას, რათა აღმოჩენილიყო და გატარებულიყო შესაბამისი ღონისძიებები ოჯახში ძალადობის შემთხვევაში და მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ცნობა წარმოადგენდა თავდაპირველ მტკიცებულებას აპლიკანტის ბრალდებებისა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ დასტურდებოდა, რომ რაიმე ნაბიჯი იყო ამ მიზნით გადადგმული. აღნიშნული ვითარ-

რება კი მიანიშნებდა შესაბამის ორგანოებს შორის თანამშრომლობის არარსებობაზე. ეს ორგანოები პასუხისმგებელი იყვნენ ჩარეულიყვნენ საჯარო სენსიტიური ინტერესის მქონე საქმეებში, რათა ხელი არ შეშლოდა ფაქტების დადგენას. ასეთი სახის თანამშრომლობა ყველაზე მეტად სასურველი იყო მოცემულ საქმეში, რადგან სავარაუდო თავდასხმა არასრულწლოვნის თანდასწრებით განხორციელდა. შესაბამისად, ჩატარებული გამოძიების ფორმა არ უზრუნველყოფდა აპლიკანტის ეფექტურ დაცვას კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის **მე-3 მუხლი** (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა), ვინაიდან მის პროცედურულ მხარესთან მიმართებით, გამოძიების ის ფორმა, რომლითაც იგი ჩატარდა, არ უზრუნველყოფდა აპლიკანტის ეფექტური დაცვის საშუალებას, რაც მოთხოვნილია კონვენციის მე-3 მუხლში. კერძოდ, იგი აღნიშნავდა, რომ პირველი საჩივრით აპლიკანტმა ხელისუფლების მხრიდან, ქმრის აგრესიული ქცევისგან მისი და მისი ქალიშვილის დახმარება და დაცვა მოითხოვა. კანონით დადგენილ ფარგლებში გათვალისწინებული სხვადასხვა ორგანოების თანამშრომლობის უზრუნველყოფისა და ასევე არასასამართლო ღონისძიებების მიუხედავად, საქმის მასალებში არ ჩანდა, რომ რაიმე ნაბიჯი იქნა გადადგმული ამ კუთხით. კერძოდ, მიიღეს თუ არა ზომები ოჯახური ძალადობის მიმართ და გამოიყენეს თუ არა საქმეში მნიშვნელოვანი მტკიცებულება – სამედიცინო ცნობა.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

აპლიკანტს მიენიჭა 7.500 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და 178 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

ვალისიენე ლიტვის წინააღმდეგ

Valiuliene v. Lithuania

(განაცხადი №33234/07; 26/03/2013)

პალატის გადაწყვეტილებით, რომელიც არ არის საბოლოო,¹⁶ საქმეზე ვალიულიენე ლიტვის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ

დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა).

¹⁶ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

საქმე ეხებოდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალბატონის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ უზრუნველყო არასათანადო მოპყრობის შესახებ მისი ბრალდებების გამოძიება და მისი მეუღლის პასუხისმგებლობაში მიცემა.

სასამართლომ დაადგინა, რომ სახელისუფლებო ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამოყენება ქალბატონი ვალიულიენეს საქმეში არ უზრუნველყოფდა მის ადეკვატურ დაცვას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. კერძოდ, გაჭიანურებული გამოძიება და პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

ფაქტობრივი გარემოებაები

ეროვნებით ლიტველი აპლიკანტი – ლორეცა ვალიულიენე ცხოვრობს პანევეზისში (ლიტვაში).

2001 წლის 14 თებერვალს ქალბატონმა ვალიულიენემ მიმართა ქალაქის რაიონულ სასამართლოს კერძო ბრალდების საქმით, აცხადებდა, რომ იგი რამდენიმეჯერ სცემა მეუღლემ – ჯ.პ.ლ-მ, 2001 წლის იანვარსა და თებერვალში. 2002 წლის იანვარში აღნიშნული სასამართლოს მოსამართლემ აპლიკანტის სარჩელი გადაუგზავნა პროკურორს, დაავალა რა მას დაენყო წინასწარი სისხლის სამართლებრივი გამოძიება. ჯ.პ.ლ. ბრალდებულ იქნა მისი ცოლის ჯანმრთელობის დაზიანების გამო. გამოძიება შემდგომში რამდენიმეჯერ შეჩერდა იმის გამო, რომ ჯ.პ.ლ. არ გამოცხადდა სასამართლოში და არსებობდა არასაკმარისი მტკიცებულებები. გამოძიება განახლდა გასაჩივრების ეტაპზე შემდგომი პროკურორის მიერ იმ საფუძვლით, რომ არ იყო სათანადოდ ყოველსმომცველი და სრულყოფილი.

პროკურორმა შეწყვიტა გამოძიება 2005 წლის ივნისში, დაადგინა, რომ სისხლის სამართლის პროცესის ახალი კოდექსის მიხედვით, 2003 წლის მაისის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, სახელმწიფო ბრალდება ნაკლებად მძიმე ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებში უნდა წარმართულიყო დაზარალებულის მიერ კერძო ბრალდების პირობებში. ქალაქის რაიონულმა სასამართლომ ძალაში დატოვა აღნიშნული გადაწყვეტილება. 2005 წლის სექტემბერში აღნიშნა, რომ პროკურორს აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, დაინყოს გამოძიება. საქმის მასალებში არ არსებობდა ინფორმაცია, რათა მითითებულიყო, რომ საქმე საჯარო ინტერესის საგანი იყო ან დაზარალებულს არ შეეძლო საკუთარი უფლებების დაცვა კერძო ბრალდების მეშვეობით.

შემდგომში, ქალბატონმა ვალიულიენემ შეიტანა კიდევ ერთი კერძო ბრალდების მოთხოვნა, რომელსაც საბოლოოდ უარი ეთქვა განხილვის გარეშე 2007 წლის 8 თებერვალს, რადგან ბრალდების ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შემაჯავნელობა

კონვენციის მე-3 მუხლსა (წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლზე (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაყრდნობით, ქალბატონი ვალიულიენე დავობდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მისი ბრალდებების – განმეორებადი ხასიათის ოჯახში ძალადობის შემთხვევების, მისი მეუღლის პასუხისმგებლობის დადგენისა და ამასთან სისხლის სამართლებრივი წარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის გამოძიება.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2007 წლის 11 ივლისს.

2011 წლის 1 სექტემბერს ლიტვის მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა ცალმხრივი დეკლარაცია, სადაც აღიარებდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. 2012 წლის 5 ივნისს სასამართლომ განიხილა აღნიშნული დეკლარაცია და გადაწყვიტა, რომ არ გაეზიარებინა იგი.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 3

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალბატონმა ვალიულიენემ მიმართა ქალაქის რაიონულ სასამართლოს ჯერ კიდევ 2001 წლის თებერვალში, რათა კერძო ბრალდება შეეტანა მისი მეუღლის წინააღმდეგ. მან წარმოადგინა არასათანადო მოპყრობის ფაქტების თითოეული ინციდენტის ამსახველი კონკრეტული აღწერილობები და მიუთითა რამდენიმე მოწმის სახელი. სასამართლომ დაასკვნა, რომ ლიტვის ხელისუფლების ორგანოებმა მიიღეს სათანადო ინფორმაცია მომჩივნისგან, რათა ექვი გასჩენოდათ, რომ დანაშაული მოხდა. იმ მომენტისთვის აღნიშნულ ორგანოებს ასევე ჰქონდათ ვალდებულება ემოქმედათ მისი სისხლის სამართლის საჩივრის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო ორგანოები თავდაპირველად მოქმედებდნენ ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, გამოძიება არაერთხელ შეჩერდა მას შემდეგ, რაც საქმე პროკურორს გადაეცა. ის ფაქტი, რომ პროკურორის გადაწყვეტილებები გააუქმა ზემდგომმა პროკურორმა იმ საფუძველით, რომ იგი არ იყო საკმარისად დასაბუთებული, მიუთითებდა სახელმწიფოს მხრიდან არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე.

თუმცა ლიტვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცვალა 2003 წლის მაისში, პროკურორმა გადაწყვიტა საქმე დაებრუნებინა ქალბატონი ვალიულიენესთვის კერძო ბრალდების საწარმოებლად, საკანონმდებლო რეფორმიდან 2 წლის შემდეგ, 2005 წლის ივნისში. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა, მიუხედავად ქალბატონი ვალიულიენეს მოთხოვნისა, რომ ეს გარემოება წარმოშობდა საფრთხეს მისი მეუღლის მხრიდან. კერძოდ, იგი დაუსჯელი რჩებოდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბრალდების ვადა ახლოვდებოდა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ საკანონმდებლო რეფორმის შემდეგაც კი, პროკურორისთვის შესაძლებელი იქნებოდა გამოეძიებინა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების გამომწვევი აქტები, იმ პირობით, თუ იგი საჯარო ინტერესის საგანი იყო.

პროკურორის გადაწყვეტილების შედეგად, საქმის გარემოებები არასდროს ყოფილა დადგენილი კომპეტენტური სასამართლოს მიერ. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის ბრალდების ერთ-ერთი მიზანი, კერძოდ, არასათანადო მოპყრობისგან ეფექტური დაცვა, არ იქნა მიღწეული ქალბატონი ვალიულიენეს საქმეში. სასამართლომ ერთხმად დაასკვნა, რომ ამ შემთხვევაში დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

ამ დასკვნის ფონზე, სასამართლომ უმრავლესობით დაადგინა, რომ არ იყო საჭირო საჩივრის ცალკეულად განხილვა კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ ლიტვა ვალდებული იყო ქალბატონი ვალიული-ნესტვის გადაეხადა 5.000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ი.ც. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

Y.C. v. the United Kingdom

(განაცხადი №4547/10; 13/03/2012)

ფაქტობრივი გარემოებაები

ბრიტანელი აპლიკანტი – ი. ც., დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობდა ბრიჯვოტერში (ინგლისში). საქმე ეხებოდა აპლიკანტის ვაჟზე მეურვეობის შესახებ სამართალწარმოებებს, რომელიც დაიბადა 2001 წელს. აღნიშნული სამართალწარმოებები დასრულდა შესაბამისი გადანყვეტილებით, რომლითაც გადაწყდა მისი გაშვილება, რადგან გარკვეული შემფოთება არსებობდა მომჩივნის ბავშვის მამასთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. აპლიკანტი დავობდა, რომ სასამართლოების უარმა – შეეფასებინა იგი, როგორც ერთადერთი მზრუნველი და მეურვე საკუთარი ვაჟისა, ასევე, ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინების უგულვებელყოფამ, როცა ბავშვის მიკუთვნების საკითხი წყდებოდა, სასამართლომ დაარღვია მომჩივნის უფლებები კონვენციის მე-8 მუხლიდან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) გამომდინარე.

აპლიკანტსა და მის რამდენიმეწლიან პარტნიორს 2001 წელს შეეძინათ ვაჟი. 2003 წელს მეუღლეებს შორის ალკოჰოლის ქარბი რაოდენობის მიღების გამო წარმოშობილმა ინციდენტმა, სოციალური სამსახურების ყურადღება მიიქცია ოჯახის მიმართ. შემდგომში, ოჯახში ძალადობისა და ალკოჰოლოს ბოროტად გამოყენების რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა, რაც 2007 წლის ბოლოდან განსაკუთრებით გამწვავდა, როდესაც ოჯახში პოლიციის გამოძახების მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა. 2008 წლის ივნისში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბავშვის მიმართ გამოსცა საგანგებო დამცავი ორდერი, მას შემდეგ, რაც იგი დაშავდა მშობლების მორიგი ძალადობრივი დავის შედეგად. აღნიშნულ ორდერს მოჰყვა დროებითი მზრუნველობის დაწესების შესახებ ბრძანება და ვაჟი მინდობით აღზრდას დაექვემდებარა. ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით დაინიშნა მეურვე. დროებითი მზრუნველობის დაწესების შესახებ ბრძანება არაერთხელ გაგრძელდა სოციალური მომსახურების სამსახურების, ბავშვის მეურვის და ფსიქოლოგის დეტალური, მიმდინარე ანგარიშების საფუძველზე. 2009 წლის აპრილში, საოჯახო დავების განმხილველმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ მიეღო სრული მზრუნველობის დაწესების შესახებ ბრძანება და შესაბამისი დაქვემდებარების ორდერი მას შემდეგ, რაც აპლიკანტმა, რომელიც აცხადებდა ქმართან დაშორების შესახებ, მოითხოვა, რომ მისცემოდა ერთი უკანასკნელი შანსი – შეფასებულიყო მისი, როგორც მშობლის შესაძლებლობები მეუღლესთან დაშორების შემდეგ. აღნიშნული შანსის ნაცვლად, სასამართლომ კიდევ ერთი დროებითი მზრუნველობის დაწესების შესახებ ბრძანება გამოსცა. ზემოთ ხსენებული ორდერი და შესა-

ბამისად ბავშვზე მეურვეობა შეიცვალა გასაჩივრების ეტაპზე, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს – საოლქო სასამართლოს მიერ. კერძოდ, მოსამართლემ დაადგინა, რომ „გადაწყვეტილების მიღების გადადების ერთადერთ შედეგს წარმოადგენდა მზრუნველობის დაწესების შესახებ ბრძანების გადადება და შესაბამისად, აღნიშნული ქმედება საფრთხეს უქმნიდა ალტერნატიული გრძელვადიანი მეურვეობის დაწესების პროცესს“. მომჩივანს უარი ეთქვა სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებაზე და მისი ვაჟი გაშვილებულ იქნა 2010 წლის იანვარში.

სასამართლოს გადაწყვეტილება

კონვენციის მე-8 მუხლი: უდავო იყო ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება – შემდგომი შეფასების უარყოფა და მინდობით აღზრდისა და გაშვილების შესახებ ბრძანების გამოცემა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ჩარევას აპლიკანტის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. ჩარევა იყო “კანონით გათვალისწინებული“ და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ.

იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, საოლქო სასამართლოს მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისას, ნებისმიერ შემდგომ შეფასებას შესაძლებელი იყო მოეცვა გარკვეული ხარისხის განხეთქილება ბავშვის მინდობით აღზრდასა და ემოციური ზიანის რისკს შორის. მან მიიჩნია, რომ აპლიკანტის შეფასება ვერასდროს იქნებოდა საკმარისი მტკიცებულება, რათა გამართლებულიყო მზრუნველობის დაწესების შესახებ ბრძანების უგულებელყოფა. განსაკუთრებით, მომჩივნისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებისა და იმ რეალური რისკის ფონზე, რომ იგი კვლავ განაახლებდა ბავშვის მამასთან ურთიერთობას. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიწვევდა მხოლოდ გრძელვადიანი მეურვეობის დაწესების შესაძლებლობის გაჭიანურებას და ხელშეშლას. საქმის ისტორიისა და ანგარიშების საფუძველზე, მოსამართლის მოსაზრება, რომ აპლიკანტის ურთიერთობის აღდგენა ბავშვის მამასთან მოიცავდა არასრულწლოვნის კეთილდღეობისთვის რეალურ საფრთხეს, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო დაუსაბუთებლად. შესაბამისად, რადგან ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ემსახურებოდა მის ოჯახთან კავშირების შენარჩუნება შესაძლებლობის შემთხვევაში, ცხადი იყო, რომ მოცემულ საქმეში, ეს სიკეთე გადაფარული იყო ბავშვის უსაფრთხო და დაცულ გარემოში განვითარების ინტერესით. არსებობდა მცდელობა ოჯახის გაერთიანების აღდგენის თაობაზე ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და მშობელთა დახმარების შესაძლებლობების მეშვეობით. აპლიკანტმა არ გამოიყენა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა შესაბამისი დეტალები. სოციალური მუშაკის, მეურვისა და ფსიქოლოგის მიერ მომზადებული ანგარიშები ხაზს უსვამდა იმ სირთულეებს, რომელიც შეიქმნა იმის გამო, რომ მშობლებმა არ ითანამშრომლეს შესაბამის ორგანოებთან.

რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, გადაწყვეტილების მიღებისას, იხელმძღვანელა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე. მან ასევე გაითვალისწინა შესაბამისი ფაქტორები და კონკრეტულად მიანიშნა სოციალური მუშაკის, მეურვისა და ფსიქოლოგის მიერ მომზადებულ ანგარიშებსა და ზეპირ მტკიცებულებებზე, რომელზე დაყრდნობითაც განსაზღვრა რისკის ქვეშ მდგომი საკითხები. მომჩივანს ჰქონდა საშუალება მოეთხოვა ნებისმიერი განმარტება მოსამართლის გადაწყვეტილების დასაბუთებას-

თან დაკავშირებით და შემდეგ, სააპელაციო სასამართლოში გაესაჩივრებინა აღნიშნული გადაწყვეტილება. შესაბამისად, გაშვილების ბრძანება არ აჭარბებდა სახელმწიფოსთვის მინიჭებულ შეფასების ზღვარს და გადაწყვეტილების დასაბუთება იყო შესაბამისი და საკმარისი. აპლიკანტს ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინა მისი საქმე და მთლიანად ჩაბმული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ **ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას** (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), გამოიკვლია, რომ გაშვილების ბრძანება მიღებული იყო შესაბამის და საკმარის საფუძველზე, ასევე აპლიკანტს ჰქონდა ყველა შესაძლებლობა წარმოეჩინა თავისი საქმე და სრულად იყო ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის ისტორიისა და ანგარიშების ფონზე, საოლქო სასამართლოს მოსამართლის აზრით არსებობდა აპლიკანტის ბავშვის მამასთან შერიგების შესაძლებლობა, რაც იწვევდა ბავშვის კეთილდღეობის რისკის ქვეშ დაყენებას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებში შედიოდა მისი ოჯახთან კავშირის შენარჩუნება, ნათელი იყო, რომ ამ საქმეში მოცემულ მსჯელობას გადანონიდა ბავშვის უსაფრთხო და დაცულ გარემოში განვითარების საჭიროება. კერძოდ, ამ მხრივ სასამართლომ დაადგინა, რომ იყო ოჯახის აღდგენის მცდელობა ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მხარდაჭერის სახით და შვილის აღზრდაში დახმარების შესაძლებლობების გზით. როდესაც აპლიკანტი უთითებდა, რომ დაშორდა ბავშვის მამას, მას განემარტა იმ მხარდაჭერის შესახებ, რომელისთვისაც ოჯახური ძალადობის შემთხვევაში შეეძლო მიემართა. როგორც აღმოჩნდა, მან არ გამოიყენა ასეთი მხარდაჭერის შესაძლებლობა და საბოლოოდ ბავშვის მამას შეურიგდა.

ბევისკუა და ს. ბულგარეთის წინააღმდეგ

Bevasqua and S. v. Bulgaria

(განაცხადი №71127/01; 12/09/2008)

ფაქტობრივი გარემოებაები

წარმოშობით ბულგარელი აპლიკანტები – ვალენტინა ნიკოლაუ ბევასკუა, დაბადებული 1974 წელს და მისი 11 წლის ვაჟი – ს., ცხოვრობდნენ ბერგამოში (იტალიაში). მანამდე ისინი ცხოვრობდნენ სოფიაში, თუმცა გადავიდნენ იტალიაში მას შემდეგ, რაც ქალბატონი ბევასკუა განქორწინდა ს-ს მამასთან.

პირველმა აპლიკანტმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქმარი სისტემატიურად სცემდა მას, მიატოვა იგი, მოითხოვა განქორწინება და თან წაიყვანა მათი სამი წლის შვილი (მეორე აპლიკანტი). თუმცა ქალბატონი ბევასკუას მტკიცებით, ქმარი აგრძელებდა მის ცემას. მომჩივანმა შვილთან ერთად ოთხი დღე ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის განკუთვნილ თავშესაფარში გაატარა. ამასთან, იგი გააფრთხილეს, რომ შესაძლო იყო დაედანაშაულებინათ ბავშვის გატაცებაში იმ სასამართლო ბრძანების მიხედვით, რომელიც ბავშვზე საერთო მეურვეობას ითვალისწინებდა და რომელსაც აპლიკანტის განცხადებით, მისი ქმარი არ ითვალისწინებდა. მომჩივნის მიერ ქმრის წინააღმდეგ თავდასხმასთან დაკავშირებული ბრალ-

დებების წაყენებამ, პროვოცირება გაუკეთა შემდგომ ძალადობას. ქალბატონი ბევასკუას მოთხოვნები, დროებითი მეურვეობის დაწესების შესახებ არ იქნა პრიორიტეტულად მიჩნეული და საბოლოოდ, მან ბავშვზე მეურვეობა მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც განქორწინებიდან ერთ წელზე მეტი გავიდა. მომდევნო წელს იგი ყოფილმა ქმარმა ისევ სცემა, ხოლო მომჩივნის მოთხოვნები სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ საქმე ეხებოდა პირად საკითხს, რომელიც მოითხოვდა კერძო ბრალდებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მოცემული საქმე ეხებოდა აპლიკანტების საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ ბულგარეთის სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა იმ რთულ სიტუაციაში, რაც ქალბატონი ბევასკუას განქორწინებითა და მისი ყოფილი ქმრის საქციელით იყო გამოწვეული. ამასთან, ს-თვის მეურვეობის დაწესების შესახებ სამართალწარმოებები გაჭიანურებული იყო. კერძოდ, აპლიკანტები ეყრდნობოდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პარაგრაფს (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება გონივრულ დროში) და მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება).

სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). კერძოდ, იმ გარემოებების კუმულატიურად შეფასებით, რომელიც დაკავშირებული იყო ეროვნული სასამართლოების მარცხთან – მიეღოთ დროებითი მეურვეობის ღონისძიებები დაყოვნების გარეშე იმ სიტუაციაში, რომელიც უარყოფითად აისახებოდა აპლიკანტებზე და უპირველეს ყოვლისა, მეორე აპლიკანტის კეთილდღეობაზე. ასევე, გასათვალისწინებელი იყო პირველი აპლიკანტის ყოფილი ქმრის საქციელზე ხელისუფლების მიერ მიღებული არასაკმარისი ზომები. სასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლების დახმარება კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში – დაეცვა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. კერძოდ, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ დავის პირად საკითხად მიჩნევით, იგი შეუსაბამო ხდებოდა ხელისუფლების ვალდებულებასთან – დაეცვა აპლიკანტების ოჯახური ცხოვრება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი. თუმცა სასამართლომ ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს დროებითი მეურვეობის ღონისძიებების მიღება ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე იმ სიტუაციაში, რაც ყველაზე მეტად უარყოფითად მოქმედებდა ს-ს კეთილდღეობაზე და არასაკმარისი ზომები იქნა მიღებული ქალბატონი ბევასკუას ყოფილი ქმრის საქციელთან მიმართებით.

სასამართლომ ორივე აპლიკანტს ერთობლივად მიანიჭა 4.000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და 3.000 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ

Kontrova v. Slovakia

(განაცხადი №7510/04; 31/05/2007)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პალატის¹⁷ გადაწყვეტილებით, საქმეზე კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ, ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) და

მუხლი 13

სამართლიანი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება

კონვენციის 41-ე მუხლზე (სამართლიანი დაკმაყოფილება) დაყრდნობით, სასამართლომ აპლიკანტს მიანიჭა 25.000 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და 4.300 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

ფაქტობრივი გარემოებაები

ეროვნებით სლოვაკი აპლიკანტი – დანა კონტროვა დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს მიჩალოვსეში (სლოვაკეთი). იგი დაქორწინდა და გაუჩნდა ორი შვილი: 1997 წელს დაბადებული ქალიშვილი და 2001 წელს დაბადებული ვაჟი.

2002 წლის 2 ნოემბერს აპლიკანტმა სისხლის სამართლის სარჩელი შეიტანა მისი მეუღლის წინააღმდეგ. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი მეუღლე შეურაცხყოფას აყენებდა და სცემდა მას ელექტრო კაბელის მეშვეობით. განმცხადებელმა ნარადგინა სამედიცინო ცნობა, სადაც აღნიშნული იყო, რომ პაციენტისთვის მიყენებული დაზიანებები ხელს უშლიდა მას ჩვეულებრივ მუშაობაში 7 დღის განმავლობაში. აპლიკანტმა ასევე განაცხადა, რომ მისი ქმრიდან განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა.

მოგვიანებით, ქალი შეეცადა შეტანილი საჩივრის უკან გახმობას, რადგან თან მეუღლე ახლდა. პოლიციის ოფიცრის – ჰ-ს რჩევის საფუძველზე, მან, შესაბამისად, შეცვალა თავისი საჩივარი ისე, რომ მისი ქმრის სავარაუდო ქმედებები განხილულიყო, როგორც წვრილმანი სამართალდარღვევები, რომელიც შემდგომ ქმედებებს არ იწვევდა.

2002 წლის 26-27 დეკემბრის ღამეს აპლიკანტის ნათესავმა გამოიძახა რაიონული

¹⁷ კონვენციის 43-ე მუხლის მიხედვით, პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია, გამოაკლის შემთხვევაში მოითხოვოს საქმის 17 ნევრისგან შემდგარი სასამართლოს დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. კერძოდ, თუ საქმე წამოჭრის კონვენციის, ან მისი ოქმების განმარტების, ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან - საერთო მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს. ამ შემთხვევაში, დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ ასეთი საკითხი არ წამოიჭრება, პალატა გადაცემის შესახებ თხოვნას უარყოფს და მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, სხვა შემთხვევაში, პალატის გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება სამი თვის ვადის გასვლის შემთხვევაში ან უფრო ადრე, თუ მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის დიდი პალატისთვის გადაცემას.

პოლიციის დეპარტამენტის სასწრაფო დახმარების სამსახური, რათა ეცნობა, რომ აპლიკანტის მეუღლის ქმარი თოფით იყო შეიარაღებული და იმუქრებოდა თავისი შვილების მოკვლითა და თვითმკვლელობით. მოგვიანებით, აპლიკანტმა მსგავსი სალეთეფონო ზარი განახორციელა იმავე ღამეს. სატელეფონო ზარები მიღებულ იქნა პოლიციის ოფიცრის – ბ-ს მიერ, რომელმაც პოლიციის ოფიცერს – პ. შ-ს მითითება მისცა, საპატრულო ეკიპაჟი მოემზადებინა შემთხვევის ადგილის მოსანახულებლად. საპატრულო ეკიპაჟმა აპლიკანტი აღმოაჩინა ტუშიცკა ნოვა ვეს-ში (სოფელი). მომჩივნის ქმარმა შემთხვევის ადგილი დატოვა მათ მისვლამდე. პოლიციელმა აპლიკანტი წაიყვანა მისი მშობლების სახლში და სთხოვა მას პოლიციის დაწესებულებაში მისვლა მომდევნო დილას, რათა ინციდენტის ამსახველი ოფიციალური ჩანაწერი შექმნილიყო.

2002 წლის 27 დეკემბრის დილას აპლიკანტი წავიდა ტრჰოვიშტეს რაიონულ პოლიციაში, სადაც იგი ესაუბრა პოლიციის ოფიცერს – მ. შ-ს.

2002 წლის 31 დეკემბრის დილას აპლიკანტი და მისი ძმა მივიდნენ მიჩალოვცეს რაიონულ პოლიციაში, სადაც ქალი გაესაუბრა პოლიციის ოფიცერს – ჰ-ს. 2002 წლის 2 ნოემბერს, მომჩივანი დაიკითხა სისხლის სამართლის საჩივართან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა 2002 წლის 26 და 27 დეკემბრის ინციდენტი.

2002 წლის 31 დეკემბერს 11.00 საათიდან 11.15 საათამდე დროის პერიოდში, აპლიკანტის ქმარმა იარაღით მოკლა მისი ორი შვილი და შემდეგ თავი მოიკლა.

საბოლოოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ აღნიშნული ტრაგედია პოლიციის ოფიცრების უმოქმედობის პირდაპირი შედეგი იყო. 2006 წლის 14 მარტს პოლიციის ოფიცრები – ბ., მ. შ. და პ. შ. მსჯავრდებულ იქნენ თავიანთი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების გამო. სისხლის სამართალწარმოება ჰ-ს წინააღმდეგ შეწყდა.

აპლიკანტის საჩივრები საკონსტიტუციო სასამართლოში განცდილი მორალური ზიანის გამო კომპენსაციის მიღების მიზნით წარუმატებელი იყო.

პროცედურა და სასამართლოს შიდადგენილება

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2004 წლის 20 თებერვალს და იგი ნაწილობრივ დასაშვებად გამოცხადდა 2006 წლის 13 ივნისს.

საჩივრები

აპლიკანტი დავობდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი ორი ბავშვის სიცოცხლის დაცვა. იგი ასევე დავობდა, რომ მისთვის შეუძლებელი იყო კომპენსაციის მოთხოვნა განცდილი მორალური ზიანის გამო. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-2, მე-6 (სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-8 მუხლებს (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). პალატამ ასევე გადაწყვიტა საქმის განხილვა კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 2

სასამართლომ აღნიშნა, რომ 1993 წლის პოლიციის კანონის მე-2 (1) „ა“ და „ბ“ ქვე-

პუნქტების მიხედვით, პოლიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ადამიანების ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. განმცხადებლის ოჯახური სიტუაცია ცნობილი იყო ადგილობრივი პოლიციის დეპარტამენტისთვის, 2002 წლის 2 ნოემბრის სისხლის სამართლის საჩივრისა და 2002 წლის 26-27 დეკემბრის დამის გადაუდებელი სატელეფონო ზარების გათვალისწინებით.

განმცხადებლის მდგომარეობის საპასუხოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი დებულებებისა და მომსახურების წესების მიხედვით, პოლიცია ვალდებული იყო: დაერეგისტრირებინა აპლიკანტის სისხლის სამართლის საჩივარი; დაენყო სისხლის სამართლის გამოძიება და სისხლის სამართალწარმოება მომჩივნის მეუღლის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ; აღენუსხა გადაუდებელი ზარები და გაეცა შესაბამისი რჩევა მდგომარეობის ცვლილებიდან გამომდინარე; ასევე მიეღო ზომები იმ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომ აპლიკანტის ქმარს ჰქონდა თოფი და იმუქრებოდა მისი გამოყენებით.

თუმცა როგორც ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, პოლიციამ ვერ უზრუნველყო საკუთარი ვალდებულებების შესრულება. ამის საწინააღმდეგოდ, საქმეში ჩაბმული ერთ-ერთი ოფიცერი ეხმარებოდა აპლიკანტს და მის მეუღლეს შეეცვალათ 2002 წლის 2 ნოემბრის სისხლის სამართლის საჩივარი ისე, რომ წვრილმანი სამართალდარღვევების გამო შემდგომი ქმედებების საჭიროება აღარ დამდგარიყო. როგორც ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, ასეთი უმოქმედობების პირდაპირი შედეგი იყო აპლიკანტის ბავშვების სიკვდილი.

ზემოთ აღნიშნული დასკვნებიდან და სლოვაკეთის მთავრობის აღიარებიდან გამომდინარე, რომ ეროვნულმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყო სათანადო ზომების მიღება აპლიკანტის შვილების სიცოცხლის დასაცავად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

მუხლი 13

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტს შეეძლო კომპენსაცია მოეთხოვა მორალური ზიანისთვის, რომელიც მას და მის შვილებს მიადგა მათი გარდაცვალების გამო, თუმცა მას არ ჰქონდა ასეთი სამართლებრივი დაცვის საშუალება კონვენციის მე-13 მუხლის საწინააღმდეგოდ.

კონვენციის სსპა მუხლები

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო საჭირო საქმის ფაქტების ცალკე განხილვა კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარე.

ერემია და სხვები მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ

Eremia and Others v. the Republic of Moldova

(განაცხადი №3564/11; 28/05/2013)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, რომელიც არ არის საბოლოო¹⁸, საქმეზე ერემია და სხვები მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ქალბატონ ლილია ერემიასთან მიმართებით;

დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მის ორ ქალიშვილთან მიმართებით;

დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში ქალბატონ ლილია ერემიასთან მიმართებით.

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტების საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მათი დაცვა პოლიციელი ქმრისა და მამის ძალადობრივი და შეურაცხმყოფელი ქმედებისგან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად ძალადობის შესახებ ინფორმაციის ფლობისა, ხელისუფლებამ ვერ გაატარა ეფექტური ღონისძიებები მომჩივნის ქმრის შესაკავებლად და ოჯახში ძალადობისაგან აპლიკანტის დასაცავად. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ძალადობის განმეორების აღსაკვეთად ეფექტური ნაბიჯები არ გადადგმულა, მიუხედავად იმისა, რომ მამის მიერ დედაზე ძალადობის განხორციელებას ქალიშვილებზე უარყოფითი ფსიქოლოგიური გავლენა ჰქონდა. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება წარმოადგენდა ძალადობის პატიებას; ეს დამოკიდებულება ქალბატონი ერემიას, როგორც ქალის მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის იყო.

ძირითადი ფაქტები

ეროვნებით მოლდოველი აპლიკანტები – ლილია, დონა და მარიანა ერემია – დედა და მისი ორი ქალიშვილი, დაბადებულები 1973, 1995 და 1997 წლებში, ვალჩინში (მოლდოვის რესპუბლიკაში) ცხოვრობდნენ. ლილია ერემია დაქორწინებული იყო ა-ზე, პოლიციის ოფიცერზე, რომელიც სახლში ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა და მეუღლეს ქალიშვილების თანდასწრებით სცემდა. შედეგად, გოგონების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახა. მას შემდეგ, რაც მოლდოვის ხელისუფლებამ ა. დააჯარიმა და მას ოფიციალური გაფრთხილება მისცა, იგი კიდევ უფრო აგრესიული გახდა და 2010 წლის ნოემბერში მან ცოლის გაგუდვა სცადა.

¹⁸ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფითი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

ლილია ერემიამ მოითხოვა, რომ განქორწინების თაობაზე მისი სარჩელი დაჩქარებული წესით განხილულიყო, თუმცა უშედეგოდ. ამავე დროს, მან მოლდოვის სასამართლოებს მიმართა დამცავი ორდერის მოპოვების მიზნით. 2010 წლის 9 დეკემბერს სასამართლომ გასცა აღნიშნული ორდერი, რომელიც გადაეცა აპლიკანტის მეუღლეს. ორდერის მიხედვით, ა-ს მოეთხოვებოდა 90 დღის განმავლობაში 500 მეტრის სიახლოვეს არ მისულიყო მათ სახლთან, აგრეთვე არ დაკავშირებოდა მომჩივნებს და არ განეხორციელებინა მათ წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ დამცავი ორდერის აღსრულების ზედამხედველობის მიზნით საქმე გახსნა, ა-მ კვლავ სცემა მეუღლე და სახლში რამდენჯერმე შევიდა. თუმცა 2011 წლის აპრილში მოლდოვის სასამართლომ დააკმაყოფილა ა-ს საჩივარი და დამცავი ორდერი ნაწილობრივ გააუქმა.

2010 წლის დეკემბერში ლილია ერემიამ პოლიციის თანამშრომლებთან იჩივლა ა-ს ძალადობრივი ქმედების თაობაზე, თუმცა ისინი ზეწოლას ახორციელებდნენ მასზე, რათა საჩივარი უკან გაეხმო. პოლიციის ოფიცრები მომჩივანს უმტკიცებდნენ, რომ თუ ა-ს ექნებოდა კრიმინალური ნარსული და იგი დაკარგავდა სამსახურს, უარყოფითად აისახებოდა მათი ქალიშვილების საგანმანათლებლო და პროფესიულ მიზნებზე. მიუხედავად ამისა, 2011 წლის იანვარში სისხლის სამართლის გამოძიება მაინც დაიწყო. ა-ს ბრალეულობასთან დაკავშირებით არსებითი მტკიცებულებების, კერძოდ, სამედიცინო დასკვნებისა და მოწმეთა ჩვენებების მოპოვების მიუხედავად, პროკურორმა გამოძიება ერთი წლით შეაჩერა. გამოძიება იმ პირობით შეჩერდა, რომ იგი განახლდებოდა თუ ა. ამ პერიოდის განმავლობაში დანაშაულს კვლავ ჩაიდენდა.

საჩივრები, საქმის წარმოება და სასამართლოს შემაჯავებლობა

კონვენციის მე-3 მუხლზე (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) დაყრდნობით, ლილია ერემია ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ ყურადღება არ მიაქცია ოჯახში ძალადობას, რომელსაც ის და მისი ქალიშვილები დაექვემდებარნენ; ამასთან, ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გაცემული დამცავი ორდერის აღსრულება. იმავე მუხლის საფუძველზე, ლილია ერემიას ქალიშვილები დავობდნენ, რომ მათ აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას; გარდა ამისა, ისინი მოწმენი იყვნენ დედის ფიზიკური შეურაცხყოფისა, თუმცა დახმარება არ შეეძლოთ. კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიხედვით მე-3 და მე-8 მუხლებთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთობლიობაში, აპლიკანტები ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებამ არ გამოიყენა ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავდა მათ დაცვას ოჯახში ძალადობისგან, რაც გამომდინარეობდა ოჯახში ქალის როლის შესახებ არსებული შეხედულებისგან.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2011 წლის 16 იანვარს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 3

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 9 დეკემბერს მოლდოვის სასამართლოების გადაწყვეტილებით მდგომარეობა საკმარისად სერიოზული იყო, რათა ლილია ერემიას მიმართ დამცავი ორდერი გაცემულიყო. გარდა ამისა, ლილია ერემიამ არასათანადო მოპყრობის თაობაზე მოიპოვა სამედიცინო დასკვნა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომავალი ძალადობის შიში საკმარისად ძლიერი იყო, რათა აპლიკანტში გამოეწვია ტანჯვა და შფოთი, რაც წარმოადგენდა არაადამიანურ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებას ეროვნულ დონეზე შექმნილი ჰქონდა საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებდა ოჯახში ძალადობაში ბრალდებული პირების წინააღმდეგ სათანადო ზომების გატარების შესაძლებლობას. მოლდოვის კანონმდებლობა უზრუნველყოფდა სისხლის სამართლის სანქციებს მოძალადეების წინააღმდეგ, ასევე დამცავ ღონისძიებებს – მსხვერპლთათვის. გარდა ამისა, ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო ა-ს ძალადობრივი ქმედების თაობაზე; ეს ინფორმაცია კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა 2010 წლის 9 დეკემბერს გაცემული დამცავი ორდერის შემდეგ. ამასთან, ქალბატონმა ერემიამ დროულად გაასაჩივრა ა-ს მიერ დამცავი ორდერის დარღვევა. შესაბამისად, ხელისუფლებას უნდა გაეცნობიერებინა, რომ მომჩივანი მომავალში ძალადობის დაქვემდებარების რეალური რისკის წინაშე იდგა, რაც დადასტურებული იყო საკმარისი მტკიცებულებებით.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება საკმარისად სწრაფად არ მოქმედებდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისინი არც სრულიად უმოქმედონი იყვნენ, ვინაიდან ა. ოფიციალურად გაფრთხილებულ და დაჯარიმებულ იქნა. თუმცა არც ერთი ზემოთ ხსენებული ღონისძიება არ იყო ეფექტიანი. მიუხედავად იმისა, რომ ა-მ არაერთხელ დაარღვია დამცავი ორდერი, ის კვლავ აგრძელებდა საპოლიციო საქმიანობის განხორციელებას ისე, რომ აპლიკანტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არანაირი ღონისძიება არ ყოფილა გატარებული. ხელისუფლების მხრიდან სათანადო გადამჭრელი ზომების მიუღებლობა კიდევ უფრო შემაშფოთებელი იყო იმის გათვალისწინებით, რომ ა. პოლიციის თანამშრომელი გახლდათ, რომლის პროფესიულ ვალდებულებებში შედიოდა სხვათა უფლებების დაცვა, დანაშაულის პრევენცია და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა.

საბოლოოდ, სასამართლოსთვის გაურკვეველი დარჩა, თუ რის საფუძველზე დაადგინა პროკურორმა, რომ ა. საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა და რატომ შეაჩერა მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიება; განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოლდოვის სასამართლოებმა გაახანგრძლივეს დამცავი ორდერი, ვინაიდან მათი მოსაზრებით ა. მეუღლისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. შედეგად, გამოძიების შეჩერებამ გამოიწვია ა-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, ნაცვლად იმისა, რომ აღკვეთილიყო შემდგომი ძალადობრივი ქმედების განხორციელება. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლების უუნარობა ა-ს წინააღმდეგ გაეტარებინა ეფექტური ღონისძიებები წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ლილია ერემიასთან მიმართებით.

მუხლი 8

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ერემიას ქალიშვილები კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე ასაჩივრებდნენ მათი უფლებების დარღვევას, სასამართლომ გადანყვიტა განაცხადი მე-8 მუხლის მიხედვით განეხილა.

პირველ რიგში, როგორც მოლდოვის სასამართლოებმა აღიარეს, ქალიშვილების თანდასწრებით მამის მიერ დედაზე არაერთხელ განხორციელებულმა ძალადო-

ბამ გოგონებზე უარყოფითი ფსიქოლოგიური გავლენა იქონია. შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლით განმტკიცებულ მათ უფლებებში ჩარევა განხორციელდა.

მეორე რიგში, ხელისუფლებამ იცოდა ამის შესახებ, თუმცა ჩარევის თავიდან აღსაკვეთად არ ყოფილა მიღებული გონივრული ზომები. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2010 წლის 9 დეკემბრის დამცავი ორდერი ა-ს უკრძალავდა ქალბატონ ერემიასა და შვილებთან ურთიერთობას, ასევე მათ შეურაცხყოფას ან არასათანადო მოპყრობას. ქალბატონმა ერემიამ ასევე მოითხოვა, რომ მისი ქალიშვილები სისხლის სამართლის გამოძიების მიზნებისთვის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ოფიციალურად ელიარებიანათ. საბოლოოდ, აპლიკანტები დავობდნენ, რომ სახლში ერთ-ერთი ვიზიტისას, ა-მ არამხოლოდ ფიზიკურად იძალადა მის მეუღლეზე, არამედ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაცენა საკუთარ ქალიშვილებს.

ამრიგად, ხელისუფლება ცალსახად ინფორმირებული იყო ა-ს მიერ დამცავი ორდერის დარღვევის, ისევე როგორც მისი მუქარის შემცველი და შეურაცხმყოფელი ქცევის შესახებ. თუმცა მსგავსი ქმედების აღსაკვეთად ეფექტიანი ღონისძიებები არ გატარებულა. პირიქით, 2011 წელს ჩადენილი სერიოზული ძალადობის მიუხედავად, ა. საბოლოოდ გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქალბატონი ერემიას ქალიშვილებთან მიმართებით მოლდოვის ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეასრულა კონვენციის მე-8 მუხლით დაკისრებული ვალდებულებები.

მე-14 მუხლი მე-3 და მე-8 მუხლებთან ერთობლიობაში

ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს უუნარობა, დაიცვას ქალები ოჯახში ძალადობისგან, არღვევდა მათ უფლებას — თანასწორად ყოფილიყვნენ დაცულნი კანონის წინაშე. წინამდებარე საქმეზე, ქალბატონი ერემია არაერთხელ დაექვემდებარა ქმრის მიერ განხორციელებულ ძალადობას, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ინფორმირებული იყო ამის შესახებ. მთავრობამ არ დააკმაყოფილა ქალბატონი ერემიას მოთხოვნა, დაჩქარებული წესით განხილულიყო მათი განქორწინების საქმე. სავარაუდოდ, აპლიკანტზე ზენოლას ახორციელებდა პოლიცია, რათა მას უკან გაეხმო ქმრის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი. გარდა ამისა, სოციალურმა სამსახურებმა აღიარეს, რომ ტექნიკური შეცდომის გამო დამცავი ორდერი ძალაში შევიდა მხოლოდ 2011 წლის 15 მარტს. მართლაც, პოლიციის თანამშრომლები შეურაცხყოფას აყენებდნენ ქალბატონ ერემიას, მეუღლესთან შერიგებას ურჩევდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ის არც პირველი და არც უკანასკნელი ქალი არ იყო, რომელსაც ქმარი სცემდა. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ ა-მ აღიარა მეუღლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, იგი მაინც გათავისუფლდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან პროკურორმა მიიღო გადაწყვეტილება, პირობით შეეჩერებინა მის წინააღმდეგ მიმართული საქმის წარმოება.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების უუნარობა გამკლავებოდა ძალადობას, წარმოადგენდა არაერთგზის განხორციელებული დანაშაულის პატიებას; ეს დამოკიდებულება ქალბატონი ერემიას, როგორც ქალის, მიმართ დისკრიმინაციული იყო. ამრიგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ქალბატონ ერემიასთან მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში. სასამართლოს მოსაზრებით, მე-8 მუხლთან ერთობლიობაში კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი არ წარმოშობდა რაი-

მე განსხვავებულ საკითხებს და ცალკე არ განხილულა.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ მოლდოვის რესპუბლიკამ არამატერიალური ზიანისთვის ქალბატონ ერემიას 15,000 ევრო, ხოლო ხარჯებისა და დანახარჯებისთვის 2,150 ევრო უნდა გადაუხადოს.

ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ

Civek v. Turkey

(განაცხადი №55354/11; 23/02/2016)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2016 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით¹⁹ საქმეზე ცივეკი თურქეთის წინააღმდეგ, ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.

მოცემული საქმე ეხებოდა აპლიკანტების მამის მიერ მათი დედის, სელმა ცივეკის მკვლელობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მის ხელთ არსებული გონივრული ზომების მიღება და განხორციელება, რათა თავიდან აერიდებინა ქმრის მიერ აპლიკანტების დედის მკვლელობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო მომჩივანთა დედის სიცოცხლის მიმართ განხორციელებული აშკარა და სერიოზული მუქარისა და აღნიშნული ფაქტის შესახებ არაერთი წარდგენილი საჩივრისა.

ძირითადი ფაქტები

ეროვნებით თურქი მომჩივნები, ჰაირი პინარ ცივეკი, რაბია მერვე ცივეკი და იაშარ ცივეკი, დაბადებულნი 1989, 2000 და 1999 წლებში, ცხოვრობდნენ იზმირში (თურქეთში).

1987 წელს მათი დედა, სელმა ცივეკი, დაქორწინდა ჰ.ს-ზე. წყვილს შემდეგში ურთიერთობა გაუფუჭდა.

ქალბატონი ცივეკი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანკარაში ძალადობის

¹⁹ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

მსხვერპლი ქალების თავშესაფარში ცხოვრების შემდეგ, 2009 წელს სახლში შვილებთან დაბრუნდა. ქალბატონი ცივეკი კვლავ დაექვემდებარა ოჯახში ძალადობას და 2010 წლის 14 ოქტომბერს აღნიშნული ფაქტის თაობაზე მან სასამართლოში სარჩელი წარადგინა. ქალბატონი ცივეკის ქმარი დააპატიმრეს და სასამართლოს ბრძანებით, მას დაევალა თავი შეეკავებინა მეუღლის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ძალადობრივი ან მუქარის შემცველი ქმედებისგან; აგრეთვე მოძალადეს უნდა დაეტოვებინა სახლი, სადაც ცოლ-ქმარი ქორწინების შემდეგ ცხოვრობდნენ. ქალბატონმა ცივეკმა პარალელურად დაიწყო განქორწინების საქმის წარმოება, თუმცა საჩივარი უკან გაიხმო.

2010 წლის 12 ნოემბერს ჰ.ს. სასამართლო ზედამხედველობის საფუძველზე გათავისუფლდა. 23 ნოემბერს ქალბატონმა ცივეკმა უსაფრთხოების სამსახურებს კიდევ ერთი საჩივარი წარუდგინა. საჩივარში იგი აცხადებდა, რომ ქმარი აგრძელებდა მის შევიწროვებას და მოკვლით ემუქრებოდა. მან კიდევ ერთი ახალი საჩივარი 2010 წლის 17 დეკემბერს წარადგინა. ჰ. ს-ს ბრალად დაედო სიცოცხლის მოსპობის შესახებ მუქარა; მან ასევე არ შეასრულა დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა დაკითხეს ბავშვები, რომლებმაც დაადასტურეს დედის ჩვენება. პროკურორმა ჰ. ს-ს ბრალი კიდევ ერთხელ წაუყენა.

2011 წლის 14 იანვარს კი, ქალბატონი ცივეკი ქუჩაში მოკლა მისმა ქმარმა, რომელმაც ცოლს დანით 22 ჭრილობა მიაყენა. შემდგომში, ჰ. ს-ს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

მოთხოვნები, საქმის წარმოება და სასამართლოს შიშაღგინელობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლზე (სიცოცხლის უფლება) დაყრდნობით, მომჩივნები დავობდნენ, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, დაეცვა მათი დედის სიცოცხლე. დამატებით, ისინი აცხადებდნენ, რომ კონვენციის მე-14 მუხლის საწინააღმდეგოდ, ქალბატონი ცივეკი წარმოადგენდა დისკრიმინაციის მსხვერპლს სქესის ნიშნით.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2011 წლის 5 ივლისს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 2

სიცოცხლის უფლება

სასამართლომ განაცხადა, რომ უსაფრთხოების სამსახურებისთვის ცნობილი იყო მეუღლეებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობისა და ქმრის მიერ ცოლის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ. უსაფრთხოების ძალებს მკვლელობის აღბათობის შესახებ ეცნობა ქალბატონი ცივეკის რამდენიმე საჩივრითა და მისი შვილების მიერ გაკეთებული განცხადებებით. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ გაატარა არაერთი ღონისძიება ქალბატონი ცივეკის მეუღლის წინააღმდეგ, რაც მოიცავდა მის სისხლისსამართლებრივ დევნას, დაპატიმრებასა და სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ მოქცევას. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2010 წლის 12 ნოემბერს, ქალბატონი ცივეკის მეუღლის პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, ხელი-

სუფლებამ არ მიიღო სათანადო ზომები, რათა თავიდან აერიდებინა ქალბატონი ცივეკის მკვლელობა. 2010 წლის 23 ნოემბერს უსაფრთხოების სამსახურებმა უბრალოდ აღრიცხეს მსხვერპლის ახალი საჩივარი, მისი ქმრის წინააღმდეგ დამატებითი ღონისძიებების გატარების გარეშე მაშინ, როდესაც იგი განაგრძობდა ქალბატონი ცივეკის დაშინებასა და მისი სიცოცხლის მოსპობის შესახებ მუქარას. საჭირო იყო ახალი ზომების მიღება, ვინაიდან ქალბატონი ცივეკის მეუღლეს უკვე ჰქონდა შეხება უსაფრთხოების ძალებთან. გარდა ამისა, იგი ქალბატონ ცივეკს კვლავ ემუქრებოდა. 2010 წლის 17 დეკემბერს აპლიკანტმა ახალი საჩივარი წარადგინა, რის შედეგადაც მის ქმარს სიცოცხლის მოსპობის შესახებ მუქარისთვის ბრალი წაუყენეს. თუმცა სახელმწიფო ბრალმძებელს არ გაუტარებია რაიმე პრაქტიკული ღონისძიება, რათა ქალბატონი ცივეკი ეფექტური დაცვით უზრუნველყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ქმარი შეიძლებოდა კანონიერად დაეპატიმრებინათ სასამართლო ბრძანების დაუმორჩილებლობისთვის. ამასთან, მსხვერპლის შვილები ადასტურებდნენ დედის განცხადებას. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ არ გაატარა ეფექტური ღონისძიება ქალბატონი ცივეკის მეუღლის წინააღმდეგ, გარდა იმისა, რომ 2011 წლის 10 იანვარს მის წინააღმდეგ საბრალდებო დასკვნა მოამზადა მაშინ, როდესაც კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებული იყო საკუთარი ინიციატივით დაეცვა ქალბატონი ცივეკის სიცოცხლე. აპლიკანტის ქმარი პატიმრობიდან გათავისუფლდა; შესაბამისად, მას მიეცა საშუალება, რომ 2011 წლის 14 იანვარს ცოლი ქუჩაში მოეკლა.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ არ მოახდინა სათანადო რეაგირება, რათა თავიდან აეცილებინა ქალბატონი ცივეკის მკვლელობა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, იგი აშკარა და სერიოზული საფრთხის ქვეშ იყო. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დაადგინა.

კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის დადგენის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევის განხილვა.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთს მომჩივნებისთვის არამატერიალური ზიანისთვის 50,000 ევრო, ხოლო ხარჯებისა და დანახარჯებისთვის 3,000 ევრო უნდა გადაეხადა.

ჰალიმე კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ

Halime Kilic v. Turkey

(განაცხადი №63034/11; 28/06/2016)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2016 წლის 28 ივნისის არასაბოლოო²⁰ გადაწყვეტილებით, საქმეზე ჰალიმე კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ, ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება), ასევე

დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

წინამდებარე საქმე ეხებოდა ქალბატონი კილიჩის ქალიშვილის, ფატმა ბაბატლის გარდაცვალებას. იგი მეუღლემ მოკლა, მიუხედავად იმისა, რომ წარადგინა ოთხი საჩივარი შესაბამის ორგანოში და სამი დამცავი ორდერი მოიპოვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სამართალწარმოებამ ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული ვალდებულებები. კერძოდ, ფატმა ბაბატლი სახელმწიფომ სათანადოდ ვერ დაიცვა. სეროვნულმა ხელისუფლებამ ფატმა ბაბატლის მეუღლე არ დასაჯა მის წინააღმდეგ გაცემული ორდერების დარღვევისათვის, რის გამოც სახელმწიფომ ზემოთ ხსენებულ ორდერებს ეფექტურობა დაუკარგა. აგრეთვე, შეიქმნა დაუსჯელობის სინდრომი, რაც გარდაცვლილის მეუღლეს შესაძლებლობას აძლევდა ცოლზე არაერთხელ განეხორციელებინა ფიზიკური ძალადობა, პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაუშვებლად მიიჩნია ის გარემოება, რომ მომჩივნის ქალიშვილი ქმრის ძალადობრივი ქცევის პირისპირ დაცვის გარეშე დარჩა. განმეორებით ძალადობრივ ქმედებებსა და მსხვერპლის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ მუქარაზე თვალის დახუჭვით, ეროვნულმა ხელისუფლებამ შექმნა გარემო, რომელიც ხელს უწყობდა ოჯახში ძალადობას.

ძირითადი ფაქტები

ეროვნებით თურქი მომჩივანი, ჰალიმე კილიჩი დაიბადა 1940 წელს და ცხოვრობდა დიარბაკირში (თურქეთში). ის არის ფატმა ბაბატლის დედა; იმ ქალის, რომელიც დაექვემდებარა ოჯახში ძალადობას და რომელსაც ქმარი მოკვლით ემუქრებოდა.

2008 წლის 16 ივლისს ფატმა ბაბატლიმ მეუღლის (ს.ბ.) წინააღმდეგ საჩივარი წარადგინა. ბაბატლიმ განაცხადა, რომ მას შვიდი შვილი ჰყავდა და მეუღლე ფიზი-

²⁰ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

კურ შეურაცხყოფას გამუდმებით აყენებდა. ფატმა ბაბატლიმ მოითხოვა „ოჯახის დაცვის შესახებ“ კანონით (კანონი №4320) გათვალისწინებული დამცავი ზომების გამოყენება; ის ასევე მოითხოვდა ორდერის გამოცემას, რომლის თანახმადაც, მეუღლეს სახლიდან გადასვლა დაევალებოდა, ვინაიდან იგი შიშობდა მისი და მისი შვილების სიცოცხლის ხელყოფის გამო. 2008 წლის 18 ივლისს საოჯახო დავების მომწესრიგებელმა სასამართლომ გამოსცა წინასწარი დამცავი ორდერი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მითითებული იყო, რომ ს. ბ-ს სახლი უნდა დაეტოვებინა. სასამართლომ ასევე გასცა ბრძანება, რომლის მიხედვით ს. ბ-ს აეკრძალა ცოლის წინააღმდეგ ნებისმიერი ძალადობრივი ქმედების განხორციელება. აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ს. ბ-ს 2008 წლის 6 აგვისტოს გადაეცა, ასევე ადგენდა, რომ სასამართლო ბრძანებების შეუსრულებლობა გამოიწვევდა საპატიმრო სასჯელს. 2008 წლის 7 ოქტომბერს, პროკურატურამ ს. ბ-ს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისთვის ბრალი წაუყენა.

2008 წლის ივლისსა და ოქტომბერში ფატმა ბაბატლიმ ოჯახში ძალადობის თაობაზე შემდგომი საჩივრები წარადგინა. საოჯახო დავების მომწესრიგებელმა სასამართლომ კიდევ ორი ბრძანება გასცა. პროკურატურამ ს. ბ-ს საქმე განსახილველად სისხლის სამართლის სასამართლოს გადასცა და მოითხოვა მისი წინასწარ პატიმრობაში მოთავსება, თუმცა სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. შემდგომ, ფატმა ბაბატლიმ გადაუდებელი დახმარების მიღების მიზნით მისწერა პროკურორს, რომელთანაც დაიჩივლა, რომ მისმა მეუღლემ ორი ბავშვი გაიტაცა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. მან დამატებით მეოთხე საჩივარი წარადგინა. 2008 წლის 7 ნოემბერს ფატმა ბაბატლი მოკლა მისმა მეუღლემ, რომელმაც შემდეგ თავი მოიკლა.

2009 წლის იანვარში ქალბატონმა კილიჩმა პროკურატურაში საჩივარი წარადგინა. იგი მოითხოვდა იმ თანამდებობის პირების იდენტიფიცირებასა და სისხლის სამართლებრივ დევნას, რომლებმაც, მიუხედავად მისი ქალიშვილის მიერ წარდგენილი საჩივრებისა, ვერ უზრუნველყვეს ეფექტური გამოძიების წარმოება და დაარღვიეს მათზე დაკისრებული ვალდებულებები. აღნიშნულ ხარვეზებს შედეგად ფატმა ბაბატლის სიკვდილი მოჰყვა. სახელმწიფო ბრალმდებელმა მიიღო გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ. ქალბატონმა კილიჩმა ეს გადაწყვეტილება წარუმატებლად გაასაჩივრა.

საჩივრები, საქმის წარმოება და სასამართლოს შიშაღგენლობა

კონვენციის მე-2 მუხლზე (სიცოცხლის უფლება) დაყრდნობით, ქალბატონი კილიჩი ჩიოდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ დაიცვა მისი ქალიშვილის სიცოცხლე და ვერ უზრუნველყო საოჯახო დავების მომწესრიგებელი სასამართლოს მიერ ს. ბ-ს წინააღმდეგ გაცემული ორდერების აღსრულება. იგი ასევე დავობდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ განახორციელა ეფექტური გამოძიება და ვერ დაიცვა მისი ქალიშვილი. ქალბატონი კილიჩი ამტკიცებდა, რომ მისი ქალიშვილის საქმეზე სამართალწარმოება არასამართლიანი იყო; აგრეთვე, არ არსებობდა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომელიც დაიცავდა მის შვილს. მომჩივანი აცხადებდა, რომ ფატმა ბაბატლის გარდაცვალების შემდეგ, საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მიზნით მის მიერ წარდგენილი საჩივარი საბოლოოდ წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან სამართალწარმოება შეწყდა.

კონვენციის მე-14 მუხლზე (დისკრიმინაციის აკრძალვა) დაყრდნობით, ქალბა-

ტონი კილიჩი ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) თანახმად, გასაჩივრებული ქმედებები განხორციელდა იმის გამო, რომ მისი შვილი ქალი იყო. გარდა ამისა, მისი სიძე არ დააპატიმრეს, ვინაიდან ეს იყო ოჯახში ძალადობის შემთხვევა.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა 2011 წლის 5 აგვისტოს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 2

სიცოცხლის უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ფატმა ბაბატლიმ ხელისუფლებას ოთხჯერ მიმართა და ყოველ ჯერზე განაცხადა, რომ მას ეშინოდა მისი და მისი შვილების სიცოცხლის ხელყოფის გამო; შესაბამისად, იგი მოითხოვდა დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო დავების მომწესრიგებელმა სასამართლომ გასცა სამი დამცავი ორდერი, აღნიშნული ღონისძიება სრულიად არაეფექტური აღმოჩნდა, ვინაიდან მან ვერ უზრუნველყო ფატმა ბაბატლის დაცვა. მართალია, ოჯახში ძალადობის კონტექსტში, თეორიულად არსებობდა დამცავი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა სახიფათო სიტუაციაში სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფას, თუმცა ს. ბ.-სთვის პირველი დამცავი ორდერის გადაცემას 19 დღე, ხოლო მეორე დამცავი ორდერის ჩაბარებას 2 კვირა დაჭირდა. აღნიშნულმა დაგვიანებამ, ფატმა ბაბატლის ჩამოართვა დაუყოვნებლივი დაცვით სარგებლობის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ მის მდგომარეობაში ეს აუცილებელი იყო. დაგვიანებამ ასევე არაეფექტური გახადა სასამართლოს მიერ გაცემული ზემოთ ხსენებული ორდერები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ორდერის გამოცემის თარიღიდან ს. ბ.-სთვის მის გადაცემამდე, ფატმა ბაბატლის კიდევ ერთხელ დაესხა თავს მისი მეუღლე.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დამცავი ღონისძიებების ეფექტურობა გარანტირებული იქნებოდა, მხოლოდ სათანადო კონტროლის მექანიზმებით. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ სახელმწიფო ბრალმძებელმა ს. ბ.-ს დროებითი მოთავსების იზოლაციაში დაპატიმრების ბრძანება არ გასცა, სანამ იგი 2008 წლის 8 ოქტომბერს პოლიციამ ორი დანის (ცივი იარაღი) ტარებისთვის არ დააკავა. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ს.ბ. აშკარა საფრთხეს წარმოადგენდა, სისხლის სამართლის სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. სასამართლომ არ შეაფასა ფატმა ბაბატლის მიმართ არსებული საფრთხეები, მათ შორის, მისი მოკვლის ან შემდგომი შესაძლო თავდასხმების რისკები. შესაბამისად, ს.ბ. გათავისუფლდა იმგვარად, რომ ფატმა ბაბატლის სიცოცხლის დასაცავად რაიმე პრაქტიკული ღონისძიება არ გატარებულა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საოჯახო დავების მომწესრიგებელი სასამართლოს მიერ გაცემულ ორდერებს მოძალადეზე შემაკავებელი ეფექტი არ ჰქონდა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ №4320 კანონი სასამართლოს მიერ გაცემული ორდერების შეუსრულებლობისთვის საპატიმრო სასჯელს ითვალისწინებდა, თუმცა ს.ბ. ამ თვალსაზრისით ეფექტურად არასდროს დასჯილა. ამრიგად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ, როდესაც ფატმა ბაბატლის მეუღლე არ დასაჯა მის წინააღმდეგ გაცემული ორდერების დარ-

ღვევისათვის, ზემოთ ხსენებულ ორდერებს ეფექტურობა დაუკარგა. აგრეთვე, შექმნა იმგვარი გარემო, რომელიც გარდაცვლილის მეუღლეს შესაძლებლობას აძლევდა ცოლზე არაერთხელ განეხორციელებინა ფიზიკური ძალადობა, შესაბამისი სასჯელის დაკისრების გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებმა წინააღმდეგობრივი მოხსენებები წარადგინეს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ჰქონდა ფაქტმა ბაბატლის შესაძლებლობა შვიდ შვილთან ერთად თავშესაფარში მოთავსებულიყო. თავდაპირველად, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროს თურქეთში ქალებისთვის რაოდენობრივად ცოტა თავშესაფარი არსებობდა. სასამართლომ შენიშნა, იმ შემთხვევაშიც კი თუ იარსებებდა შესაბამისი ადგილი, სადაც ფაქტმა ბაბატლი შვილებთან ერთად დაცული იქნებოდა, არც პროკურატურას და არც პოლიციას აპლიკანტი მის საჭიროებებზე მორგებულ დანებსებულებაში არ გაუგზავნია და სახელმწიფოს არც ამგვარი დანებსებულების შესახებ ცნობები მიუწვდია. ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრებოდა ვალდებულება, გაეთვალისწინებინა ფაქტმა ბაბატლის განსაკუთრებით სახიფათო და მოწყვლადი ფსიქოლოგიური, ფიზიკური და მატერიალური მდგომარეობა. შესაბამისად, უნდა შეეფასებინა იგი და სათანადო დახმარება შეეთავაზებინა მსხვერპლისთვის. თუმცა ეს ასე არ მოხდა.

რაც შეეხება ქალბატონი კილიჩის მტკიცებას, რომ მისი ქალიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით არ დადგენილა საჯარო მოხელეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტთან მიმართებით წარდგენილი საჩივრების ბუნება და ის დასკვნები, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა. კერძოდ, ეროვნულმა სამართალწარმოებამ ვერ დააკმაყოფილა კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-2 მუხლთან ერთობლიობაში

კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-2 მუხლთან ერთობლიობაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ფაქტმა ბაბატლის ქმარი გამუდმებით სცემდა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა; ამის შესახებ კი ეროვნული ხელისუფლება ინფორმირებული იყო. ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა მის მიერ გაკეთებული დასკვნები იმის თაობაზე, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ფაქტმა ბაბატლის ეფექტური დაცვა და მისი ქმარი დაუსჯელი დატოვა. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულმა დაუსჯელობამ გავლენა იქონია ეროვნული ხელისუფლების მიერ ოჯახში ძალადობის განსაკუთრებით შემამფოთებელი ინციდენტების სიმძიმის განზრახ უარყოფასა და ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებულ მოწყვლადობაზე. განმეორებით ძალადობრივ ქმედებებსა და ფაქტმა ბაბატლის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ მუქარაზე თვალის დახუჭვით, ეროვნულმა ხელისუფლებამ შექმნა გარემო, რომელიც ხელს უწყობდა ოჯახში ძალადობას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაუშვებლად მიიჩნია ის გარემოება, რომ მსხვერპლი ქმრის ძალადობრივი ქცევის პირისპირ დაცვის გარეშე დარჩა.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ოპუზ-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში გაკეთებული დასკვნები ძალაში რჩებოდა წინამდებარე საქმის გარემოებებთან მიმართებით.

ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთს არამატერიალური ზიანისთვის ქალბატონი კილიჩისთვის 65,000 ევრო უნდა გადაეხადა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2016-2017 წლებში მიღებული გადაწყვეტილებები

ტალპისი იტალიის წინააღმდეგ

Talpis v. Italy

(განაცხადი №41237/14; 02/03/2017)

იტალიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დედისა და მისი ვაჟის დაცვა, რადგან ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე დროულად არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები

პალატის გადაწყვეტილებით,²¹ საქმეზე ტალპისი იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ:

დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება);

დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა);

დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთობლიობაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან ეროვნულმა ხელისუფლებამ ქ-ნი ტალპისის მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით არ გაატარა დროული ღონისძიებები, მან აღნიშნულ საჩივარს დაუკარგა ეფექტიანობა და შექმნა დაუსჯელობის გარემო, რამაც ხელი შეუწყო ძალადობრივი ქმედებების რეციდივს და საბოლოოდ განაპირობა ქ-ნი ტალპისის მკვლელობის მცდელობა და მისი შვილის მოკვლა. შესაბამისად, ხელისუფლებამ ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, დაეცვა ადამიანების სიცოცხლე.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ქ-ნი ტალპისი შვილებთან ერთად ცხოვრობდა და ძალადობრივ გარემოში ცხოვრობდა და მის მიმართ არასათანადო მოპყრობას ჰქონდა ადგილი; გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლების მიერ ჩატარებული სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფორმა მიუთითებდა სასამართლოს პასიურობაზე, რაც არ იყო თავსებადი კონვენციის მე-3 მუხლთან.

და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ ქ-ნი ტალპისი წარმოადგენდა დისკრიმინაციის მსხვერპლს, რაც განპირობებული იყო ხელისუფლების უმოქმედობით, ვინაიდან მან სათანადოდ არ შეაფასა არსებული ვითარება, რითაც საბოლოოდ ხელი შეუწყო ძალადობას.

²¹ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

ძირითადი ფაქტები

მომჩივანი, ელიზავეტა ტალპისი, დაბადებული 1965 წელს, რუმინეთის მოქალაქეა, რომელიც იტალიაში ცხოვრობს.

2012 წლის 2 ივნისს ქ-ნმა ტალპისმა საჩივრით მიმართა პოლიციას მეუღლის წინააღმდეგ, რომელიც ალკოჰოლიკი იყო და მას და მის ქალიშვილს სცემა. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს განმცხადებლის მეუღლე დახვდათ ქუჩაში, ნასვამ მდგომარეობაში. პოლიციის ოფიცრებმა შეადგინეს ოქმი, სადაც აღწერეს ინციდენტის დროს მიღებული ქ-ნი ტალპისისა და მისი ქალიშვილის დაზიანებები. განმცხადებელმა ფორმალური საჩივარი არ აღძრა.

2012 წლის 19 აგვისტოს განმცხადებელს კიდევ ერთხელ დაესხა თავს დანით შეიარაღებული მეუღლე, რომელიც აიძულებდა თან გაჰყოლოდა, რათა მის მეგობრებთან სექსუალური კავშირი დაემყარებინა. ქ-ნმა ტალპისმა დახმარებისთვის ქუჩაში მორიგე პოლიციის ოფიცრებს მიმართა; სამართალდამცავებმა განმცხადებლის მეუღლე აკრძალული იარაღის ტარებისთვის დააჯარიმეს და ქ-ნ ტალპისს სახლში წასვლისკენ მოუწოდეს. შემდეგ მომჩივანი საავადმყოფოს გადაუღებელი დაზიანების განყოფილებაში მივიდა, სადაც მას თავისა და სხეულის მრავლობითი დაზიანება დაუდგინეს; ექიმებმა მას უთხრეს, რომ დაახლოებით ერთ კვირაში გამოჯანმრთელდებოდა. ამის შემდეგ მომჩივანი მოათავსეს ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის განკუთვნილ შესაბამის დანესებულებაში, სამი თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მას ადგილებისა და შესაბამისი რესურსების ნაკლებობის გამო დანესებულების დატოვება მოუწია. ქ-ნი ტალპისის განცხადებით, შემდგომში ქუჩაში ეძინა, გარკვეული დროით მეგობართან ცხოვრობდა და საბოლოოდ, როგორც შინა მოსამსახურემ, იპოვა სამსახური და შეძლო ბინის დაქირავება. მომჩივნის მეუღლე სატელეფონო ზარების მეშვეობით განაგრძობდა მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

2012 წლის 5 სექტემბერს მომჩივანმა განხორციელებული ფიზიკური დაზიანების, არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის მუქარის შესახებ საჩივარი წარადგინა და ხელისუფლებისგან მოითხოვა, დაუყოვნებლივ მიეღო ზომები მისი და მისი შვილების დაცვის მიზნით. 2013 წლის 4 აპრილს მომჩივანი პირველად დააკითხეს; მან შეცვალა ჩვენება და შეამსუბუქა ბრალდებები. 2013 წლის აგვისტოში არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის მუქარის შესახებ წარდგენილი საჩივრის განხილვა დასრულდა. მიუხედავად ამისა, 2015 წლის ოქტომბერში მომჩივნის მეუღლეს ფიზიკური ძალადობის გამო 2 000 ევროს ოდენობით ჯარიმა დააკისრეს.

2013 წლის 25 ნოემბერს ქ-ნმა ტალპისმა კიდევ ერთხელ მიმართა პოლიციას მეუღლესთან კამათის გამო; ქ-ნი ტალპისის მეუღლე ინტოქსიკაციით საავადმყოფოში გადაიყვანეს. საავადმყოფოდან განერის შემდეგ, განმცხადებლის მეუღლეს პირადობის მოწმობის წარდგენა მოთხოვეს, როდესაც ის ლამის 2.25 წუთზე ქუჩაში მთვრალი სეირნობდა. მას ჯარიმა დაუწერეს და სახლში წასვლის უფლება მისცეს. დაახლოებით ლამის 5 საათზე, მომჩივნის მეუღლე დანით შეიარაღებული შეიჭრა ქ-ნი ტალპისის სახლში და თავს დაესხა. მან დაჭრა ვაჟი, რომელიც ცდილობდა მშობლების გაშველებას; იგი ადგილზე გარდაიცვალა. მომჩივნის მეუღლემ ქ-ნ ტალპისს, რომელიც გაქცევას ცდილობდა, გულმკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. 2015 წლის იანვარში მომჩივნის მეუღლეს შვილის მკვლელობისა და მომჩივნის მკვლელობის მცდელობისთვის, აგრეთვე აკრძალული ია-

რალის ტარების, მომჩივნისა და მისი ქალიშვილის არასათანადო მოპყრობისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას ასევე დაეკისრა მომჩივნისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიდადგენილება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლებზე დაყრდნობით, ქ-ნი ტალპისი დავობდა, რომ იტალიის ხელისუფლებამ ვერ შეძლო შეესრულებინა დაკისრებული ვალდებულება, დაეცვა ის ოჯახში ძალადობისგან, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მომჩივნის ვაჟის სიკვდილი და მომჩივნის მკვლელობის მცდელობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლზე (დისკრიმინაციის აკრძალვა) დაყრდნობით მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთობლიობაში, ქ-ნი ტალპისი ჩიოდა, რომ ხელისუფლების უმოქმედობის საფუძველზე, იგი გახდა სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი. მომჩივანმა ასევე გააკრიტიკა ოჯახში ძალადობის შესახებ იტალიის კანონმდებლობა.

განაცხადი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, 2014 წლის 23 მაისს შევიდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 2

სიცოცხლის დაცვა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანსა და მის ვაჟზე ვრცელდებოდა კონვენცია; ქ-ნი ტალპისი დაექვემდებარა იმგვარი ხასიათის ძალადობას, რამაც საფრთხე შეუქმნა მის სიცოცხლეს. ვინაიდან მომჩივანმა სისხლისსამართლებრივი საჩივარი აღძრა 2012 წლის 5 სექტემბერს, სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია ხელისუფლების ქმედებები აღნიშნული თარიღიდან შეეფასებინა. მას შემდეგ რაც ქ-ნმა ტალპისმა წარადგინა სარჩელი განცდილი ძალადობის თაობაზე და განაცხადა, რომ საფრთხე ემუქრებოდა მისი და მისი ქალიშვილის სიცოცხლეს და ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დამცავი ორდერის გამოცემა; მომჩივანი დაკითხეს საჩივრის წარდგენიდან შვიდი თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნულმა დაგვიანებამ მომჩივანს ცალსახად წაართვა, სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებლად საჭირო დაუყოვნებლივი დაცვა. ეროვნულ ხელისუფლებას მხედველობაში უნდა მიეღო მომჩივნის უმწეო მდგომარეობა, ფიზიკური და მორალური მონყვლადობა, სიტუაცია სათანადოდ შეეფასებინა და ქ-ნი ტალპისი შესაბამისი დაცვით უზრუნველყო. ხელისუფლებამ არ შეაფასა მომჩივნის წინაშე არსებული რისკები, მათ შორის, შემდგომი ფიზიკური ძალადობის რისკი. შესაბამისად, ეფექტიანი ღონისძიებების გაუტარებლობით, ეროვნულმა ხელისუფლებამ ერთგვარად ხელი შეუწყო მომჩივნის მეუღლეს განეხორციელებინა ძალადობის შემდგომი აქტები. უფრო მეტიც, მოძალადის დაუსჯელობამ საბოლოოდ გამოიწვია 2013 წლის 25 ნოემბრის ღამის ტრაგიკული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ორჯერ ჩაერია იმ ღამით განვითარებულ მოვლენებში, მათ არ მიუღიათ ეფექტური ზომები, რათა სიტუაციის სერიოზულობის გათვალისწინებით, მომჩივანი ადეკვატურად დაეცვათ, იმ დროს როცა პოლიციისთვის ცნობილი იყო ქ-ნი ტალპისის მეუღლის ძალადობრივი ქმე-

დებების შესახებ და ჯერ კიდევ მიმდინარეობდა გამოძიება სხეულის მძიმე დაზიანების თაობაზე მომჩივნის მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით. ქ-ნი ტალპისის მეუღლის სისხლისსამართლებრივი წარსულის შემონმების მიზნით პოლიციისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მომჩივნის მიმართ არსებული რეალური საფრთხის შესახებ. ამრიგად, კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ვერ გაატარა ეფექტური ღონისძიებები, რომელიც რაციონალურად თავიდან აიცილებდა მომჩივნის ვაჟის მკვლელობას და მისი მკვლელობის მცდელობას. შესაბამისად, ხელისუფლებამ გამოიჩინა საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ვერ შეძლო მომჩივნისა და მისი ვაჟის სიცოცხლის დაცვა. გარდა ამისა, ხელისუფლების მხრიდან დაფიქსირებულმა ხარვეზებმა ქ-ნი ტალპისის სისხლისსამართლებრივი საჩივარი არაეფექტიანი გახადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დაადგინა.

მუხლი 3

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანი შეიძლება შეეყვანილ იქნეს „მონყვლადი პირების“ კატეგორიაში, რომლებსაც სახელმწიფო დაცვის უფლება აქვთ; სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მიერ განცდილი ძალადობა, რაც მოიცავს სხეულის მძიმე დაზიანებასა და ფსიქოლოგიურ ზეწოლას, საკმარისად სერიოზული ხასიათის იყო, რათა კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში არასათანადო მოპყრობად ყოფილიყო კვალიფიცირებული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების სასამართლო განხილვისას, ეროვნულმა ხელისუფლებამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიიღოს მსხვერპლის უმწიფო მდგომარეობა, მისი ფიზიკური და მორალური მონყვლადობა და რაც შეიძლება სწრაფად შეაფასოს სიტუაცია ადეკვატურად. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა სარწმუნო განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რატომ არ მიიღო შესაბამისი ზომები მიღებული სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნის შესახებ საჩივრის წარდგენიდან 7 თვის განმავლობაში. ხელისუფლებას ასევე არ წარმოუდგენია განმარტება, რატომ გაგრძელდა სხეულის მძიმე დაზიანების შესახებ სისხლის სამართლის საქმის წარმოება სამი წელი. სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე საქმეზე ეროვნული ხელისუფლების მიერ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების მეთოდი მიუთითებდა ადგილობრივი ხელისუფლების უმოქმედობაზე და არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

შესაბამისად, სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა.

მუხლი 14

დისკრიმინაციის აკრძალვა

მოცემულ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პრეცედენტული სამართლის თანახმად, სახელმწიფოს მიერ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფ-

ხვრასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ინვეეს თანაბარი სამართლებრივი დაცვის უფლების დარღვევას. მოცემულ საქმეში ქ-ნი ტალპისის მიმართ ძალადობა რამდენჯერმე განხორციელდა, რის შესახებაც ცნობილი იყო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. მიუხედავად ამისა, მომჩივნის საჩივრის განხილვა შვიდი თვის შემდეგ დაიწყო და ამ დროის განმავლობაში არ გაუტარებიათ რაიმე დამცავი ღონისძიება. ქ-ნი ტალპისის მეუღლე დამნაშავედ ცნეს სხეულის მძიმე დაზიანებასთან დაკავშირებულ საქმეში სამი წლის შემდეგ (2015 წლის 1-ლ ოქტომბერს); მას შემდეგ რაც მან მოკლა მომჩივნის შვილი და სცადა მომჩივნის მკვლელობა. წინამდებარე საქმეზე ხელისუფლების უმოქმედობა განსაკუთრებით აშკარა იყო იმის გათვალისწინებით, რომ პროკურატურამ პოლიციას, რომელსაც 6 თვის განმავლობაში არანაირი ღონისძიება არ განუხორციელებია, მოთხოვა დაუყოვნებელი ზომები მიეღო ქ-ნი ტალპისისა და მისი შვილის დასაცავად. სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოხსენებული ფაქტორების კომბინაცია ცხადყოფდა, რომ იტალიის ხელისუფლებამ ძალადობის სერიოზულობის სათანადოდ შეუფასებლობით საბოლოოდ წაახალისა იგი. ამრიგად, ქ-ნი ტალპისი, კონვენციის მე-14 მუხლის საწინააღმდეგოდ, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლს წარმოადგენდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2012 წლის ანგარიში, ასევე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტისა და სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემები, ასახავს იტალიაში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემის სიმწვავეს და მის თანმდევ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევებს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ-ნი ტალპისი საქმე არსებული სტატისტიკის მაგალითი იყო, რომლის თანახმადაც, მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, მრავალი ქალი მოკლა პარტნიორმა ან ყოფილმა პარტნიორმა (ფემიციდი); ამასთანავე, ოჯახში ძალადობის ფაქტებისა და ქალთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების შემწყნარებლური დამოკიდებულება შენარჩუნებული იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ ქ-ნი ტალპისის მიმართ ძალადობა სქესის ნიშნით განხორციელდა და, შესაბამისად, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთობლიობაში.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიამ არამატერიალური ზიანისთვის ქალბატონ ტალპისს 30,000 ევრო, ხოლო ხარჯებისა და დანახარჯებისთვის 10,000 ევრო უნდა გადაუხადოს.

მ.გ. თურქეთის წინააღმდეგ

M.G. v. Turkey

(განაცხადი №646/10; 22/03/2016)

პალატის გადაწყვეტილებით,²² საქმეზე *მ.გ. თურქეთის წინააღმდეგ*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ:

დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა);

დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

მოცემული საქმე ეხებოდა მომჩივნის მიერ ქორწინებაში ყოფნის დროს განცდილ ოჯახში ძალადობას, განქორწინების შემდეგ მის მიმართ განხორციელებულ მუქარის შემთხვევებს და მასთან დაკავშირებულ შემდგომ პროცესებს. კერძოდ, აპლიკანტი აკრიტიკებდა ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს, რომლებმაც ვერ შეძლეს ძალადობის აღკვეთა. მომჩივანი ასევე დავობდა, ქალთა წინააღმდეგ მუდმივი და სისტემატური დისკრიმინაციის საფუძველზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესახებ თურქეთში.

ფაქტობრივი გარემოებები:

მომჩივანი მ.გ., დაბადებული 1973 წელს, თურქეთის მოქალაქეა და ცხოვრობს სტამბოლში.

2006 წლის 18 ივლისს მ. გ-მ მეუღლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საჩივარი წარადგინა და განაცხადა, რომ ის სახლიდან გაიქცა, რათა თავი დაეღწია ოჯახში ძალადობისგან, რომელსაც 1997 წელს დაოჯახების შემდეგ მის მიმართ ჰქონდა ადგილი. მ. გ-ს დაზიანებების ამსახველი სამედიცინო დასკვნა შეადგინა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა; აპლიკანტს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარა სტამბოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტმაც, რომელმაც პროკურატურას წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტი და აღნიშნა, რომ ის იტანჯებოდა დეპრესიული და ქრონიკული პოსტტრავმული სტრესული აშლილობით, რაც განპირობებული იყო ოჯახში ძალადობით. მომჩივნის მეუღლემ უარყო მის მიმართ არსებული ბრალდებები; 2006 წლის 15 დეკემბერს ის დაიკითხა, ხოლო 2012 წლის 22 თებერვალს ბრალი ნაუყენეს მეუღლის ჯანმრთელობის დაზიანების გამო.

2006 წლის 31 აგვისტოს მ. გ-მ სამოქალაქო სასამართლოს წინაშე განქორწინების საქმის წარმოება დაიწყო და მოითხოვა დამცავი ორდერის გამოცემა; სასამარ-

²² კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

თლომ აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა. 2007 წლის 24 სექტემბერს მომჩივანი და მისი ყოფილი მეუღლე ოფიციალურად განქორწინდნენ; შვილებზე მეურვეობა მ. გ-ს დაეკისრა, თუმცა ბავშვები სოციალური მომსახურების სააგენტოს დაცვის ქვეშ იმყოფებოდნენ.

2012 წლის 1-ლ ნოემბერს, 2013 წლის 10 ოქტომბერსა და 2014 წლის 19 ივნისს მ. გ-მ კვლავ მიმართა საოჯახო დავების განმხილველ სასამართლოს და მოითხოვა შემაკავებელი ორდერის გამოცემა ყოფილი მეუღლის მიმართ; აპლიკანტმა განაცხადა, რომ ის მუდმივად ემუქრებოდა ძალადობითა და მოკვლით. სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა და ყოფილ მეუღლეს უბრძანა არ მიახლოვებოდა მ. გ-ს სახლს და არ დაემყარებინა მასთან რაიმე სახის კომუნიკაცია. 2014 წლის 6 მარტს ფონდმა „Purple Roof“, რომელიც მომჩივანსა და მის შვილებს თავშესაფრით უზრუნველყოფდა, წარადგინა ანგარიში, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ აპლიკანტი ცხოვრობდა მუდმივი შიშის ქვეშ და მისი უსაფრთხოება არ იყო დაცული.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიშაღმართობა

კონვენციის მე-3 მუხლზე (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) დაყრდნობით, მომჩივანმა გააკრიტიკა ეროვნული ხელისუფლება, რადგან მან ვერ შეძლო ოჯახში ძალადობის აღკვეთა. კონვენციის მე-8 მუხლზე (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 მუხლსა (შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონაწერა) და მე-5 მუხლზე (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) დაყრდნობით, მ. გ. დავობდა, რომ მას შვილებთან ერთად არ შეეძლო მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრება, რადგან მის მიმართ არსებობდა მუდმივი მუქარა. აპლიკანტი ასევე ასაჩივრებდა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების არაეფექტურობასა და გადაჭარბებულ ხანგრძლივობას და აცხადებდა, რომ არ იყო ძალადობისგან დაცული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა აღნიშნული საჩივრები კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე შეესწავლა.

და ბოლოს, კონვენციის მე-14 მუხლზე (დისკრიმინაციის აკრძალვა) დაყრდნობით მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, მომჩივანი ასაჩივრებდა თურქეთში ქალთა მიმართ არსებულ სისტემატურ ძალადობას.

2009 წლის 15 დეკემბერს განაცხადი შეტანილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

სასამართლოს გადაწყვეტილება:

მუხლი 3

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. გ-მ მეუღლის წინააღმდეგ საჩივარი წარადგინა 2006 წლის 18 ივლისს და შესაბამისმა ორგანოებმა სამედიცინო დასკვნა შეადგინეს მომდევნო დღეს; დასკვნაში აღწერილი იყო როგორც აპლიკანტის ფიზიკური დაზიანებები, ასევე მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და განცდილ ძალადობას შორის არსებული კავშირი. ევროპულმა სა-

სამართლომ შენიშნა, რომ მომჩივნის მეუღლის დაკავების შესახებ ბრძანება გაცა 2006 წლის 23 ნოემბერს; პროკურატურამ ის დაკითხა 2006 წლის 15 დეკემბერს, ე.ი. საჩივრის წარდგენიდან დაახლოებით ხუთი თვის შემდეგ. სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება, რომელიც კვლავ მიმდინარეობდა, დაიწყო 2012 წლის 22 თებერვალს, მომჩივნის მიერ შესაბამის ორგანოში საჩივრის შეტანიდან დაახლოებით ხუთი წლისა და ექვსი თვის შემდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საჩივრები განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა განიხილოს; სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ „სტამბოლის კონვენცია“ ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებდა, გაეტარებინათ საჭირო ღონისძიებები, რათა უზრუნველყოთ გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროული ჩატარება. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრებოდა ვალდებულება, გაეთვალისწინებინა მსხვერპლის ფსიქოლოგიური, ფიზიკური და/ან ფინანსური მდგომარეობა და მონყვლადობა, აგრეთვე რაც შეიძლება დროულად შეეფასებინა სიტუაცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე საქმეზე არ არსებობდა რაიმე გარემოება, რომელიც ახსნიდა პროკურატურის მხრიდან უმოქმედობას ამდენი ხნის განმავლობაში (დაახლოებით ხუთი წელი და ექვსი თვე). ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების მიერ სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის ფორმა არ აკმაყოფილებდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

მ. გ-მ სასამართლოს განუმარტა, რომ 2012 წლის 20 მარტს №6284 კანონის ამოქმედებამდე, თურქეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა დამცავი ღონისძიებების ხელმისაწვდომობას; აპლიკანტმა განაცხადა, რომ წლების განმავლობაში ის იმალებოდა და ცხოვრობდა იმის შიშში, რომ ყოფილი მეუღლის მხრიდან ძალადობას კვლავ დაექვემდებარებოდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის მთავარი ასპექტი მსხვერპლზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება იყო. სასამართლომ აღნიშნა, როდესაც მ.გ. დაქორწინებული იყო, სამოქალაქო სამართლის შესაბამისი დებულება ითვალისწინებდა შესაძლებლობას, მას მიემართა საოჯახო დავების განმხილველი სასამართლოსთვის №4320 კანონით დადგენილი დამცავი ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით, თუმცა მას შემდეგ რაც აპლიკანტი განქორწინდა, სადავო იყო, რამდენად შეეძლო მას ამ შესაძლებლობის რეალურად გამოყენება. შესაბამისი სამართლებრივი დებულების ფორმულირებიდან გამომდინარე, საკითხი იმის შესახებ შეეძლოთ თუ არა დაუქორწინებულ ან განქორწინებულ წყვილებს დამცავი ღონისძიებებით სარგებლობა, ეროვნული სასამართლოების მხრიდან განსხვავებული განმარტებების საგანი გახდა. საბოლოოდ, მომჩივნისა და მისი მეუღლის ოფიციალურად განქორწინებიდან და 2012 წლის 20 მარტს №6284 კანონის ძალაში შესვლამდე, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა, რომ აპლიკანტს, როგორც განქორწინებულს, შეეძლო დამცავი ღონისძიებებით სარგებლობა, ვინაიდან აღნიშნული საკითხის განმარტება საქმის განმხილველი მოსამართლის დისკრეციას წარმოადგენდა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მ.გ. იძულებული იყო ეცხოვრა შიშის ქვეშ; სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოებისთვის მიმართვიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მას კვლავ ეშინოდა ყოფილი მეუღლის ძალადობრივი ქმედებების.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

მე-14 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში**დისკრიმინაციის აკრძალვა**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მან წინამდებარე საქმეზე უკვე დაადგინა შემდეგი: სახელმწიფოს მარცხი, დაეცვა ქალები ოჯახში ძალადობისგან, არღვევდა მათ უფლებას კანონის წინაშე თანაბარი მოპყრობის შესახებ. სასამართლომ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტამბოლის კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, ტერმინი „ქალთა მიმართ ძალადობა“ უნდა განიმარტოს, როგორც ადამიანის უფლების დარღვევა და ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მხრიდან უმოქმედობა თურქეთში ხელს უწყობდა ოჯახში ძალადობას. ანალოგიურად, სასამართლომ მიიჩნია, რომ №6284 კანონის ამოქმედებამდე, თურქეთის ეროვნული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა განქორწინებული ქალებისთვის ყოფილი მეუღლეების წინააღმდეგ დამცავი ღონისძიებების ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

მუხლი 41**სამართლიანი დაკმაყოფილება**

სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთს მომჩივნისთვის, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, უნდა გადაეხადა 19,500 ევრო ხოლო ხარჯებისა და დანარაჯებისთვის, 4,000 ევრო.

ბ.ვ. ბელგიის წინააღმდეგ**B.V. v. Belgium**

(განაცხადი №61030/08; 02/05/2017)

პალატის გადაწყვეტილებით, საქმეზე ბ.ვ. ბელგიის წინააღმდეგ, რომელიც არ არის საბოლოო²³, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა – პროცედურული ასპექტი).

მოცემული საქმე ეხებოდა ბელგიის ხელისუფლების მიერ ჩატარებულ გამოძიე-

²³ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

ბას, მას შემდეგ, რაც მომჩივანმა გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების შესახებ სისხლის სამართლის საჩივარი წარადგინა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ბრალდებები სადავო იყო, შესაბამისად, შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივარი. სახელმწიფოს ვალდებულების გათვალისწინებით – მომჩივნის მიერ საჩივრის წარდგენისთანავე ჩაატაროს ეფექტური გამოძიება, ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა დაედგინათ ფაქტები და სავარაუდოდ ჩადენილ გაუპატიურებასთან დაკავშირებული გარემოებები.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მსგავს გარემოებებში, გამოძიება ვერ მიიჩნეოდა სრულყოფილად და საფუძვლიანად ჩატარებულად.

ფაქტობრივი გარემოებაები

მომჩივანი – ქ-ნი ბ.ვ. ეროვნებით ბელგიელია და ბრიუსელში ცხოვრობს.

ქ-ნი ბ.ვ. ამტკიცებდა, რომ 1996-1998 წლებში ის კოლეგამ – X-მა ორჯერ გააუპატიურა და ერთხელ აიძულა სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება. 1998 წლის 15 სექტემბერს მომჩივანმა მომხდარის შესახებ უამბო მენეჯერებს, რომლებიც დაუკავშირდნენ სამსახურში სექსუალური ძალადობისაგან დაცვის დანაყოფს, რომელმაც მოკვლევა ჩაატარა. 1998 წლის 25 სექტემბერს ქ-ნმა ბ. ვ-მ ჟანდარმერიაში შეიტანა საჩივარი, რომელსაც თან დაურთო სამედიცინო ცნობა და მონმის სახელი და გვარი. ჟანდარმერიამ დაკითხა როგორც მომჩივანი, ასევე X. ქ-ნი ბ. ვ-ს მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოება შეწყდა, თუმცა ოფიციალურად მისთვის ამის თაობაზე არ უცნობებიათ.

2001 წლის 30 აპრილს, მას შემდეგ რაც მომჩივანმა შემთხვევით შეიტყო მისი საჩივრის განხილვის შეწყვეტის შესახებ, მან პროკურორს X-ის წინააღმდეგ საქმის წარმოების განახლება სთხოვა. ქ-ნი ბ.ვ. დავობდა, რომ ჟანდარმერიას X არ დაუკითხავს და ითხოვდა მტკიცებულების ხელახლა მიღებას. 2002 წლის 14 თებერვალს ქ-ნმა ბ. ვ-მ სისხლის სამართლის საჩივარი შეიტანა და განაცხადა წარადგინა, რომ სამართალწარმოების პროცესში როგორც მხარეს მონაწილეობა მიეღო. 2002 წლის მარტისა და 2004 წლის ივნისის პერიოდში საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა; გაირკვა, რომ ინციდენტის ადგილის შემოწმება აღარ იყო შესაძლებელი. 2004 წლის ივნისსა და ივლისში პოლიციამ დაკითხა მომჩივნის ექვსი ყოფილი კოლეგა.

2004 წლის სექტემბერში ქ-ნმა ბ. ვ-მ მიმართა ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს დანაყოფს, რომელმაც გამომძიებელი მოსამართლისგან გამოიხმო საქმე იმ საფუძვლით, რომ წარმართული გამოძიება „შეუსაბამოდ“ გაჭიანურდა და გამომძიებელი მოსამართლე იმეორებდა მის მიერ მიცემული ჩანაწერების შინაარსს, დამატებითი ზომების მიღების გარეშე. დაინიშნა ახალი გამომძიებელი მოსამართლე. პოლიციამ დაკითხა რამდენიმე ადამიანი და X-სა და ქ-ნ ბ. ვ-ს ჩაუტარდათ ფსიქიატრიული შემოწმება. გამომძიებელმა მოსამართლემ დოკუმენტი გაუგზავნა პროკურატურას, რომელმაც 2006 წლის 2 ოქტომბერს წარადგინა რეკომენდაციები, რომლის მიხედვით საქმის წარმოება საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო უნდა შეწყვეტილიყო.

მას შემდეგ, რაც ჩატარდა დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები და პროკურა-

ტურამ კვლავ გაუწია რეკომენდაცია საქმისწარმოების შეწყვეტას, 2008 წლის 17 იანვრის ბრძანებით დადგინდა, რომ X-ის წინააღმდეგ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები. ბრიუსელის სააპელაციო სასამართლოს დანაყოფის 2008 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ზემოხსენებული ბრძანება ძალაში დარჩა. 2008 წლის 18 ივნისს საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ქ-ნი ბ.ვ-ს მიერ გასაჩივრებული სამართლის საკითხები და დაადგინა, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემული იყო ადეკვატური მიზეზები.

საჩივარი, პროცედურა და სასამართლოს შეზღუდვა

კონვენციის მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 (შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონურვა) მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ გამოძიება არ იყო სრული და ყოველმხრივი, ამასთანავე მისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლის მეშვეობით გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვა ძალადობის შესახებ საჩივრებს წარადგენდა. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში) მიხედვით, ის ასევე დავობდა, რომ სამართალწარმოება გონივრულ ვადაში არ ჩატარდა.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2008 წლის 2 დეკემბერს შევიდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 3

არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა

სასამართლოს მოსაზრებით, ქ-ნი ბ. ვ-ს ბრალდებები – იმასთან დაკავშირებით, რომ კოლეგამ გააუპატიურა და მასზე სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ძალადობა განახორციელა, სადავო იყო, შესაბამისად, შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივარი. კონვენციის მე-3 მუხლის დებულებები ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოითხოვდა ეფექტური გამოძიების ჩატარებას. აღნიშნული პოზიტიური ვალდებულების გათვალისწინებით, მომჩივნის მიერ საჩივრის წარდგენისთანავე, ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა გამოეყენებინათ მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა დაედგინათ ფაქტები და სავარაუდოდ ჩადენილ გაუპატიურებასა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ძალადობასთან დაკავშირებული გარემოებები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ეფექტური გამოძიების ჩატარების პროცედურული მოთხოვნის შესრულება შეფასდა ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც მოიცავს საგამოძიებო ღონისძიებების ადეკვატურობასა და გამოძიების სისწრაფესა და ყოველმხრივობას. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოებს ეკისრებოდათ ვალდებულება, შეეფასებინათ ბრალდებების სანდოობა და დაედგინათ საქმის გარემოებები; ამასთანავე, დაეცვათ საქმის დროულად წარმოების მოთხოვნა.

სასამართლომ შენიშნა, რომ იმ დროს, როდესაც ქ-ნმა ბ. ვ-მ წარადგინა საჩივარი (1998 წლის სექტემბერი), მისი სანდოობის შესამოწმებლად სათანადო ზომები არ მიუღიათ. პროკურატურის მიერ საქმის წარმოების შეწყვეტამდე, ერთადერთი

ლონისძიება რაც გატარდა, იყო 1998 წლის დეკემბერში X-ის გამოკითხვა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ყველა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ჩატარდა მას შემდეგ, რაც მომჩივანმა მოითხოვა როგორც მხარეს მონაწილეობა მიეღო სამართალწარმოების პროცესში, განხორციელდა დაგვიანებით, საქმეზე სიმართლის დადგენის მიზნით თანმიმდევრული საგამოძიებო გეგმის არარსებობის პირობებში. სასამართლოს მოსაზრებით, მსგავს გარემოებებში, გამოძიება ვერ მიიჩნეოდა სრულყოფილად და საფუძვლიანად ჩატარებულად. შესაბამისად, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი.

მუხლი 6

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში

მე-3 მუხლის დარღვევის დადგენის დროს გაკეთებული დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული განაცხადის ცალკე განხილვის საჭიროება არ არსებობდა.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

სასამართლომ დაადგინა, რომ ბელგიამ არამატერიალური ზიანისთვის მომჩივანს 20,000 ევრო, ხოლო ხარჯებისა და დანახარჯებისთვის 13,000 ევრო უნდა გადაუხადოს.

ბალსანი რუმინეთის წინააღმდეგ

Balsan v. Romania

(განაცხადი №49645/09; 23.05.2017)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებაში საქმეზე ბალსანი რუმინეთის წინააღმდეგ, რომელიც არ არის საბოლოო²⁴, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), ვინაიდან ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ქ-ნი ბალსანის ადეკვატური დაცვა ქმრის ძალადობრივი ქმედებებისგან; ასევე, კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-3 მუხ-

²⁴ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

ლთან ერთობლიობაში, ვინაიდან ძალადობა სქესის ნიშნით განხორციელდა;

არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ქმარი მასზე ძალადობდა, რის შესახებაც ხელისუფლების ორგანოებისათვის ცნობილი იყო, მომჩივნის მიერ პოლიცია და სასამართლოში დახმარების თხოვნით მიმართვიანობის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთში არსებობდა ოჯახში ძალადობის გასაჩივრებისა და ხელისუფლებისგან შესაბამისი დაცვის მოთხოვნის საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ქ-ნმა ბალსანმა სრულად გამოიყენა, ხელისუფლებამ წინამდებარე საქმეში ზემოხსენებული სამართლებრივი დებულებების გამოყენება ვერ უზრუნველყო. უფრო მეტიც, ხელისუფლებამ დაადგინა, რომ მომჩივანმა პროვოცირება გაუკეთა მის წინააღმდეგ ოჯახში ძალადობას და მიიჩნია, რომ აღნიშნული ძალადობა არ იყო იმდენად სერიოზული, რომ სისხლისსამართლებრივ ფარგლებში მოხვედრილიყო. ამგვარმა მიდგომამ ეროვნულ კანონმდებლობას წაართვა მიზანი; გარდა ამისა, ის არ შეესაბამებოდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტებს. მოცემულ საქმეში ხელისუფლების უმოქმედობა ქ-ნი ბალსანის მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას გამოხატავდა და მიუთითებდა, რომ რუმინეთში ზოგადად ხელისუფლება ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად არასაკმარის ძალისხმევას იჩენდა.

ქირითადი ფაქტები

აპლიკანტი, ანჟელიკა კამელია ბალსანი, არის წარმოშობით რუმინელი. იგი დაიბადა 1957 წელს და ცხოვრობს პეტროსანში (რუმინეთი).

ქ-ნი ბალსანი 1979 დაოჯახდა და მას ოთხი შვილი შეეძინა. მომჩივანმა აღნიშნა, რომ ქორწინების განმავლობაში ქმარი მისი შვილებისა და მის მიმართ აგრესიული იყო. დაძაბულობამ იმატა 2007 წელს განქორწინების თაობაზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას და გაგრძელდა 2008 წელსაც, როდესაც ისინი განქორწინდნენ. მოცემულ პერიოდში ქმარი მომჩივანს რვაჯერ დაესხა თავს, რის შედეგადაც მიიღო ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც აღწერილია სამედიცინო დასკვნებში და საჭიროებდა მკურნალობას ორიდან ათი დღის განმავლობაში.

2007-2008 წლებში ქ-ნმა ბალსანმა სახელმწიფოს დახმარება რამდენჯერმე სთხოვა პოლიციაში დარეკვით, შესაბამისი დაცვის მინიჭების თაობაზე პოლიციის უფროსისთვის განცხადების მიმართვითა და ფორმალური სისხლისსამართლებრივი საჩივრის წარდგენით. რაც შეეხება საჩივარს, როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის ეტაპზე, მიჩნეულ იქნა, რომ ოჯახში ძალადობის პროვოცირება მომჩივანმა განზრახ გამოიწვია და აღნიშნული ძალადობა არ იყო იმდენად სერიოზული, რომ სისხლის სამართლის ჩარჩოში მოხვედრილიყო. ამრიგად, რაც შეეხება 2007 წელს მომხდარ 3 ინციდენტს, სასამართლოებმა, საბოლოოდ გაამართლეს მომჩივნის მეუღლე, რომელსაც ბრალი ედებოდა სხეულის დაზიანებაში; ხოლო რაც შეეხება 2008 წელს მომხდარ 5 ინციდენტს, პროკურატურამ გადაწყვიტა ბრალი არ წაეყენებინა. თითოეული ზემოხსენებული გადაწყვეტილების შემდეგ, მომჩივნის მეუღლე ადმინისტრაციული წესით დააჯარიმეს. სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და სამართალწარმოების დროს ქ-ნი ბალსანი ხელისუფლების ყურადღებას ამახვილებდა მისი მეუღლის მხრიდან ძალადობაზე და აფრთხილებდა მათ, რომ მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ იყო. მიუხედავად ამისა, კონკრეტული ზომები არ გატარებულა და მომჩივნის მოთხოვნა, სასამარ-

თლოს მიერ დამცავი ორდერების გამოცემის თაობაზე, პასუხგაუცემელი დარჩა.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შემაჯანებლობა

ქ-ნი ბალსანი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო მისი დაცვა ოჯახში ძალადობისგან და მიუხედავად მისი არაერთი საჩივრისა, ქმარს პასუხისმგებლობა არ დააკისრეს. მან ასევე განაცხადა, რომ ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივი ქმედებების შემწყნარებლობა თავს უიმედოდ და დამცირებულად აგრძნობინებდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წინამდებარე საქმეს განიხილავს კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების საფუძველზე.

განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2009 წლის 4 სექტემბერს შევიდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 3

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ფიზიკური ძალადობა, რომელსაც მომჩივანი არაერთხელ დაექვემდებარა და მისი დაზიანებები, სამედიცინო დასკვნისა და პოლიციის ანგარიშის თანახმად, საკმარისად სერიოზული იყო, რათა მიეღწია კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისათვის დადგენილი სისასტიკის მინიმალური ზღვრისთვის. უფრო მეტიც, რუმინეთის ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო აღნიშნული ძალადობის შესახებ, იქედან გამომდინარე, რომ ქ-ნი ბალსანს დახმარებისთვის არაერთხელ მიუმართავს როგორც პოლიციისთვის, ასევე სასამართლოსთვის. შესაბამისად, ხელისუფლება ვალდებული იყო საჩივრების საფუძველზე გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და თავიდან აერიდებინა შემდგომი ძალადობის ფაქტები. მართლაც, რუმინეთში არსებობდა საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებდა ოჯახში ძალადობის გასაჩივრებისა და ხელისუფლებისგან შესაბამისი დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობას; ქ-ნმა ბალსანმა აღნიშნული შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები სრულად გამოიყენა. სტრასბურგის სასამართლომ შემფოთებით განაცხადა, რომ ხელისუფლებამ მომჩივანი მის წინააღმდეგ ოჯახში ძალადობის მაპროვოცირებლად მიიჩნია და დაასკვნა, რომ ძალადობა არ იყო იმდენად სერიოზული, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ფარგლებში მოქცეულიყო. ამგვარმა მიდგომამ, რომელიც ხელისუფლებამ გამოამყლავნა საქმეში, სადაც ოჯახში ძალადობის ფაქტი არ იყო სადავო, ეროვნულ კანონმდებლობას წაართვა მიზანი; გარდა ამისა, ის არ შეესაბამებოდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ქ-ნი ბალსანი კვლავ ჩიოდა შემდგომში განხორციელებული ძალადობის შესახებ, ხელისუფლებას არ მიუღია რაიმე ზომა, რომელიც დაიცავდა მას. ერთადერთი სანქცია – ადმინისტრაციული ჯარიმა, რომელიც მოძალადეს დაეკისრა, არაეფექტური იყო შემდგომი ძალადობის შეჩერების თვალსაზრისით.

ამრიგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების მიერ ქ-ნი ბალსანის საჩივრების განხილვის მეთოდი არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს, ვინაიდან ქმრის ძალადობის წინააღმდეგ ის არ უზრუნველყოფდა მომჩივანს ადეკვატური დაცვით.

მუხლი 14

დისკრიმინაციის აკრძალვა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა ოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიხედვით რუმინეთში ოჯახში ძალადობა შეწყნარებული იყო და ადამიანების უმრავლესობის მიერ ნორმალურ მოვლენად მიიჩნეოდა. უფრო მეტიც, მოსახლეობამ შეიძლება საკმარისად არც იცოდა ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით რუმინეთში არსებული ფართო სამართლებრივი და სტრატეგიული ჩარჩოს შესახებ; თვითონ ქალებმაც შეიძლება არ იცოდნენ თავიანთი უფლებები. როგორც ჩანს, რუმინეთში არც ხელისუფლება აფასებდა ოჯახში ძალადობის სერიოზულობას და მასმტაბს, რაც დადასტურდა წინამდებარე საქმეზე შესაბამისი სამართლებრივი ნორმების უგულვებელყოფით. ხელისუფლების უმოქმედობა ასახავდა სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ქ-ნი ბალსანის მიმართ.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ძალადობა, რომელსაც დაექვემდებარა ქ-ნი ბალსანი, სქესის ნიშნით განხორციელდა, რაც ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა. მსგავსი ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის შესახებ მიუხედავად მთავრობის მიერ კანონისა და ეროვნული სტრატეგიის მიღებისა, სასამართლო სისტემის უმოქმედობა და მოძალადეების დაუსჯელობა, რაც ასევე დაფიქსირდა მოცემულ საქმეში, ცხადყოფდა, რომ ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად ხელისუფლება არასაკმარის ძალისხმევას იჩენდა. ამრიგად, დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთს, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, ქალბატონი ბალსანისთვის 9,8000 ევრო უნდა გადაეხადა.

ჯ. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ

J and others v. Austria

(განაცხადი №58216/12; 17.01.2017)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2017 წლის 1 იანვრის გადაწყვეტილებით²⁵ საქმეზე *ჯ. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ*, ერთხმად დაადგინა, რომ:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლი (იძულებითი შრომის აკრძალვა) არ დარღვეულა;

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) არ დარღვეულა.

წინამდებარე საქმე ეხებოდა ავსტრიის ხელისუფლების მიერ ჩატარებულ გამოძიებას ტრეფიკინგის შესახებ. კერძოდ, ორი ფილიპინელი მოქალაქე, რომლებიც სამუშაოდ შინამოსამსახურედ ან მოახლედ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში წავიდნენ, ამტკიცებდა, რომ დამსაქმებლებმა მათ პასპორტები ჩამოართვეს და შრომით ექსპლუატაციას უწევდნენ. აპლიკანტები აცხადებდნენ, რომ მათ მიმართ მსგავსი მოპყრობა გაგრძელდა ვენაში მოკლევადიანი ვიზიტის დროსაც, სადაც ისინი დამსაქმებლებმა წაიყვანეს და საბოლოოდ გაქცევა მოახერხეს. ავსტრიაში მომჩივნების მიერ დამსაქმებლების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საჩივრის წარდგენის შემდეგ, ხელისუფლებამ დაადგინა, რომ მათი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებებზე და შეწყვიტა აპლიკანტების საქმეზე გამოძიება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ ავსტრიაში განვითარებული მოვლენები იზოლირებულად ვერ განიხილებოდა და ავსტრიის ხელისუფლება საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ვალდებული იყო ჩაეტარებინა გამოძიება იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც საზღვარგარეთ შეემთხვათ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, არ არსებობდა მომჩივნების ფილიპინებში დასაქმების ან არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მათი შრომითი ექსპლუატაციის გამოძიების ვალდებულება, ვინაიდან კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, არ მოეთხოვებათ უზრუნველყონ უნივერსალური იურისდიქცია საზღვარგარეთ ჩადენილ ტრეფიკინგის დანაშაულებზე.

რაც შეეხება ავსტრიაში განვითარებულ მოვლენებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ განახორციელა ყველა ღონისძიება, რომელიც მოცემულ სიტუაციაში შეიძლება განეხორციელებინა. აპლიკანტები, რომლებსაც მხარს უჭერდა მთავრობის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, სპეციალიზებულმა პოლიციის თანამშრომლებმა დაკითხეს; ავსტრიაში მომჩივნების დარჩენის მოსაწესრიგებლად მათ მიეცათ მუშაობი-

²⁵ კონვენციის 43-ე და 44-ე მუხლების მიხედვით, წინამდებარე პალატის გადაწყვეტილება არ არის საბოლოო. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. თუ ასეთი თხოვნა იქნება, პალატა ხუთი მოსამართლის შემადგენლობით იმსჯელებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ განიხილვას. ამ შემთხვევაში დიდი პალატა განიხილავს საქმეს და გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ გადაცემის შესახებ თხოვნა უარყოფილი იქნება, მაშინ პალატის გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმავე დღეს. როგორც კი გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, იგი გადაეცემა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მისი აღსრულების ზედამხედველობისთვის.

სა და ცხოვრების ნებართვა. გარდა ამისა, აპლიკანტების დაცვის მიზნით აიკრძალა მათი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება. ვენაში ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით მომჩივნების ბრალდებებთან მიმართებით ჩატარდა ყოველმხრივი გამოძიება და, საქმის მასალებისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებმა გონივრული დასკვნები გააკეთეს. ხელისუფლების მხრიდან შემდგომი ნაბიჯების გადადგმა – როგორცაა აპლიკანტების დამსაქმებელთა კონფრონტაცია, წარუმატებელი იქნებოდა, ვინაიდან ავსტრიასა და გაერთიანებულ არაბთა საემიროებს შორის არ არსებობდა ორმხრივი შეთანხმება იურიდიული დახმარების შესახებ; ზემოხსენებული ნაბიჯი წარუმატებელი იქნებოდა ასევე იმის გამო, რომ მომჩივნებმა პოლიციას მიმართეს სადავო მოვლენების განხორციელებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როდესაც მათ დამსაქმებლებს ქვეყანა დიდი ხნის დატოვებული ჰქონდათ.

ფაქტობრივი გარემოებაები

აპლიკანტები, ქ-ნი ჯ., ქ-ნი გ. და ქ-ნი ც., წარმოშობით ფილიპინელები არიან, რომლებიც დაიბადნენ 1984, 1982 და 1972 წლებში და ამჟამად ვენასა (ქ-ნი ჯ. და ქ-ნი გ.) და შვეიცარიაში (ქ-ნი ც.) ცხოვრობენ. 2006-2009 წლებში სამივე მომჩივანი სამუშაოდ მოსამსახურედ წავიდა დუბაიში (არაბთა გაერთიანებულ საამიროებში) ერთი და იმავე ოჯახთან ან მათ ნათესავეებთან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დამსაქმებლებმა ჩამოართვეს პასპორტები, არასათანადოდ ეპყრობოდნენ და ექსპლუატაციას უწევდნენ. კერძოდ, მათ აიძულებდნენ ემუშავათ დამატებითი საათები და არ უხდიდნენ წინასწარ შეთანხმებულ ხელფასს; აპლიკანტების განცხადებით, მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ამყოფებდნენ და ემუქრებოდნენ.

2010 წლის ივლისში მომჩივნები დამსაქმებლებმა მოკლევადიანი ვიზიტით ვენაში წაიყვანეს. დუბაის მსგავსად, აპლიკანტების პასპორტები დამსაქმებლებმა დაიტოვეს; ისინი დილით ადრე იწყებდნენ მუშაობას, შუალამემდე ან უფრო გვიანობამდე უვლიდნენ დამსაქმებლის შვილებს და სხვადასხვა საშინაო საქმეს აკეთებდნენ. ვენაში ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ორ მომჩივანს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი დამსაქმებლის შვილები ზოოპარკში დაიკარგნენ. მომჩივნებმა გადაწყვიტეს, რომ მათ მიმართ ძალადობის ესკალაცია შეიძლებოდა ნებისმიერ დროს მომხდარიყო და ისინი მსგავს პირობებში მუშაობას ვეღარ გააგრძელებდნენ; მათ გაქცევაში დაეხმარათ სასტუმროს თანამშრომელი, რომელიც აპლიკანტების მშობლიურ ენაზე საუბრობდა. მომჩივნებმა შემდგომში მხარდაჭერა მოიპოვეს ვენაში ადგილობრივი ფილიპინელების მხრიდან.

დაახლოებით ცხრა თვის შემდეგ, მომჩივნები დაუკავშირდნენ მთავრობის მიერ დაფინანსებულ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მხარდაჭერას უცხადებდა ავსტრიაში ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებს. არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით, 2011 წლის ივლისში მომჩივნებმა დამსაქმებლების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საჩივარი წარადგინეს. ტრეფიკინგის მსხვერპლთან ურთიერთობის კუთხით სპეციალიზებულმა პოლიციის თანამშრომლებმა აპლიკანტები დაკითხეს არასამთავრობო ორგანიზაციის თანდასწრებით; მათ დეტალურად აღწერეს მომხდარი, ასევე როგორ ექცეოდნენ დამსაქმებლები. პოლიციის დასკვნის მიხედვით, პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, რომელიც ეხებოდა ადამიანის ტრეფიკინგს. თუმცა 2011 წლის ნოემბერში გამოძიება შეწყდა, ვინაიდან პროკურატურამ დაადგინა, რომ ავსტრიის ხელისუფლების იურის-

დიქცია არ ვრცელდებოდა იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომლებიც მოქალაქეობის არმქონე პირებმა საზღვარგარეთ ჩაიდინეს. პროკურატურამ მოგვიანებით განმარტა, რომ მომჩივნების საჩივრები – ვენაში მათი ყოფნის პირობებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით, არ წარმოადგენდა ექსპლუატაციას.

2012 წლის მარტში ვენის სისხლის სამართლის სასამართლომ გამოძიების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. აღნიშნული სასამართლოს მოსაზრებით, საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებდა გამოძიების დანების ვალდებულებას.

მოგვიანებით მომჩივნებს ავსტრიაში სპეციალურად ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი ბინადრობის და მუშაობის ნებართვა მიანიჭეს; გარდა ამისა, საჯარო რეესტრს აეკრძალა მათი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება იმ მიზნით, რომ ცნობები მათი ადგილსამყოფლის შესახებ საზოგადოებისთვის მარტივად მოსაპოვებელი არ ყოფილიყო.

საჩივრები, პროცედურა და სასამართლოს შიდადგინება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა) და მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ისინი დაექვემდებარნენ იძულებით შრომას და იყვნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი; მათი განცხადებით, ავსტრიის ხელისუფლებამ მათ საქმეზე ვერ უზრუნველყო ეფექტიანი და ყოველმხრივი გამოძიების ჩატარება. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ ავსტრიაში განვითარებული მოვლენები იზოლირებულად არ უნდა ყოფილიყო განხილული, არამედ უნდა შეფასებულიყო განხორციელებული არასათანადო მოპყრობის კონტექსტში; შესაბამისად, ავსტრიის ხელისუფლებას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ეკისრებოდა ვალდებულება, საზღვარგარეთ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩაეტარებინა გამოძიება.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი 2012 წლის 4 სექტემბერს წარადგინეს.

სასამართლოს გადაწყვეტილება

მუხლი 4

მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

პირველ რიგში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, იდენტიფიცირება მოეხდინა, დაეცვა და მხარი დაეჭირა მომჩივნებისთვის, როგორც ტრეფიკინგის (პოტენციური) მსხვერპლთათვის. ავსტრიაში ტრეფიკინგის (პოტენციურ) მსხვერპლთა დასაცავად არსებული ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ჩარჩო საკმარისი იყო და ავსტრიის ხელისუფლებამ მიმართა ყველა ზომას, რაც მოცემულ სიტუაციაში გონივრული იყო. კერძოდ, როდესაც ქ-ნმა ჯ-მ და ქ-ნმა გ-მ მიმართეს პოლიციას, ისინი დააკითხეს პოლიციის სპეციალიზებულმა თანამშრომლებმა; ავსტრიაში მათი ყოფნის სამართლებრივად მონესრიგების მიზნით მათ მიაკუთვნეს ბინადრობისა და მუშაობის ნებართვა; საჯარო რეესტრს აეკრძალა პერსონალური მონაცემების გამჟღავნება, რაც მიზნად ისახავდა მათ დაცვას. უფრო მეტიც, ეროვნული სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მომჩივნებს მხარს უჭერდა არასამთავრო-

ბო ორგანიზაცია LEFO, რომელსაც მთავრობა აფინანსებდა. გარდა ამისა, ავსტრიაში მათი ინტეგრირებისათვის მომჩივნები უზრუნველყოფილნი იყვნენ იურიდიული წარმომადგენლობითა და პროცედურული მითითებებით.

რაც შეეხება საზღვარგარეთ განვითარებულ მოვლენებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიას კონვენციის მიხედვით არ ეკისრებოდა ვალდებულება, ჩაეტარებინა გამოძიება მომჩივნების ფილიპინებში წაყვანასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მათ სავარაუდო ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ უზრუნველყონ უნივერსალური იურისდიქცია საზღვარგარეთ განხორციელებულ ტრეფიკინგთან მიმართებით.

და ბოლოს, რაც შეეხება ავსტრიაში განვითარებულ მოვლენებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნების საქმეზე ავსტრიის ხელისუფლების მიერ განხორციელებული გამოძიება საკმარისი იყო. საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, ხელისუფლების მხრიდან საქმის შეფასება არ იყო არაგონივრული; კერძოდ, იმის თაობაზე, რომ მომჩივნების საჩივარი – მათი ვენაში ყოფნასთან დაკავშირებით, თავისთავად არ წარმოადგენდა ექსპლუატაციას სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

რაც შეეხება მომჩივნების არგუმენტს, რომ ფილიპინებში, არაბთა გაერთიანებულ საამიროში და ავსტრიაში განვითარებული მოვლენები იზოლირებულად ვერ განიხილებოდა, სასამართლომ განაცხადა, აღნიშნული მოვლენები ერთიანობაშიც რომ შეფასებულიყო, არ არსებობდა რაიმე მიმანიშნებელი იმისა, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დაკისრებული ვალდებულება – ჩაეტარებინა გამოძიება. მომჩივნებმა პოლიციას მიმართეს სადავო მოვლენებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როდესაც მათ დამსაქმებლებს ქვეყანა დიდი ხნის დატოვებული ჰქონდათ. ნებისმიერ სხვა ღონისძიებას, როგორცაა მომჩივნების დამსაქმებლებისთვის მათ წინააღმდეგ არსებული ბრალდებების გაცნობა – არ ექნებოდა წარმატების გონივრული პერსპექტივა, ვინაიდან ავსტრიასა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის არ არსებობდა ორმხრივი შეთანხმება იურიდიული დახმარების შესახებ. აღნიშნულის დასადასტურებლად, მთავრობამ მიუთითა წარსულ გამოცდილებაზე, როდესაც იურიდიული დახმარების შესახებ მარტივი თხოვნები არ დაკმაყოფილდა აშკარა მიზეზების მითითების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავსტრიის კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებულის არარსებობის პირობებში შესაძლებელი არ იყო სისხლის სამართლის საქმის წარმოება, ამასთანავე, სახალხო დამცველს შეეძლო გადაენციტა რომელი საქმეები გაეგრძელებინა და რომელი არა.

დასკვნის სახით, ავსტრიის ხელისუფლებამ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება – დაეცვა მომჩივნები, როგორც ადამიანის ვაჭრობის (პოტენციური) მსხვერპლნი. შესაბამისად, კონვენციის მე-4 მუხლი არ დარღვეულა.

მუხლი 3

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა

მე-4 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული განაცხადის განხილვის დროს გაკეთებული დასკვნების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ წინამდებარე საქმეზე კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

კრებულში გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და დამატებითი ოქმების მუხლები

- მუხლი 2.** სიცოცხლის უფლება
- მუხლი 3.** წამების აკრძალვა
- მუხლი 4.** მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა
- მუხლი 5.** თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება
- მუხლი 6.** საქმის სამართლიანი განხილვის უფლება
- მუხლი 8.** პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება
- მუხლი 11.** შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება
- მუხლი 13.** სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება
- მუხლი 14.** დისკრიმინაციის აკრძალვა
- მუხლი 38.** საქმის განხილვა
- მუხლი 41.** სამართლიანი დაკმაყოფილება
- მუხლი 46.** გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება
- 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.** განათლების უფლება
- სასამართლოს რეგლამენტის 39-ე წესი.** დროებითი ღონისძიება

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982085
www.supremecourt.ge